

ხელოვნება იქ, სადაც არაფერია?

A5



„უსტიაშვილი და კომპანია„ ელიტლიგიდან ევროლიგამდე ლიდერისრობის რუბიკონთან

A8



სერენა უილიამსი შეიძლება გაველურდეს

A8

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი    შაბათი, 22 ივლისი, 2006 წელი. №163 (1315)    ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## ამბები

### ჰუბერტ ჰამფრის პროგრამა 2007-2008 აკადემიური წლისათვის

ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება საქართველოს მოქალაქეთათვის ჰუბერტ ჰამფრის სახელობის სასტიპენდიო პროგრამას აცხადებს.

A2

## სამართალი

### რეკომენდაცია დეპარტამენტის თავმჯდომარეს

საქართველოს სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს რეკომენდაციით მიმართავს და ავადმყოფი პატიმრის უფლებების დაცვას მოითხოვს.

A4

## სამართალი

### მორიგი საჩივარი სანდრო გირგვლიანის საქმეზე

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 22/07 | 23/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 35 |
| ბათუმი | 30 | 37 |
| სოხუმი | 29 | 35 |
| ქუთაისი | 33 | 40 |
| გორი | 29 | 34 |
| ონი | 22 | 30 |
| ზუგდიდი | 32 | 38 |
| ახმეტა | 32 | 33 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7700 |
| ევრო | 2.2412 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2810 |
| რუბლი | 0.0658 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# გადადებული საუბარი

## "რუსული დიპლომატია სააკაშვილის მიერ თავზე მოხვეულ თამაშს თამაშობს"

*საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა ვერ შედგა. ქვეყნებს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის ფონზე, პუტინმა სააკაშვილისთვის დრო ვერ გამონახა. ზოგიერთი რუსი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს გარდაუვალი სამხედრო კონფრონტაციის ნიშანია. ზოგიერთის აზრით კი, საომარი მოქმედებები გამორიცხულია, თუმცა, ურთიერთობა თბილისსა და მოსკოვს შორის უახლოეს მომავალში არ გაუმჯობესდება. მოსკოვს კონფლიქტის ზონებში სტატუს-კვოს დათმობა არ სურს.*

დიმიტრი ავალიანი

### "ჩვენ კიდევ შევხვდებით"

დსთ-ს არაფორმალურ სამიტზე გამგზავრება საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ დილით გადაიფიქრა. რუსეთის პრეზიდენტის სახელით გამართულ დოღზე და რესტორან "პრიჩალში" ვახშამზე დასწრების პერსპექტივამ ვერ მოხიბლა მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ვლადიმირ პუტინთან პირისპირ შეხვედრა სურდა.

**"შეხვედრა შეხვედრისთვის არც ჩვენთვის და არც რუსეთის მხარისათვის საჭირო არ არის. ჩვენ მოვამზადებთ შეხვედრას, რომელიც კონკრეტულ შედეგებზე იქნება ორიენტირებული,"** - განაცხადა გუშინ ვიზიტის გადადების კომენტირებისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.

მისი თქმით, საქართველო და რუსეთი შეთანხმდნენ, დაიწყონ მუშაობა პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის მოსამზადებლად. მინისტრი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მზადყოფნის შემთხვევაში, აღნიშნული მოლაპარაკება შედგება. ჯერჯერობით, ახალი შეხვედრის სავარაუდო თარიღი არ სახელდება.

**"ორივე მხრიდან გამოითქვა ძალიან ბევრი განცხადება, შეფასება და მუქარაც კი, თუმცა არ არის კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც ორი სახელმწიფოს ურთიერთობას კონსტრუქციულ ფარგლებში მოაქცევს,"** - განაცხადა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. ბეჟუაშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემების გადაჭრა საცხენოსნო დოღის ფონზე დაუშვებელი და არასერიოზულიც კი იქნებოდა. **"ორივე სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები იმისთვის, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში არსებულმა ტემპერატურამ დაიწიოს,"** - დასძინა გელა ბეჟუაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "საარჩევნო სკეპტიციზმის" წინააღმდეგ

ვერიკო თევზაძე

**"ქალბატონო სალომე, იცით, რა დიდი იმედით მივდიოდი სააკაშვილის მხარდასაჭერად არჩევნებზე!.. - მეც დიდი იმედით მოვდიოდი, ქალბატონო, საქართველოში!"** - ეს დიალოგი გუშინ გაიმართა "ღია კარის დღეზე", რომელიც საზოგადოებრივი მოძრაობა "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა მოსახლეობას მოუწყო.

მიუხედავად იმედგაცრუებული ამომრჩევლის რეპლიკაზე გაცემული ზურაბიშვილის მოსწრებული პასუხისა, გუშინდელმა ღონისძიებამ ცხადყო, რომ ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილს უცხოეთიდან მშობელ ქვეყანაში ჩამოტანილი იმედი ოდნავადაც არ განელებია.

გაგრძელება A2 გვერდზე



*სალომე ზურაბიშვილი ამომრჩეველთან დიალოგს იწყებს.*

## დღეს ნომერში




# სახელმწიფო მინისტრის უკანასკნელი კონფლიქტი

*ოქრუაშვილი პირველ იანვარს ცხინვალში შეხვდება, ხაინდრავა კი ამ ისტორიულ კადრებს მხოლოდ კინოფირზე გადაიღებს. თავდაცვის მინისტრთან პიროვნული დაპირისპირება თუ "ომის პარტიის" ზეიმი? - რატომ ვერ მოხვდა სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა ახალ მთავრობაში "გამსვლელთა" სიაში, ხელისუფლება არ განმარტავს.*

სოფო ბუკია

რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ დაძაბულობაში საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული "სარგებელი" იპოვა. რუსეთთან ლამის საომარი მდგომარეობა საკმაოდ მომგებიანი ფონია მინისტრთა კაბინეტში კორექტივების შესატანად და თანაც ისე, რომ ცვლილებები არ შეეხოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს, რომლის გადადგომასაც დიდი ხანია კატეგორიულად ითხოვს ოპოზიცია.

მთავრობის გადახალისების მიზეზი გარემოს დაცვის აწ უკვე ყოფილი მინისტრი გიორგი პაპუაშვილი გახდა, რომლის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნამ ახალი მთავრობის დაკომპლექტება განაპირობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ისრაელში რეზერვისტების მობილიზაცია დაიწყო

ისრაელის არმიის მიერ სამხედრო ოპერაციების დაწყების მეათე დღეს სამხედრო ძალების მეთაურმა განაცხადა, რომ იერიშები უახლოეს დღეებში უფრო ინტენსიური გახდება. ჩრდილოეთ სამხედრო ოლქის მეთაურის, ისრაელელი გენერლის უდი ადამის თქმით, ლიბანში მიმდინარე მოვლენები სხვა არაფერია თუ არა "სრულმასშტაბიანი ომი".

სახმელეთო ოპერაციების შესაძლო დაწყების შესახებ კი განცხადება ორი დღის წინ ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ამირ პერეცმა გააკეთა.

ისრაელმა ლიბანის სამხრეთ საზღვართან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა უკვე გააფრთხილა დაუყოვნებლივ დატოვონ კონფლიქტის ზონა. რაც შეეხება თავად ისრაელის პოზიციას, უკვე დაიწყო ათასობით რეზერვისტის სასწრაფო მობილიზაცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# იყალთოელი გლეხი დახმარებისთვის ჯორჯ ბუშს მიმართავს

*იყალთოელმა ვალიკო გარსევნიშვილმა დახმარებისთვის ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს მიმართა. პასუხმაც არ დააყოვნა. იყალთოელმა გლეხმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან დამაიმედებელი პასუხი მიიღო. „თქვენი წერილი ჩაბარდა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს და გათვალისწინებული იქნება თქვენი თხოვნა“, - წერია ბუშის ადმინისტრაციის მიერ გარსევნიშვილისთვის გამოგზავნილ პასუხში.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

თელავის რაიონის სოფელ იყალთოში მცხოვრები 73 წლის ვალიკო გარსევნიშვილმა საქართველოში წარმოებული ორმოცწლიანი დავის შემდეგ დახმარებისთვის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს წერილობით მიმართა.

**„ჩემი წერილის გაგზავნიდან რამდენიმე კვირაში ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ პასუხი მომწერა, რომ ჩემი წერილი ადრესატს ჩაბარდა. თავის დროზე ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად შევარდნაძემდე ვერ მივაღწიე, ახლა იგივე პრობლემების თავიდან ასაცილებლად ამერიკის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს წერილობით მივმართე, რადგან მიშა სააკაშვილი მისი მეგობარია, ამიტომაც, ამერიკის პრეზიდენტს ვთხოვე, ჩემთვის პროტექცია გაეწია და საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაში დამხმარებოდა,“** - ამბობს ვალიკო გარსევნიშვილი.

დამსახურებულმა კოლმეურნემ ვალიკო გარსევნიშვილმა პირველი საჩივარი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მაშინდელ რაიკომსა და ალმასკომში შეიტანა. იგი 1952 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე კოლმეურნეობაში მძღოლად მუშაობდა.

**„1967 წელს სოფლის მაშინდელმა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ მძღოლებისთვის შრომითი ანაზღაურება სანალდო სისტემით განესაზღვრათ. იმ შემთხვევაში, თუ 100 კილომეტრზე ხუთ კაცზე მეტს არ გადავიყვანდი, ერთი მანეთი და ხუთი კაპიკი მეკუთვნოდა, თუ ამ ციფრს გადავაჭარბებდი, ექვსმანეთნახევარი. იმის გამო, რომ კოლმეურნეობის მაშინდელ პარტიულ მდივანს ჩემთან პირადი დაპირისპირება ჰქონდა, დანიშნულების ადგილზე მანქანით ოცი კაციც რომ გადამეყვანა, ჩემი გასამრჯელო მაინც ერთი მანეთი და ხუთი კაპიკი იყო,“** - იხსენებს ვალიკო გარსევნიშვილი, რომელმაც აღნიშნული ფაქტის გასარკვევად, თავის დროზე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს და ცენტრალურ კომიტეტსაც მიმართა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პრეზიდენტმა პროფესორები გაანაწყენა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრები პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადების საპასუხოდ საგანგებო ბრიფინგი გამართეს და განაცხადეს, რომ პრეზიდენტს პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთება არ ეკადრება. როგორც საბჭოს არჩეულმა რექტორმა ჯემალ მებონიამ განაცხადა, თუ პრეზიდენტს რეალურად აინტერესებს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები, უმჯობესი იქნება, თუ ის საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდება. რაც შეეხება დიდი საბჭოს მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებზე სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა გამოჩენას, მებონია აცხადებს, რომ აქციის მონაწილეებს უნივერსიტეტის გადარჩენის პრინციპი აერთიანებთ და ამ შემთხვევაში პარტიული კუთვნილება მნიშვნელოვანი არ არის. პრეზიდენტმა სააკაშვილმა აქციაზე იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა გამოჩენასთან დაკავშირებით განცხადება ორი დღის წინ გააკეთა და აღნიშნა, რომ მათ აქციაში მონაწილეობისათვის რუსეთი აფინანსებს.

*ინტერპრესნიუსი*

## პროფესორ-მასწავლებლებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" სრულიად ემიჯნებიან საქართველოში რუსეთიდან მოსული პოლიტიკური ძალების გააქტიურებას და პროფესორ-მასწავლებლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკითხში აღნიშნული ძალების მონაწილეობის საფრთხის გააზრებისაკენ მოუწოდებენ. აღნიშნული განცხადება, პოლიტიკურმა გაერთიანება "ახალმა მემარჯვენეებმა" ოფიციალურად პრესისათვის გუშინ გაავრცელეს. "მემარჯვენეები" აცხადებენ, რომ მათი პოლიტიკური გაერთიანება ყოველთვის დაუჭერს მხარს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიურობასა და ყველა დასაშვები ფორმით ეცდება, რომ წინ აღუდგეს ძალადობას პროფესორ-მასწვალებლების მიმართ, ასევე პოლიციის თარეშს ქვეყნის უპირველეს უმაღლეს სასწავლებლებში. "ჩვენ მივიჩნევთ, რომ მიუღებელია ქვეყნის ხელისუფლება იგნორირებას უკეთებდეს საზოგადოების ძალზე პატივსაცემი წარმომადგენლების სამართლიან მოთხოვნებსა და ისეთ პოზაში იდგეს, რომ თითქოს აქ სერიოზული არაფერი ხდება. ნებისმიერი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს უნდა ესმოდეს, რომ უხეში, ერთპიროვნული ჩარევა ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაში, პროფესორ-მასწავლებლებზე ზეწოლა მიუღებელია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის", - აღნიშნულია განცხადებაში. როგორც "მემარჯვენეები" აცხადებენ, საზოგადოება მართლაც ელოდება ცვლილებებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში, მაგრამ საზოგადოება არამცდაარამც არ მიიღებს იმ რეფორმებს, რომელთაც ანტიეროვნული, ანტიმეცნიერული, ანტიდემოკრატიული და ანტიჰუმანური ხასიათი ექნება.

*ინტერპრესნიუსი*

## განათლების მინისტრმა დასაქმების პერსპექტივები განიხილა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ და მსხვილი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა პროფესიული განათლების შემდგომი დასაქმების პერსპექტივები განიხილეს. მინისტრის ინიციატივით, სამშენებლო კომპანიები და პროფესიული სასწავლებლები მჭიდროდ ითანამშრომლებენ სასაწავლებლების შინაარსობრივ და ორგანიზაციულ საკითხებში, ასევე სტუდენტების საწარმოო პრაქტიკისა და შემდგომი დასაქმების საკითხებში. როგორც გუშინდელ შეხვედრაზე აღინიშნა, მშენებლობა ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული და სწრაფი ტემპით განვითარებადი მიმართულებაა, თუმცა ამ სფეროში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა შეინიშნება. 2006 წლის შემოდგომაზე თბილისსა და რეგიონებში იხსნება პროფესიული სწავლების ცენტრები, სადაც სპეციალისტები მომზადდებიან ხუთი პრიორიტეტული - (მათ შორის მშენებლობის) მიმართულებით. განათლების სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული სტუდენტი, რომ შემდგომში შრომის ბაზარზე დასაქმდეს. სამშენებლო პროფესიებიდან ცენტრებში შეისწავლება: კალატოზის, შემდუღებლის, მომპირკეთებლის, დურგლისა და მლესავის სპეციალობები.

*ინტერპრესნიუსი*

## აბიტურიენტებმა მორიგი გამოცდა ჩააბარეს

2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტებმა დღეს ტესტური გამოცდა ერთ-ერთ არჩევით საგანში - საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში ჩააბარეს. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ლევან გახელაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, ამ საგანში გამოცდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში წელს პირველად ჩატარდა. "თავის დროზე, საზოგადოების ერთ ნაწილში დიდი ხმაური მოჰყვა იმას, რომ 2005 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ამ საგანში გამოცდა არ ბარდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ შარშან შესაბამისი ტესტი მზად არ იყო. თუმცა, ამ აჟიოტაჟის ფონზე, წელს ეს საგანი უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტების მხოლოდ ათმა პროცენტმა აირჩია. იმედია, სამომავლოდ ამ საგნისადმი ინტერესი უფრო გაიზრდება და მას გაცილებით მეტი სასწავლებელი და ფაკულტეტი აირჩევს," - თქვა ლევან გახელაძემ. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საქართველოს ისტორიის ჯგუფის ხელმძღვანელმა მანანა ჯავახიშვილმა აღნიშნა, ტესტით შემოწმდა აბიტურიენტების მიერ საქართველოს ისტორიის, ეკონომიკური გეოგრაფიის და სამოქალაქო განათლების საკითხების ცოდნა, ასევე, მათი კრიტიკული მსჯელობისა და ისტორიული წყაროს ანალიზის უნარი.

გამოცდაზე 3659 აბიტურიენტი იყო რეგისტრირებული. თუმცა, გამოცდაზე 3 558 მათგანი გამოცხადდა, რაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 10 პროცენტს შეადგენს.

*მედიანიუსი*

# "საარჩევნო სკეპტიციზმის" წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან



იური ლომაძის ფოტო

სალომე ზურაბიშვილის თქმით, სექტემბრიდან ახალი ეტაპი დაიწყება, ვინაიდან ხელისუფლება არჩევნების თარიღს გამოაცხადებს. ამ დარჩენილ პერიოდში ზურაბიშვილი საზოგადოებას შეახსნებს, რომ უიმედობა და აპათია დაღუპავს ქვეყანას. "საქართველოს გზის" ლიდერი მოსახლეობას ოპოტიმიზმისკენ მოუწოდებს.

**"ერთი პარტია ხელისუფლებაში, ერთი პარტია ოპოზიციაში. საზოგადოება ორ ბლოკად არის დაყოფილი. ეს ქმნის სკეპტიციზმს,"** - პესიმისტურად განწყობილი საზოგადოება ქალბატონმა სალომემ არაერთგზის დაამედა: **"არჩევნებში გამარჯვება შეიძლება."**

ზურაბიშვილის აზრით, მოარული ფრაზა, რომ არჩვნებში ხელისუფლება გაყალბების გზით გაიმარჯვებს, ისევ და ისევ ხელისუფლების მოგონილია: **"ამით ხელსუფლება საზოგადოებაზე ზეწოლას ახდენს."** სალომე ზურაბიშვილს სჯერა, რომ ხელსუფლებას ნამდვილად ჰყავს გამყალბებლები, მაგრამ **"ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიტუაციის შეცვლა არ შეიძლება... ჩვენ არ გვაქვს გარანტიები, მაგრამ ჩვენ გვაქვს გამარჯვების შანსი,"** - ამ პათოსით იყო გამსჭვალული სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა.

"საქართველოს გზის" ხელმძღვანელის შეფასებით, **"დღეს ქვეყანა ჩიხში იმყოფება".** სალომე ზურაბიშვილს ეჭვი ეპარება, რომ ხელისუფლება ვითარების გამოსწორებას შეძლებს.

ზურაბიშვილის აზრით, **"ხაინდრავას გადაყენება არ არის ის, რასაც საზოგადოება ელოდა".** ყოფილი დიპლომატი ხელისუფლებას შეახსენებს, რომ ხალხი ვანო მერაბიშვილის გადადგომას ითხოვს. გარდა ამისა, "საქართველოს გზის" ლიდერს აინტერესებს, სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას ხელისუფლებიდან წასვლა ნიშნავს თუ არა იმას, რომ კონფლიქტებთან მიმართებაში ხელისუფლების კურსი იცვლება? **"ერთი ნაწილი ამბობს, რომ იცვლება, მეორე ამბობს, რომ არ იცვლება, საზოგადოება გაურკვევლობაში დარჩა,"** - შენიშნავს ზურაბიშვილი.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა გუშინ ფილარომინიაში ვერშევსებულ დარბაზს მიმართა, ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის ქვეყანაში დაძაბულ სიტუაციას, დაბნეულობას. ასეთ გაურკვეველ ვითარებაში, პოლიტიკოსი ქალბატონის აზრით, საზოგადოება ვერ იღებს პასუხს მთავარ კითხვებზე: **"მე არ მაინტერესებს, რამდენჯერ შეხვდება სააკაშვილი პუტინს, მე მაინტერესებს, სამშვიდობო პროცესში რა პროგრესს მივაღწიეთ... მაინტერესებს, როგორია ხელისუფლების კონცეფცია, რომელიც არსად არ ისმის და არსად ჩანს."**

# ჰუბერტ ჰამფრის პროგრამა 2007-2008 აკადემიური წლისათვის

ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება საქართველოს მოქალაქეთათვის ჰუბერტ ჰამფრის სახელობის სასტიპენდიო პროგრამას აცხადებს. ჰუბერტ ჰამფრის სახელობის პროგრამა გათვალისწინებულია პროფესიონალთათვის, რომლებმაც ერთი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ასპირანტურის პროგრამის ფარგლებში უნდა აიმაღლონ კვალიფიკაცია და მიიღონ პროფესიული გამოცდილება. პროგრამა ითვალისწინებს მონაწილეთა დასწრებას კონფერენციებზე და 6 კვირიან სტაჟირებას შესაბამის ამერიკულ ორგანიზაციაში. კანდიდატების შერჩევასა და მათ სტიპენდიაზე წარდგენას განახორციელებს ამერიკის საელჩო.

რაც შეეხება კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებს, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილების, უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატებს. ინგლისური ენის კარგი ცოდნა აუცილებელი მოთხოვნაა კონკურსში მონაწილეთათვის.

სტიპენდიები გადაეცემათ კონკურსის შედეგად შერჩეულ პროფესიონალ კანდიდატებს შემდეგ სფეროებში: ჟურნალისტიკა-კომუნიკაცია, ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვის მენეჯმენტი, სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი და სახელმწიფო მართვა, ეკონომიკის განვითარება, სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ფინანსები და საბანკო საქმე, ადამიანის რესურსების მართვა და კადრების მენეჯმენტი, სამართალი და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები, ქალაქისა და რეგიონული დაგეგმარების საკითხები, უახლესი ტექნოლოგიები და მენეჯმენტი, განათლების დაგეგმვა და ადმინისტრირება, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მენეჯმენტი, ტრეფიკინგი და ანტიტრეფიკინგის პოლიტიკის განვითარება და მენეჯმენტი, HIV/AIDS პოლიტიკა და მისი პრევენცია.

ფინალისტები განთავსდებიან საგანგებოდ შერჩეულ ამერიკულ უნივერსიტეტებში, სადაც შესაძლებლობა მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ მათ პროფესიულ ინტერესებთან მაქსიმალურად მისადაგებულ სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებში.

ლექტორთა გაცვლითი პროგრამის მთავარი მიზანი კი სასწავლო გეგმის განვითარებასა და სასწავლო მეთოდოლოგიაში უნივერსიტეტების ლექტორების მომზადება გახლავთ. პროგრამაში მონაწილეები მუშაობენ აშშ-ს უნივერსიტეტების ლექტორ-მასწავლებლებთან, რათა დასახონ ახალი გზები მათი სწავლების სფეროში, მოიპოვონ ახალი სასწავლო მასალები და მიაწოდონ ამერიკელ ლექტორებსა და სტუდენტებს ინფორმაცია სწავლების მეთოდებზე საქართველოში.

პროგრამაში მონაწილეების ამერიკაში ყოფნის დროს, ისინი დაესწრებიან და მოუსმენენ ლექციებს, დაესწრებიან აკადემიურ კონფერენციებს, ასევე შესაძლებელია, მათ მოუხდეთ აშშ-ს უნივერსიტეტებში ლექციების ჩატარება. პროგრამაში მონაწილეებს არ შეუძლიათ ხარისხის მიღება და პროგრამის დასრულებისთანავე უნდა დაბრუნდნენ საქართველოში.

ჰუბერტ ჰამფრის სახელობის სასტიპენდიო პროგრამის ანკეტებისა და პროგრამასთან დაკავშირებული დამატებით ინფორმაციას მსურველებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენლები მიაწვდიან.

*24 საათი*




## მოკლედ

### პირველი ჩქაროსნული მარშრუტი

გუშინ ბათუმი-თბილისის მოდერნიზებულმა მატარებელმა პირველი ჩქაროსნული მარშრუტი შეასრულა. დღეს აღდგება ბათუმი-თბილისის "ღამის საფირმო" მატარებელიც. მოდერნიზებულ სამგზავრო შემადგენლობას სრულიად ახალი ტიპის ინტერიერი, პლაზმური ტელევიზორებით აღჭურვილი კუპეები და თანამედროვე კონდიცირების სისტემა აქვს. ახალ სამგზავრო მატარებლში მგზავრებს საშუალება ექნებათ კუპე გამოიყენონ, როგორც 4-, ასევე 6-ადგილიან სამგზავრო კუპეებად. თბილისი-ბათუმის ჩქაროსნულ მატარებელთან ერთად თბილისის ცენტრალურ სადგურში ახალი საოპერაციო დარბაზი და დამატებით 6 საბილეთო სალარო გაიხსნება. საბილეთი სალაროების დარბაზი უზრუნველყოფილი იქნება საინფორმაციო ტაბლოებით, რომლებზედაც ოპერატიულად განთავსდება ინფორმაცია ბილეთების შესახებ. ახალ საბილეთო სალაროებში კონკურსის წესით შერჩეული მოლარეები იმუშავებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რეგისტრაციის მაჩვენებელი გაიზარდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, წინა წლებთან შედარებით, დაბადების რეგისტრაციის მაჩვენებელი გაიზარდა. თუ 2005 წლის I ნახევარში 24 925 ბავშვის დაბადება დარეგისტრირდა, 2006 წლის 6 თვეში ეს მაჩვენებელი 29 047-მდე გაიზარდა. წინა წლის მონაცემთან შედარებით, გაიზარდა, ასევე, რეგისტრირებული ქორწინების სტატისტიკა - 2005 წლის I ნახევარში სამოქალაქო რეესტრის სამსახურებს ქორწინების რეგისტრაციისათვის 9357-მა, წლეულს 6 თვეში კი 9692 წყვილმა მიმართა. 2006 წლის I ნახევარში 1327 განქორწინება და 18500 გარდაცვალება დარეგისტრირდა. ამავე პერიოდში მცირეწლოვანთა შვილად აყვანის 154 აქტი გაფორმდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მასშტაბური დასუფთავების აქცია

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლის დავით მესხიშვილის ინიციატივით, გუშინ ზემო ფონიჭალის დასახლებაში მასშტაბური დასუფთავების აქცია ჩატარდა. დასახლებაში არსებული სკვერების, ბაღებისა და კორპუსების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებაში სტუდენტურ პროგრამაში ჩართულ 100-ახალგაზრდასთან ერთად რაიონის გამგებელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. საქმის პარალელურად, მესხიშვილმა ახალგაზრდებთან ერთად "პატრიოტთა ჰიმნიც" იმღერა. როგორც დავით მესხიშვილმა განაცხადა, მსგავსი მასშტაბის დასუფთავება დასახლებაში პირველად ჩატარდა. მისი თქმით, ანალოგიური ღონისძიება ქვემო ფონიჭალაშიც იგეგმება. **ინტერპრესნიუსი**

### გლდანის გაზმომარაგება ეტაპობრივად აღდგება

თბილისის გლდანის დასახლების ბუნებრივი აირით მომარაგება 24 ივლისისთვის დასრულდება.

როგორც "მედიანიუსს" კომპანია "ყაზტრანსგაზთბილისში" უთხრეს, დასახლებას ბუნებრივი აირის მიწოდება დაახლოებით ერთი კვირის წინ დროებით შეუწყდა. ამის მიზეზი გაზმომარაგების სისტემაში ჩასატარებელი, ზამთრის პერიოდისათვის მოსამზადებელი, სარეაბილიტაციო სამუშაოები იყო.

როგორც "ყაზტრანსგაზთბილისში" ამბობენ, ეს სამუშაოები უკვე დასრულდა და გლდანის რაიონისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებაც ეტაპობრივად ხორციელდება. **მედიანიუსი**

### ქუთაისში ჩერნობილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ობელისკი აღიმართა

ქუთაისში ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციის დროს დაღუპულთა პატივსაცემად ობელისკი აღიმართა. ობელისკი ავტოქარხნის დასახლებაში, 1986 წლის 26 აპრილს ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციის დროს დაღუპულ თანამოძმეთა პატივსაცემად აიგო.

ობელისკის გახსნას დაესწრნენ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე, უკრაინის ელჩი საქართველოში მიკოლა სპისი. ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა, მეუფე კალისტრატემ კი ობელისკი აკურთხა და იქ შეკრებილი საზოგადოება დალოცა.

გიგა ჩოგოვაძის განცხადებით, ობელისკის გახსნის ინიციატივა ეკუთვნის "დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელთა კავშირს". მათ დახმარებისთვის მიმართეს ქუთაისის მერიას, რომლის ხელშეწყობითაც დაიდგა ობელისკი.

მასზე ამოიკვეთება იმ ქუთაისელთა გვარები, რომლებიც ჩერნობილის ავარიის ლიკვიდაციის შედეგად დაიღუპა. "ეს იქნება ადგილი, სადაც ჩერნობილელები და სხვა ადამიანები პატივს მიაგებენ უკრაინაში ჩერნობილის ტრაგედიის შედეგად დაღუპულ ადამიანთა ხსოვნას", - უთხრა "მედიანიუსს" გიგა ჩოგოვაძემ. ობელისკის დადგმის იდეა ეკუთვნის გიორგი გოგოლაძეს, პროექტის ავტორები კი არიან ვახტანგ ფეილოშვილი და რევაზ ჩიხლაძე. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ველაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რეგიონი), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი მალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# სახელმწიფო მინისტრის უკანასკნელი კონფლიქტი

პირველი გვერდიდან

2005 წლის თებერვალში დამტკიცებული მთავრობის შემადგენლობიდან, პაპუაშვილი მეექვსე მინისტრია, რომელმაც მინისტრთა კაბინეტი დატოვა. ქვეყნის კანონმდებლობით კი მთავრობის წევრთა ერთი მესამედის შეცვლის შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებულია, მთავრობა ხელახლა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ ორი ცვლილება განხორციელდა.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პოსტს გიორგი ხაინდრავას ნაცვლად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე დაიკავებს, გარემოს დაცვის მინისტრის სავარძელს კი გიორგი პაპუაშვილის ნაცვლად - პარლამენტარი დავით ტყეშელაშვილი მოირგებს.

მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილება მოულოდნელი არ ყოფილა. ბევრი მიიჩნევს, რომ ხაინდრავას "დღეების ათვლა" შარშან ოქტომბერში დაიწყო, როდესაც იგი პარლამენტისა და სალომე ზურაბიშვილის დაპირისპირებაში ამ უკანასკნელის მხარეს გამოვიდა. ორიოდე კვირის წინ კი სახელმწიფო მინისტრი სანდრო გირგვლიანის პროცესს დაესწრო და სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა.

თუ ზურაბიშვილი ბურჯანაძესთან და პარლამენტთან ცუდ ურთიერთობებს ემსხვერპლა, ხაინდრავას "საქმეში" გადამწყვეტი აღმოჩნდა ირაკლი ოქრუაშვილთან დაპირისპირება, რამაც განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი 16 ივლისს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, როდესაც საქართველოს სამხედრო პოლიციამ გორის მახლობლად რუსი დიპლომატები დააკავა. ხაინდრავამ ქართველი სამხედროების ქმედება "უპასუხისმგებლო" უწოდა და აღნიშნული ფაქტი ვენის კონვენციის დარღვევად შეაფასა.

ოქრუაშვილი ხაინდრავას აღნიშნულ განცხადებებში "პოლიტიკურ კეკლუცობას" ხედავს. **"საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლის ნებისმიერი მცდელობა, რომ დანერგოს გარკვეული ნიჰილიზმი, შეეცადოს რომ წარმოაჩინოს ხელისუფლების არაერთიანობა, არის დამღუპველი და საკმაოდ დიდი შეცდომა - ამ შემთხვევაში ისევ ხაინდრავას ვგულისხმობ, - თუ არ მოგწონს ხელისუფლების პოლიტიკა და შენს პრინციპებს ეწინააღმდეგება დღევანდელი კურსი, ჩაალაგე ბარგი და წადი,"** - განაცხადა ოქრუაშვილმა "რუსთავი 2"-ის ეთერში ხაინდრავას განთავისუფლებამდე რამდენიმე საათით ადრე.



*გოგა ხაინდრავამ მთავრობა "ხმაურით" დატოვა.*

თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ გაკეთებული განცხადებებით ირკვევა, რომ ხაინდრავა არც "სახლში მიდის" და არც ოპოზიციონერთა რიგების "გაძლიერებას" ჩქარობს. რეჟისორი ხაინდრავა კინოში დაბრუნებას აპირებს და ქვეყანაში ერთობისა და ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლას სამოქალაქო სექტორში საქმიანობით გააგრძელებს.

მისივე თქმით, მთავრობაში განხორციელებული ცვლილებები საქართველოს საშინაო საქმეა და მისი თანამდებობიდან გადადგომა კონფლიქტებთან დაკავშირებით ქვეყნის სამშვიდობო პოლიტიკას არ შეცვლის. ხაინდრავა ბევრს საუბრობს "ურემზე წინ მიმავალ" ოქრუაშვილზე და აცხადებს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ქმედებები შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ქვეყნისთვის და პრეზიდენტისთვის.

**"ჩვენ არ დავუშვებთ რუსეთის მხრიდან კონფლიქტის ზონებში განუკითხაობას და რუსეთის სპეცსამსახურების კონტროლს. საქართველოში საკმარისი ინტელექტუალური პოტენციალი და ერთობაა საიმისოდ, რომ ქვეყანამ თავი დაიცვას რუსული აგრესიისაგან,"** - უკანასკნელად შეეცადა კონფლიქტის მოგვარებას აწ უკვე ექს-მინისტრი ხაინდრავა.

თუ მანამდე საქართველოს ხელისუფლებას ე.წ. ომისა და მშვიდობის პარტიებად სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლები და რუსი პოლიტიკოსები ჰყოფდნენ, გუშინ ამ თემაზე საუბარი საქართველოშიც აქტიურად დაიწყო.

ხაინდრავას განთავისუფლების შემდეგ ოპოზიციონერთა დიდი ნაწილი, რომლისთვისაც ხაინდრავა ლამის ერთადერთი მისაღები მინისტრი იყო მთავრობაში, ერთხმად აცხადებდა, რომ საქართველოში "ომის პარტიამ" გაიმარჯვა. ოპოზიცია აცხადებს, რომ სამთავრობო ცვლილებები ყველაზე ნაკლებად გოგა ხაინდრავას უნდა შეხებოდა. ოპოზიციონერები ხელისუფლებისგან ვანო მერაბიშვილის "თავს" ითხოვენ.

**"საქართველოს მთავრობაში "ქორებმა" საბოლოოდ იზეიმეს, ისინი, ვინც სამშვიდობო მოლაპარაკების გზით ყველაფერს აკეთებდნენ, მთავრობიდან წავიდნენ,"** - აღნიშნავს "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი, რომელიც ხაინდრავას განთავისუფლებას ოქრუაშვილის სატელევიზიო გამოსვლას უკავშირებს.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი ფიქრია ჩიხრაძე ხაინდრავას თანამდებობიდან განთავისუფლებაში უფრო სერიოზულ საფრთხეს ხედავს, ვიდრე ხაინდრავა-ოქრუაშვილის პიროვნული დაპირისპირებაა. მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "ომის პარტიისა" და "მშვიდობის პარტიის" დაპირისპირება, საქართველოში სამშვიდობო ხაზის გამტარებელი მინისტრის გაწირვით დასრულდა. **"ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში და მთავრობაში იარაღის ჟღარუნის სულისკვეთების მქონე ძალებმა გაიმარჯვეს,"** - აღნიშნა ჩიხრაძემ.

თავად გუშინდელი დღის მთავარი გმირი გოგა ხაინდრავა საქართველოში ომისა და მშვიდობის პარტიების არსებობას უარყოფს. **"არავითარი ომის პარტია საქართველოში არ არსებობს. ომის პარტია რუსეთშია და მას რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ხელმძღვანელობს. იგი საქართველოს ძალის გამოყენებითა და აშკარა ანექსიით ემუქრება,"** - აღნიშნა მან.

მთავრობაში განხორციელებული ცვლილებებით კმაყოფილია უმრავლესობა. როგორც გუშინ გიგა ბოკერიამ აღნიშნა, ხაინდრავას მიერ გუშინ დილით გაკეთებული განცხადებების მოსმენის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ ხაინდრავას მიმართ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის კრიტიკა სავსებით ობიექტური იყო.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძის განცხადებით კი, **"საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაინდრავას გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე მიიღეს".**

ხაინდრავას განთავისუფლებასთან დაკავშირებით კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა. **"ხაინდრავა არ იყო ცუდი მინისტრი. ჩვენ მას განვლილი პერიოდისათვის მადლობა უნდა გადავუხადოთ. თუმცა, ქვეყანაში სხვადასხვა საკითხებისადმი მიდგომები იცვლება, რაც კადრების ცვლილებასაც გულისხმობს ხოლმე,"** - აღნიშნა ბურჯანაძემ.

რაც შეეხება რუსეთს, გუშინ იქ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების ბოლო იმედი გადაეწურათ. რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ "უბედურების ზარი" ჩამოჰკრა - "მშვიდობის პარტიის" წარმომადგენლის ხაინდრავას განთავისუფლება იმას ნიშნავს, რომ საქართველო კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაწყვეტისთვის ემზადებაო. როგორც აღმოჩნდა, ხაინდრავას გადაყენებაზე გული დაწყდა ოსურ მხარესაც: **"ჩვენ გვჯეროდა, რომ ის ომის წინააღმდეგი იყო... ძალიან ცუდია, რომ ის წავიდა,"** -სევდიანი კომენტარი გააკეთა სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერმა ბორის ჩოჩიევმა.

# ისრაელში რეზერვისტების მობილიზაცია დაიწყო

პირველი გვერდიდან

პარალელურად, არ წყდება ლიბანის ტერიტორიაზე ავიადარტყმები, თანაც მასობრივად სასაზღვრო რაიონები იბომბება. ისრაელის მოქმედებას არანაკლები სიმკაცრით "ჰეზბოლაც" პასუხობს, რომელმაც გუშინ სარაკეტო იერიში მიიტანა ხაიფაზე, რის შედეგადაც 19 ადამიანი დაიჭრა. სერიოზული ზარალი განიცადა სხვა ქალაქებმაც.

ვითარების კიდევ უფრო გამწვავებასთან დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი კვირას ახლო აღმოსავლეთში ჩავა. ამისთვის კონდოლიზა რაისს აზიის რამდენიმე ქვეყანაში დაგეგმილი ვიზიტების გადადება მოუწია.

ისრაელის მოთხოვნები უცვლელი რჩება - ბოევიკების მიერ გატაცებული ორი ისრაელელი სამხედროს გათავისუფლება და "ჰეზბოლას" განიარაღება.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელმა საჰაერო იერიშებით ლიბანის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაანადგურა, ჯერჯერობით მაინც ვერ შეძლო "ჰეზბოლას" ბოევიკების სპორადული შეტევების შეჩერება ქალაქებზე.

შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობის მეათე დღეს კი ზოგიერთი ისრაელელი ექსპერტი ეჭვობს კიდეც, შეძლებს თუ არა ისრაელის სახმელეთო ჯარი "ჰეზბოლას" ბოევკიებთან ეფექტიანად გამკლავებას. კრიტიკული შენიშვნები ექსპერტთა მხრიდან დაზვერვის მისამართითაც ისმის.

არმიის კრიტიკისა და განუწყვეტელი საჰაერო იერიშების ფონზე კი ისრაელელი გენერლები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ მათ ინტერესებში არ შედის ლიბანის ხელმეორედ ოკუპაცია.

ანალიტიკოსების აზრით, ლიბანში განვითარებული მოვლენები ისრაელის მთავრობისთვის ნამდვილი გამოცდა იქნება, თუ რამდენად შესწევს მას უნარი მართოს ქვეყანა კრიზისულ ვითარებაში.

რაც შეეხება საზოგადოების დამოკიდებულებას ლიბანში გაჩაღებული შეიარაღებული კონფლიქტისადმი, როგორც საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემები მოწმობს, ისრაელის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ლიბანში სამხედრო ოპერაციებს უჭერს მხარს.

*ბი-ბი-სი*

net2phone®

**Net2Phone (salesgeorgia@net2phone.com) - მსოფლიოს წამყვანი კომპანია VoIP ტექნოლოგიაში ეძებს პარტნიორებს საქართველოში**

თუ თქვენი კომპანია დაინტერესებულია IP-ტელეფონიის სერვისების შეთავაზებით, ან ის უკვე იმყოფება IP-ტელეფონიის პროვაიდერი, Net2Phone - ის სპეციალიზირებული სრული გადაწყვეტილებების სწრაფი დანერგვის გეგმით და მისი ბიზნეს განვითარების ჯგუფი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას წარმატებული თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: georgia@net2phone.com**

# გადადებული საუბარი

პირველი გვერდიდან

საქართველო-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრას დსთ-ს არაფორმალური სამიტის მჭიდრო გრაფიკმა შეუშალა ხელი, - განუცხადა გუშინ სააგენტო "რია ნოვოსტის" რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხეილ კამინინმა. მისი განცხადებით, შეხვედრების განრიგი იმგვარად არის შედგენილი, რომ ცალკე ორმხრივი შეხვედრის გამართვის შესაძლებლობას არ იძლევა. **"ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ასეთი შეხვედრა პრეზიდენტ სააკაშვილთან შესაძლოა მომავალში გაიმართოს,"** - დასძენს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი.

21-23 ივლისს დაგეგმილ დსთ-ს არაფორმალურ სამიტში მონაწილეობა, საქართველოს პრეზიდენტის გარდა, არ მიიღეს უკრაინის, სომხეთისა და თურქმენეთის პრეზიდენტებმა. ვიქტორ იუშჩენკოს მოსკოვში ჩაუსვლელობის ოფიციალურ მიზეზად უკრაინაში შექმნილი რთული ვითარება სახელდება. რობერტ კოჩარიანი მოსკოვში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ჩავიდა. საფარმურად ნიაზოვმა კი მოსკოვში ჩასვლასა და სამიტში მონაწილეობის მიღებას საკუთარ სამშობლოში კურორტზე დასვენება ამჯობინა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას აზრით, ვლადიმირ პუტინს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან საჯარო გამოსვლის ეშინია. **"ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა არ არის იმ კონდიციაში, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მოსკოვში გაისეირნოს,"** - დასძინა გიგა ბოკერიამ. მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, განიმუხტოს რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობა, ოღონდ - არა საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის თქმით, უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ვლადიმირ პუტინს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში. ამას გარდა, იგი მიიჩნევს, რომ **"რუსეთის პრეზიდენტმა, გარკვეულწილად, ვერ გაბედა ისეთი თავხედური განცხადებების გაკეთება, როგორც ამას ბოლო პერიოდში მისი მინისტრები აკეთებდნენ".**

როგორც გივი თარგამაძემ აღნიშნა, უკვე დიდი ხანია, ოფიციალური თბილისი მიუთითებს, რომ რუსული მხარე თავად ძაბავს ურთიერთობას საქართველოსთან და, შესაბამისად, ქვეყნის ხელისუფლება რუსეთისგან პროვოკაციათა კასკადს ელის. **"ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს რუსეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ გაკეთებული ბოლოდროინდელი განცხადებები,"** - განაცხადა გივი თარამაძემ. მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, ადეკვატური პასუხები გასცეს რუსეთის პროვოკაციებს და ქვეყნის სამხედრო ესკალაციაში ჩათრევა არ დაუშვას.

**სურთ თუ არა რუსებს ომი?**

**"ეს ძალიან ცუდი ნიშანია. ომი პრაქტიკულად გარდაუვალია,"** - ასეთ შეფასებას აძლევს "24 საათთან" საუბრისას სააკაშვილთან შეხვედრაზე პუტინის უარს რუსი პოლიტიკური და სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი.

მისი აზრით, ეს ფაქტი ბოლო დროს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმული ნაბიჯების - ეკონომიკური ემბარგოს, საზღვრის გადაკეტვის და ა. შ. - ლოგიკური გაგრძელებაა. თანაც, ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს ამჟამად მიმდინარე რუსეთის შეიარაღებული ძალების წრთვნებზე ჩრდილოეთ კავკასიაში. **"მანევრები ყოველთვის საბაბია საზღვრებთან ძალების კონცენტრირებისათვის,"** - აცხადებს ფელგენგაუერი. მისი თქმით, ეს მანევრები 29 ივლისამდე გაგრძელდება და სწორედ ამ თარიღამდე არსებობს რუსული ქვედანაყოფების საქართველოზე იერიშის შესაძლებლობა.

ფელგენგაუერის აზრით, "ომის პარტია" საქართველოშიც არსებობს, თიმცა ვითარების ესკალაციას და მის შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიყვანას ბოლო დროს სწორედ რუსეთი ცდილობს. კრემლის საბოლოო მიზანია საქართველოში ხელისუფლების შეცვლა და ისეთი ხელისუფლების მოყვანა, რომელიც აღარ შეიყვანს საქართველოს ნატო-ში და პრორუსულ პოლიტიკას გაატარებს. ანუ, ექსპერტის აზრით, მოსკოვში ფიქრობენ, რომ ომის წაგება სააკაშვილის ხელისუფლების ავტორიტეტზე ქვეყანაში დამღუპველად იმოქმედებს. თუმცა, ექსპერტი იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრს გამარჯვების სჯერა, **"და ამისთვის გარკვეული საფუძველიც აქვს".**

**"საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება ამჟამად ისრაელის მოვლენებისკენ არის მიპყრობილი და სახეზეა გარკვეული განხეთქილება აშშ-სა და ევროპას შორის. ამიტომ, საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის ფორმირება დასავლეთს გაუჭირდება,"** - აცხადებს ფელგენგაუერი. მისი თქმით, აშშ, რომელიც საქარეთველოს უჭერს მხარს, მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალყურს და მოსალოდნელი საშიშროების სერიოზულობა გათვითცნობიერებული აქვს, თუმცა ვაშინგტონის მოსკოვზე ზეგავლენის შესაძლებლობები დღეს შეზღუდულია.

**"ეჭვგარეშეა, რომ ბუში პუტინს პეტერბურგში დაელაპარაკებოდა და სთხოვდა, საქართველოსთან სიტუაცია არ გაემწვავებინა. მაგრამ რუსეთში დღეს "აღორძინების ეიფორიაა" და ამერიკა რუსეთს ვერაფერს უბრძანებს,"** - მიაჩნია ექსპერტს.

მისი თქმით, აშშ-ს პირდაპირი ჩარევა რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტში გამორიცხულია, თუმცა, ვაშინგტონს ექნება საშუალება, საქართველოს დაეხმაროს მომარაგებით, დაზვერვის მონაცემებით და, რა თქმა უნდა, დიპლომატიური მხარდაჭერით.

რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტის სერგეი მარკედონოვის აზრით, უარი პრეზიდენტების შეხვედრაზე იყო საპასუხო რეაქცია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაზე სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით. **"თანაც, მანამდე სააკაშვილმა პუტინის წინადადებას რეფერენდუმების ჩატარების თაობაზე უზნეობა უწოდა. პუტინი კი კრიტიკაზე მტკივნეულად რეაგირებს,"** - მიაჩნია მარკედონოვს.

**"ამაზე უარესი მდგომარეობა ორი ქვეყნის ურთიერთობაში შეუძლებელია, არ არსებობს არანაირი პირობა პოზიციების დაახლოებისათვის,"** - აცხადებს მარკედონოვი, თუმცა აღნიშნავს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შესაძლებლობაში ეჭვი ეპარება.

**"არ მგონია, ომი დაიწყოს. საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური რესურსები ამისთვის ძალიან შეზღუდულია. საქართველოსთვის ომი კატასტროფა იქნება,"** - აცხადებს ექსპერტი. მისი თქმით, გამორიცხულია რუსეთის უშუალო ჩარევაც საქართველოში შესაძლო საბრძოლო მოქმედებებში: **"მე ეს ვერ წარმომიდგენია. ეს დასავლეთის გამოწვევა იქნება და რუსეთი ამაზე არ წავა."** თუმცა, მისი აზრით, შესაძლებელია რაიმე პროვიკაციები კონფლიქტის ზონებში ორივე მხარის ნების წინააღმდეგ.

მარკედონოვის აზრით, მკაცრი კონფრონტაცია ორ ქვეყანას შორის კვლავაც გაგრძელდება. **"მოსკოვის პოლიტიკური ნებაა, რომ სამშვიდობო ძალები დარჩნენ, რადგან ფორმატის შეცვლა არაპროგნოზირებად შედეგებს გამოიწვევს. ყველას ახსოვს იუგოსლავიის მაგალითი. არსებობს სამხედრო რევანშის საშიშროება, ეს კი მთელი კავკასიის დესტაბლიზაციას გამოიწვევს. ამოტომაც რუსეთი სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობს,"** - განმარტავს მარკედონოვი, რომლის აზრითაც, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის მიერ განხორციელებული სამშვიდობო მისია **"მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერაციაა".**

**"რუსეთის დიპლომატიის უბედურება ისაა, რომ ის არგუმენტებით ვერ საუბრობს და საკუთარ პოზიციებს ვერ ასაბუთებს. სააკაშვილი წარმატებით ახერხებს, მსოფლიოს დაანახოს, რომ აქვს არა შიდა კონფლიქტები, არამედ კონფლიქტი რუსეთთან,"** - მიაჩნია ექსპერტს.

**"რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიის არც შანსი და არც გეგმები აქვს. უბრალოდ, ეს არის დიდი ქვეყნის სურვილი, მის საზღვრებთან არსებული სტატუს-კვო არ დაირღვეს. თუმცა, რუსეთის ქცევიდან გამომდინარე, საქართველო ადვილად აჯერებს დასავლეთს, რომ ადგილი აქვს ანექსიის მცდელობებს. ფაქტობრივად, რუსული დიპლომატია სააკაშვილის მიერ თავზე მოხვეულ თამაშს თამაშობს,"** - აცხადებს სერგეი მარკედონოვი.

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისათვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველი პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კუკულიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | რეისი თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | რეისი ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

## მოკლედ

### არასამთავრობოების მოთხოვნა

არასამთავრობო სექტორმა სასამართლოს უპატივცემულობის საფუძველზე დაკავებულ პირთა გათავისუფლების მოთხოვნით, უზენაეს სასამართლოს მიმართა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარის მანანა კობახიძის განცხადებით, ორგანიზაციამ უკვე მოამზადა საჩივარი, რომელიც სისხლის სამართლის საპორცესო კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე დაკავებულ პირთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას გულისხმობს.

**„უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ეკა ტყეშელაშვილის მიერ მიღებული განკარგულება, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის" ხუთ წევრს სისხლის სამართლის საპორცესო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად პატიმრობა შეეფარდათ. ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ 208-ე მუხლის მოქმედება დროებით შეაჩერა, დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდნენ აღნიშნული მუხლით დაპატიმრებული მოქალაქეები",** - განმარტავს კობახიძე.

როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლომ განსახილველად მიიღო საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" სარჩელი, რის საფუძველზეც სისხლის სამართლის საპორცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოქმედება, საქმის საბოლოო განხილვამდე შეაჩერა.

არასამთავრობო ორგანიზაცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს პროცესზე ადვოკატის დაპატიმრების საშუალება ეძლევა, ანტიკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს. სადავო ნორმის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს დააპატიმროს მოქალაქე, თუ ჩათვლის, რომ მან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა გამოიჩინა. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება კი დაუშვებელი იყო.

**„ვინაიდან მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება დაუშვებელია, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან არავის აქვს უფლება ადამიანს სამართლიანი სასამართლოს უფლება წაართვას",** - ამტკიცებს არასამთავრობო ორგანიზაცია.

*24 საათი*

### მორიგი პროვოკაციის სამზადისი

რუსული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალში „სამხრეთ ოსეთის" სპეცსამსახურების თანამშრომლებმა ადგილობრივი მცხოვრები დააკავეს, რომელმაც აღიარა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა წინააღმდეგ რამდენიმე ტერაქტს გეგმავდა. დაკავებულის თქმით, მიმდინარე წლის მარტში მას მიმართა ნაცნობმა, რომელმაც უთხრა, რომ მოქმედებდა ქართული სპეცსამსახურის დავალებით და შესთავაზა მას აფეთქებების ორგანიზება. აფეთქებები მიმართული უნდა ყოფილიყო ოსი სამხედროების წინააღმდეგ. ყოველი ტერაქტისთვის, დაკავებულის თქმით, მას 5 ათას დოლარს დაჰპირდნენ. დაკავებულის ვინაობას და სხვა დეტალებს ოსური მხარე არ ახმაურებს, თუმცა აღნიშნავენ, რომ მის სახლში ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოაჩინეს. აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

*ინტერპრესნიუსი*

### ადამიანთა გამტაცებლები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შს მთავარი სამმართველოსა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, დედაქალაქში მოქმედი ადამიანის გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის წევრები - მიხეილ გუნთავა, მუხრან ჩინჩალაძე, იოსებ სადუნიშვილი და ანდრო მახათაძე დააკავეს. მათ თანხის გამოძალვის მიზნით, პიროვნება გაიტაცეს, რომელიც ერთი დღე-ღამის განმავლობაში კოჯრის ტყეში ჰყავდათ გადამალული და გათავისუფლების სანაცვლოდ ოჯახს 17 ათას აშშ დოლარს სთხოვდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

*ინტერპრესნიუსი*

### 20 პრობაციონერი დასაქმდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ტერიტორიული ბიუროების მეშვეობით 2006 წლის პირველ ნახევარში 20 პრობაციონერი დასაქმდა. დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონული ბიუროს შუამდგომლობით, სამი პრობაციონერი „სამშენებლო ტრესტ №3"-სა და შპს „აბალაკში" დასაქმდა. სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის რეგიონული ბიუროს შუამდგომლობით - ექვსი პრობაციონერი შპს „ენგური 2005"-სა და შპს „ანთეოში" მუშაობს; სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ბიუროს ხელშეწყობით კი ხუთი პრობაციონერია დაბა ასპინძის საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოებზე. პრობაციონერები დაასაქმეს აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონულმა ბიუროებმაც. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება 120-დან 300 ლარამდეა.

*24 საათი*

# იყალთოელი გლეხი დახმარებისთვის ჯორჯ ბუშს მიმართავს

პირველი გვერდიდან

**„აღმასკომიდან დაწყებული, რაიკომმაც და სოფლის მეურნეობის სამმართველომაც სპეციალური კომისიები შექმნეს, ჩემი სიმართლე ყველამ დაადგინა. თუმცა, დაკლებული თანხა არავის აუნაზღაურებია. უფრო მეტიც, მაშინდელმა პრესამ დაწერა, რომ ინტრიგანი და მომჩივანი ვიყავი და ჩემი შრომის სამართლიანად დაფასების მაგივრად, კომუნისტური პარტიიდან გამრიცხეს,"** - ამბობს ვალიკო გარსევანიშვილი.

ხელფასის გარდა გარსევანიშვილი ხელისუფლებას კოლმეურნეობის ბალანსზე არსებული ქონების არასწორ განაწილებასაც ედავება.

საბჭოთა ხელისუფლებასთან მოდავე გლეხი ანაზღაურებას ახლა უკვე დღევანდელი ხელისუფლებისგან ითხოვს.

**„უცხოური ვალუტის მაშინდელი კურსით 20 ათას დოლარზე მეტი მეკუთვნის. ამას რომ დავუმატოთ სოფლის კოლმეურნეობაში არსებული ქონების ჩემი წილიც, თანხა, რომელსაც მე ვითხოვ, 100 ათას დოლარს აღწევს",** -აღნიშნავს დაზარალებული გლეხი, რომლის საჩივარმა ყველა სათანადო ინსტანციის მოვლის შემდეგ, გენერალურ პროკურატურამდეც მიაღწია.

**„განცხადება გენპროკურატურამ საოლქოს გადმოუგზავნა, თუმცა, ჯერჯერობით რეაგირება არ მოჰყოლია",** - ამბობს ვალიკო გარსევანიშვილი.

ხელისუფლებისგან იმედგაცრუებულმა გლეხმა ახლობლების და ნაცნობების დახმარებით წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს გაუგზავნა.

**„შესაძლოა, ეს ადამიანი მართალიც არის, რადგან შესაბამისი მტკიცებულებები ნამდვილად გააჩნია, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტი ამ თანხას მაინც ვერ აუნაზღაურებს, თუნდაც იმ მიზეზით, რომ აღნიშნული პიროვნების მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, სასამართლოს გადაწყვეტილება ჩვენამდე არ მოსულა,"** - აცხადებს თელავის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.

იურისტების განცხადებით კი, სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, იმ მიზეზით, რომ მაშინდელ კოლმეურნეობას სამართალმემკვიდრე არ გააჩნია.

**„ამ ადამიანს, შესაბამისად, არ ჰყავს მოპასუხე მხარე, რომელსაც სასამართლო თანხის ანაზღაურებას დააკისრებს. ყველაფერთან ერთად, დავა არის ხანდაზმული,"** - აცხადებს იურისტი მაია უტიაშვილი. არადა, იყალთოელი გლეხი ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მხრიდან პროტექტორობას ელის.

# რეკომენდაცია დეპარტამენტის თავმჯდომარეს

საქართველოს სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს რეკომენდაციით მიმართავს და ავადმყოფი პატიმრის უფლებების დაცვას მოითხოვს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის განცხადებით, მათ არაერთხელ მიმართა საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ გოჩა იაკობაშვილმა. მისი განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N6 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების პატიმრის ვაჟა ღვალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. კერძოდ, მარჯვენა თვალით საერთოდ ვერ ხედავს, ხოლო მარცხენა თვალში მკვეთრად დაუქვეითდა მხედველობა და საჭიროებს გადაუდებელ ქირურგიულ და თერაპიულ მკურნალობას, გარდა ამისა, ვაჟა ღვალაძე დაავადებულია ეპილეფსიით.

2006 წლის 19 მაისის, სახალხო დამცველის წერილის საპასუხოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის, მონიტორინგისა და სამედიცინო ზედამხედველობის დეპარტამენტიდან მივიდა პასუხი, რომლის თანახმად, ვაჟა ღვალაძეს დაუდგინდა დიაგნოზი: მარჯვენა თვალის სუბატროფია, მარცხენა თვალის მინისებური სხეულის შემღვრევა და იგი საჭიროებს სტაციონარულ მკურნალობას.

2006 წლის 14 აპრილს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ექიმ-ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განწესი, რომლის მიხედვით, პატიმარი ვაჟა ღვალაძე გამოსაკვლევად და სამკურნალოდ უნდა გადაეყვანათ პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. თუმცა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N6 საპყრობილის დირექტორის განმარტებით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე არ მოხდა ვაჟა ღვალაძის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა.

„პატიმრობის შესახებ" კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის ა და ბ ქვეპუნქტით, „პაციენტის უფლებების შესახებ" კანონის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და გაერო-ს პრინციპების კრებულის 24-ე პრინციპის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილ იყოს სამედიცინო დახმარებითა და მომსახურებით. შესაბამისად, ოპერატიულმა ინფორმაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს პატიმრისთვის სამედიცინო მომსახურებას და დაცული უნდა იყოს პატიმრის, როგორც პაციენტის უფლებები. რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას, რომ პატიმარი ვაჟა ღვალაძე გადაიყვანონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

*24 საათი*

# ბავშვთა უფლებების საკოორდინაციო საბჭო

სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" სახალხო დამცველთან არსებული ბავშვის უფლებების საკოორდინაციო საბჭოს პრეზენტაცია გაიმართა. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, საბჭო განახორციელებს ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით მუშაობის კოორდინაციას. საბჭოს მიმართვაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში საქართველოს კანონმდებლობა ხშირად არ შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

**„დღეისათვის საქართველოში თითქმის სრულიად უგულებელყოფილია ზემოაღნიშნული პრინციპები, რაც ძირითადად გამოწვეულია სამართალდამცველთა მიერ საერთაშორისო ნორმების უცოდინრობით, რასაც შედეგად მოსდევს არასრულწლოვან დამნაშავეთა ხანგრძლივი დაპატიმრება. აღნიშნული საბჭო მოითხოვს - ვიდრე საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო პრინციპებთან, სამართალდამცველებმა და მართლსაჯულების ორგანოებმა გამოიყენონ თავისუფლების კონვენცია, ასევე სხვა საერთაშორისო კონვენციები, რასაც საქართველო მიუერთდა, რადგან აღნიშნულ კონვენციებს საქართველოს კონსტიტუციის თანახმად უპირატესი ძალა გააჩნია",** - აღნიშნულია საბჭოს მიმართვაში.

ბავშვის უფლებების საკოორდინაციო საბჭო მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვან დამნაშავეთათვის სასამართლომდე პატიმრობის საკითხს და ასევე არასრულწლოვან დამნაშავეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური ბრალდების წარდგენას, რადგან დღეისათვის ხშირად ხდება ისე, რომ არასრულწლოვანს უფრო მძიმე ბრალს წარუდგენენ, ვიდრე მათ მიერ ჩადენილი დანაშაულია.

როგორც სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოს ჩამოყალიბება, რადგან იგი კოორდინაციას გაუწევს ბავშვის უფლებების დაცვას და ასევე, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნება ბავშვების ინტერესები. **24 საათი**

# მორიგი საჩივარი სანდრო გირგვლიანის საქმეზე

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი გენერალურ პროკურატურაში საჩივარს შეიტანს. ადვოკატ შალვა შავგულიძის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ მან მკვლელობის არაობიექტური გამოძიების საფუძვლით, საქმის თბილისის პროკურატურისთვის აცილების შუამდგომლობა დააყენა, რაზეც უარი მიიღო.

ადვოკატის თქმით, უარი გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი სამმართველოს თანამშრომელმა განუცხადა, თუმცა შავგულიძე აღნიშნულ შუამდგომლობაზე დასაბუთებულ პასუხს თავად გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს ან მის მოადგილეებს სთხოვს.

**„დაზარალებულის ოჯახის ადვოკატებმა არაერთი შუამდგომლობა დავაყენეთ. სხვა საკითხებთან ერთად, მოვითხოვეთ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ თმაზე და სისხლის ლაქაზე ჩატარებული ბიოლოგიური ექსპერტიზის დადგენილებები, თუმცა აღნიშნულ მოთხოვნაზეც უარი მივიღეთ. საგამოძიებო ორგანო, პერიოდულად ისეთ დოკუმენტებს გვაწვდის, რისი შინაარსიც ჩვენს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. გამომძიებლები თითქოს ფორმალურად იცავენ პროცესუალურ ნორმებს, თუმცა დოკუმენტების შინაარსი აბსოლუტურად არაფრისმთქმელია. ადოკატებმა ამა თუ იმ ექსპერტიზის პასუხი დეტალურად უნდა ნახონ, რადგან დაცვას, შესაძლოა, გარკვეული დამატებითი კითხვები გაუჩნდეს,"** - განმარტავს შავგულიძე.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ თბილისის პროკურატურა გარდაცვლილის ოჯახის ინტერესების დამცველების უფლებების შეზღუდვას მაქსიმალურად ცდილობს.

გარდა ამისა, შალვა შავგულიძე ძველ მოთხოვნებსაც იხსენებს. მისი თქმით, დაზარალებულის ინტერესების დამცველთა თანდასწრებით, განმეორებით უნდა დაიკითხონ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დღეს, 27 იანვარს „შარდენ ბარში" მყოფი პირები - შსს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი ვასილ სანოძე, შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი დათა ახალაია, მისი თანაშემწე ოლეგ მელნიკოვი, შსს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი გურამ დონაძე და შს მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია.

*ინტერპრესნიუსი*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ზესტაფონის, ერისთავის, ც. დადიანის და მისი მიმდებარე ქუჩების, შეშელიძის ქუჩის, ხიზანიშვილის ქუჩის და გლდანის წრიული გზის, მუხიანის დასახლების, გობრონიძის ქუჩის, თემქის გადასავლელი გზის, დიღმის მასივი I, II, III, IV, V, VI კვარტლების, ბელიაშვილის ქუჩის, ცოტნე დადიანის (მალაკნების ხიდიდან გადასასვლელ ხიდამდე), ხუდადოვის ქუჩის, ნუცუბიძის I, III მ/რ-ნის, ბახტრიონის ქუჩის, ფანასკერტელის და მისი მიმდებარე ქუჩების, იყალთოს გორის, მიცკევიჩის, კუტუზოვის, საირმის, ბაგრატიონის და მათი მიმდებარე ქუჩების და ეზოების, ვაჟა ფშაველას I, II, III, IV, V, VI, VII კვარტლების, ბარნოვის, ი. აბაშიძის, ფალიაშვილის და მათი გადამკვეთი ქუჩების და ეზოების, ვაშლისჯვრის დასახლების, ყიფშიძის, წყნეთის, ატენის და მათი მიმდებარე ქუჩების, ჭავჭავაძის გამზ. N11 ეზოს, დავით აღმაშენებლის ხევნის მე-12კმ (შავი სოფელი) დასახლების, სამედიცინო ინსტიტუტის ეზოს, მორეტის ქუჩის და გზა დაცვის პოლიციიდან აღმაშენებლის ხეივნამდე, დიდი დიღმის დასახლების, ქვემო ფონიჭალას დასახლების, ორხევის დასახლების, ვარკეთილი IV მ/რ II რიგის, ვარკეთილის ზემო პლატოს (აეროდრომის დასახლება, ხომლელის ჯავახეთის, თრიალეთის, აბაიშვილის, ზ.ფანასკერტელის, ერთიანობისათვის მებრძოლთა და მიმდებარე ქუჩები), III მასივის (საცხენისის, შუამთის, კალოუბნის, პანდუსები და მისი მიმდებარე ქუჩები), ქინძმარაულის ქუჩა (მოსკოვის გამზირიდან აფრიკის დასახლების რკ. ხიდამდე), მეტალოკონსტრუქციის დასახლების, აფრიკის დასახლების, მეველეს ქუჩის და შესახვევების, ვარკეთილი 3 II მ/რ - ის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 30 პოზიციად (ლოტად):

1.პოზიცია (ლოტი) - ზესტაფონის, ერისთავის, ც. დადიანის და მისი მიმდებარე ქუჩების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
2. პოზიცია (ლოტი) - შეშელიძის ქუჩის, ხიზანიშვილის ქუჩის და გლდანის წრიული გზის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
3. პოზიცია (ლოტი) - მუხიანის დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
4. პოზიცია (ლოტი) - გობრონიძის ქუჩის და თემქის გადასავლელი გზის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
5. პოზიცია (ლოტი) - დიღმის მასივი I და II კვარტლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
6. პოზიცია (ლოტი) - დიღმის მასივი III, IV, V, VI კვარტლების და ბელიაშვილის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
7. პოზიცია (ლოტი) - ცოტნე დადიანის (მალაკნების ხიდიდან გადასასვლელ ხიდამდე) და ხუდადოვის ქუჩების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
8. პოზიცია (ლოტი) - ნუცუბიძის I მ/რ - ის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
9. პოზიცია (ლოტი) - ნუცუბიძის III მ/რ - ის გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;
10. პოზიცია (ლოტი) - ბახტრიონის ქუჩის, ფანასკერტელის და მისი მიმდებარე ქუჩების, იყალთოს გორის გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;
11. პოზიცია (ლოტი) - მიცკევიჩის, კუტუზოვის, საირმის, ბაგრატიონის და მათი მიმდებარე ქუჩების და ეზოების გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;
12. პოზიცია (ლოტი) - ვაჟა ფშაველას I კვარტლის გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;
13. პოზიცია (ლოტი) - ვაჟა ფშაველას III, IV, VI და VII კვარტლების გარე განათების ქსელების რეკონსტრუქცია;
14. პოზიცია (ლოტი) - ვაჟა ფშაველას II და V კვარტლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
15. პოზიცია (ლოტი) - ბარნოვის, ი. აბაშიძის, ფალიაშვილის და მათი გადამკვეთი ქუჩების და ეზოების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
16. პოზიცია (ლოტი) - ვაშლისჯვრის დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
17. პოზიცია (ლოტი) - ყიფშიძის, წყნეთის, ატენის და მათი მიმდებარე ქუჩების, ჭავჭავაძის გამზ. N11 ეზოს გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
18. პოზიცია (ლოტი) - დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12კმ (შავი სოფელი) დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
19. პოზიცია (ლოტი) - სამედიცინო ინსტიტუტის ეზოს, მორეტის ქუჩის და გზა დაცვის პოლიციიდან აღმაშენებლის ხეივნამდე გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
20. პოზიცია (ლოტი) - დიდი დიღმის დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
21. პოზიცია (ლოტი) - ქვემო ფონიჭალას დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
22. პოზიცია (ლოტი) - ორხევის დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
23. პოზიცია (ლოტი) - ვარკეთილი IV მ/რ II რიგის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
24. პოზიცია (ლოტი) - ვარკეთილის ზემო პლატოს (აეროდრომის დასახლება, ხომლელის ჯავახეთის, თრიალეთის, აბაიშვილის, ზ. ფანასკერტელის, ერთიანობისათვის მებრძოლთა და მიმდებარე ქუჩები) გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
25. პოზიცია (ლოტი) - III მასივის (საცხენისის, შუამთის, კალოუბნის, პანდუსები და მისი მიმდებარე ქუჩები) გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
26. პოზიცია (ლოტი) - ქინძმარაულის ქუჩის (მოსკოვის გამზირიდან აფრიკის დასახლების რკ. ხიდამდე) გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
27. პოზიცია (ლოტი) - მეტალოკონსტრუქციის დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
28. პოზიცია (ლოტი) - აფრიკის დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
29. პოზიცია (ლოტი) - მეველეს ქუჩის და შესახვევების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;
30. პოზიცია (ლოტი) - ვარკეთილი 3 II მ/რ - ის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

**შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:**

სანათების (შემსყიდველის მიერ მიწოდებული სანათებით) და კაბელების შეცვლა, გარე განათების კარადების შეცვლა, დაზიანებული ბოძების აღდგენა და ახალი ბოძების დაყენება.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვე.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 14 აგვისტოს 12 საათიდან 14 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 11 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, 92-07-86 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

აქცენტი

# ხელოვნება იქ, სადაც არაფერია?

## ეროვნული გალერეა ემზადება

*რამდენიმე წინა „აქცენტში“ საზოგადოებაში კულტურისადმი ანალიტიკური თუ კრიტიკული აზროვნების ნაკლებობაზე ვმსჯელობდით. იმაზე, თუ რამდენად აქტუალურია თანამედროვე ხელოვნება, იმაზე, თუ ვის რა ჰგონია თანამედროვე და ვინ როგორ იღებს პროფესიულ კრიტიკას, უბრალოდ, განსხვავებულ აზრს. მეტ-ნაკლებად ვისაუბრეთ იმ სახელოვნებო ორგანიზმებზეც და იმ მოვლენებზეც, რომლებიც დღეს პერიოდულად მაინც არიან აქტუალურნი და რომლებიც, როგორც ამბობენ ხოლმე, გარკვეულ ამინდს ქმნიან არტ-პროცესში, თუმცა აქ სიტყვა „პროცესი“ რომ ძნელი სათქმელია, ესეც არაერთხელ აღვნიშნეთ.*

სოფო კილასონია

იმის გამო, რომ თეატრალური საზოგადოების გარკვეული ნაწილი აშკარად გავანაწყენეთ (ჩვენთვის აუხსნელი მიზეზების გამო), საინტერესო კითხვა-პასუხს კულტურის პოლიტიკის იმ ნაწილში ვეძებთ, რომელიც ძირითადად თანამედროვე არტის სახვითსა და ვიზუალურ სფეროს ეხება. დიახ, ეს პატარა, მაგრამ დროებითი კომპრომისია...

მაშინ, როცა საზოგადოებისა და პროფესიული კრიტიკის ინერტულობას აღვნიშნავთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არასდროს, მით უფრო, მედია-ენით არ შეიძლება ცალმხრივად და ცალსახად საუბარი. ამიტომაც გვებადება კითხვა: რას ქმნის, ანდა რას გვთავაზობენ თავად ხელოვანები და თავად სახელოვნებო პროცესების მმართველები და მედიატორები ისეთს, რაც არა უბრალოდ პროფესიონალთა, არამედ საზოგადოების ინტერესს გამოიწვევს? რას გვთავაზობენ ისეთს, რაც არა მხოლოდ პროვოცირებას მოახდენს, არამედ ჩამოყალიბებასა და საზოგადოების აღზრდას მაინც მოახერხებს? დღეს ხომ ხშირად ამბობენ, რომ ნამდვილი ხელოვნება, „ღირებული“ შემოქმედება ახალგაზრდებს არ იზიდავს და რომ მათი ინტერესი სრულიად სხვა მხარეს არის მიმართული. ამბობენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრების სრულიად გავემიჯნოთ. ამას გარდა, იქნებ დროა დაისვას კონკრეტ-კითხვა: იქნებ პრობლემა თავად მოვლენებშია, ხელოვანებსა და აუდიტორიაში, რომლებიც ყურადღებას ვერ იპყრობენ?

სახვითი ხელოვნება, გამოფენები, თანამედროვე ხელოვნება, თანამედროვე ენა, ახალი მედიები და ა.შ. - ეს აშკარად ის სფეროებია, რომლებიც რეალურად არ ექცევიან ჩვენი თვალთახედვის სფეროში. ეს ის სფეროებია, რასაც ჩვენთან უსიცოცხლო ფერი ადევს და ამიტომ ნებისმიერი, განსხვავებული, კრიტიკული და სინამდვილესთან ახლოს მდგომი მოსაზრება ღიმილისმომგვრელი ხდება ხშირად. დღეს კიდევ ერთი, თემათა არააქტუალობის მხოლოდ მოსაზრებათა გაცვლა-გამოცვლა არ უშველის. მაგრამ თავი დავანებოთ სახელმწიფო დაწესებულებებს და გადავხედოთ იმ კერძო და ვითომ მობილურ სახელოვნებო ორგანიზმებს, რომლებსაც კერძო გალერეებს ვეძახით. გარკვეული პროცესის, კონკურენციის თუ საინტერესო ტენდენციების წარმოსაჩენად არც ისინი ილწვიან. თუ ათი წლის წინ მართლაც საინტერესო იყო მათი მუშაობა, დღეს ასე აღარ არის. მხატვართა პერსონალური გამოფენები, ისიც იშვიათად საინტერესო და ხშირად ქრონოლოგიური საზღვრებით გაერთიანებული. ამიტომაცაა, ქალაქს მეტად შეეტყო ის, რომ სურათების ეროვნული გალერეის ერთობ განელილი რემონტი უკვალოდ ყველამ შენიშნა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რასაც გვპირდებიან, ალბათ ღირს მოთმინება.

გალერეა, სადაც ჯერ არ დასრულებულა რემონტი, ნაწილობრივ მაინც განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, რომლის შედეგადაც არის გენერალური დირექტორი - ქალბატონი ქეთევან კორძახია, რომელიც ხელმძღვანელობს მენეჯერულ საქმიანობას და არტ-დირექტორი - ბატონი დავით ანდრიაძე, რომელიც შემოქმედებით პროცესებსა და მის პოლიტიკას უნდა გაუძღვეს. არსებული ხელმძღვანელობა ქვეყნის სტრუქტურებს ასე ხედავს: გამოსაჩენი პროგრამებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განხორციელება. პირველი კურატორია ჯგუფი მოიზრება, მეორეში კი - საზოგადოებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის წარმომადგენლები. თუმცა აქ სერიოზულ პრობლემებსაც ხვდებიან. გალერეას, რომელიც სულ მალე ახლებურად უნდა ამუშავდეს, ახალი ძალები და საინტერესო კადრები დასჭირდება.

დავით ანდრიაძე: „ჩვენთან კურატორობა ინსტიტუტი არ არსებობს. ეს რეალობაა. კურატორი უნდა იყოს კონცეპტუალურად მოაზროვნე სუბიექტი. მის გარკვეულ გამოცდილება მაინც უნდა ჰქონდეს, როგორც კრიტიკოსს, რომელსაც შეუძლია თავისი იდეები განახორციელოს, რადგან კურატორი ფაქტობრივად არის რეჟისორი, რომელიც დგამს სპექტაკლს და მასში მონაწილეობისთვის იწვევს იმას, ვინც მას სურს... ნაწილობრივ ეს იქნება ის კადრები, რომლებიც აქ დაგვხვდნენ. სხვათა შორის, კარგი ხელოვნებათმცოდნეები გვყავს, მაგრამ ჩვენ გვინდა ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა. გადასაჭრელია ერთი სერიოზული საკითხი. ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის ის, რომ დიპლომებში ეწეროთ შესაბამისი სპეციალობები. ისინი უნდა იყვნენ თანამედროვე ენის მცოდნენი. არ შეიძლება გაიგო პროცესი, თუ ეს ენა არ გესმის კარგად. პროცესის აღქმის გარეშე კი ვერაფერს ვერ შეაფასებ. ყველა სფეროში უნდა გვყავდეს პროფესიონალები, რომლებიც ჯერ არ ჩანან, მაგრამ ალბათ თანდათანობით უნდა აღიზარდონ.“



გალერეა ფუნდამენტურად იცვლება. ეს იქნება სრულიად სხვა სივრცე. ამუშავდება როგორც ერთი, ისე მეორე სართული. ჩნდება ახალი სივრცეები (მიშენებების სახით), რომლის ერთ ნაწილში გალერეის ინფრასტრუქტურა და სამეურნეო ტიპის სახელოსნოები განთავსდება, მეორე მხარეს იქნება არტ-კაფე, რომელიც ექსკლუზიური დიზაინით მიიპყრობს ყურადღებას.

ამბობენ, რომ ეროვნული გალერეა ნაწილობრივ გაძარცვული იყო: „წინა ხელმძღვანელთა დროს გალერეამ დიდი დანაკლისი განიცადა. მარტო ბრინჯაოს ფონდიდან 400 ნამუშევარი დაიკარგა. 200 ბრინჯაოს ქანდაკება და 200-ზე მეტი მედალი. საქართველოში აღარ არის სამედლო ხელოვნების ის ფონდი, რომელიც გალერეაში იყო. საქმე თავად ბრინჯაოს არ ეხება. ამ ფონდში იყო მთელი კლასიკა - ნიკოლაძის, აბაკელიას, ოჩიაურის, ამაშუკელის და სხვათა ნამუშევრები. ის, რაც გადარჩა, გალერეის ფილიალებში ინახებოდა (თერჯოლაში, ზესტაფონში). ისინი ახლა ჩამოვიტანეთ. იქ ხომ გაუსაძლის პირობებში იყო ეს ყველაფერი. მას შემდეგ, რაც ეს ნამუშევრები 20 წლის წინ ამ ფილიალებში ჩამოარიგეს, ისინი არავის გახსენებია. ფერწერა საშინელ მდგომარეობაშია. შედევრები ვირთხებმა შეჭამეს... მათ რესტავრირება ესაჭიროება. სპეციალისტები გვყავს, მაგრამ ყველაფერ ამას დამატებითი თანხები სჭირდება. ჩვენი ბიუჯეტი კი მხოლოდ ხელფასებს და კომუნალურ გადასახადებს ჰყოფნის“.

ეროვნული გალერეის გახსნა 2006 წლის ბოლოსთვის იგეგმება. როგორც გვეუბნებიან, ეს გამოიწვია არა იმდენად იმან, რომ კერძო სტრუქტურებისგან რემონტისთვის საჭირო თანხების მიღება ჭიანურდება, არამედ საორგანიზაციო და ინსტიტუციონალური მოწყობის სირთულეებმა. სირთულეები დაახლოებით ისეთი გახლდათ, როგორსაც ნებისმიერ სახელმწიფო-სახელოვნებო დაწესებულებაში წააწყდნენ ახალი კადრები. პირველ რიგში ეს კანონმდებლობის, არსებული რეალობისა და საჭიროების შეუსაბამობაა. მაგალითად, კანონის თანახმად, ჩვენთვის აშკარად საინტერესო დაწესებულება მუზეუმი გახლავთ და არა გალერეა. ეს კი იმიტომ, რომ არსებობს კანონი სახელმწიფო გალერეის შესახებ. რამდენად შეითავსებს გალერეა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ფუნქციებს? ვერანაირად. მიუხედავად იმისა, რომ მის ფონდებში 18 500 ექსპონატია რეგისტრირებული. ეს კიდევ სულ სხვა საკითხია და დღევანდელი თუ არა, ხვალ ამოსახსნელი ამოცანა...

თუმცა მაშინ, როცა ვსაუბრობთ პროცესის შექმნაზე, თანამედროვე ხელოვნების გალერეის წვლილიც მეტად დიდია (თუ მთავარი არა). ადრე ამ დაწესებულებაში 180 ადამიანი მუშაობდა. კადრები, ცხადია, გაბერილი გახლდათ. ჩემი რესპონდენტი ხუმრობს, რომ ამდენი თანამშრომელი ლუვრშიც არ არის. თუმცა, რა იყო ადრე, ეს ჩვენთვის ინტერესს კარგავს.

პირველი, რითაც გალერეა გაიხსნება, დავით კაკაბაძის გამოფენა იქნება. მისი ორგანიზება დაახლოებით 200 000 ლარი დაჯდება: „ჩვენ შეუჩვევლები ვართ იმას, რომ დიდ და საინტერესო პროექტებს დიდი თანხები სჭირდება. ამ მხრივ კულტურის სამინისტრომ სერიოზული ნაბიჯი გადადგა და თანხის ნაწილი ამისთვის გამოყო. ჩვენ მადლიერი ვართ სამინისტროსი, რომ მან ჩვენი სხვა პროექტიც დააფინანსა. ეს არის გალერეის კომპაქტდისკი. მასში შევა ყველაფერი, შენობის ისტორიით დაწყებული, სულ უკანასკნელ პერიოდამდე. არაფერი არ იქნება გამოტოვებული. ამ გალერეას აქვს თავისი ისტორია. მოგეხსენებათ თუ არა, 50-70-იანი წლების პერიოდის ტოტალიტარულ რეჟიმში მისი მუშობა, ეს მისი ისტორიაა. მთავარია, რომ მუშაობდა და ეს არის საინტერესო. ბოლო პერიოდში იქცა გაუგებარი ფუნქციის ორგანიზმად. მანამდე აქ ეწყობოდა ძალიან საინტერესო გამოფენები. ეს იყო ერთადერთი საშუალება, რათა პროცესისთვის გაევადევნებინა თვალი. პროცესს ვერ დააკვირდები მხატვრის სახელოსნოში. ის უნდა დაინახო გამოფენების ინსტიტუციურ რეჟიმში. როგორც კი ეს გამოფენა გაკეთდება, დავიწყებთ მუშაობას „სოც-რეალიზმის“ დიდ გამოფენაზე. ეს იქნება „სოც-რეალიზმის“ ქართული ვერსია - გამოფენა-ბომბი. ეს იქნება გამოფენა-გამოკვლევა, მთელი თავისი კულტუროლოგიური კონტექსტით. მარტო ექსპოზიცია არაფრის მომცემია. ეს უნდა იყოს მულტიკულტურული გამოფენა, რომელსაც ექნება კატალოგი და მის მომზადებაში ჩაერთვება მთელი სამეცნიერო აპარატი. დღეს უკვე პრესტიჟულია სოცრეალიზმი. თუ შენ იყავი სოცრეალისტი, ე.ი. იყავი გარკვეული კულტურული იდეის მატარებელი. ეს პანტოკრატია არ იყო მაინცდამაინც ნაცრისფერი ხალხი. ისინი ძლიერი სუბიექტები იყვნენ. მათ შორის იყო ბევრი უნიჭიერესი მხატვარი და ჰქონდათ ძალზე იშვიათი თვისებები. გადავხედოთ დღევანდელობას: იმარჯვებს ის, ხელისუფლების რჩეულია ის, ცნობადი სახეა ის, ვისაც აქვს ერთგვარი პარტოკრატიული თვისებები. ეს ძალიან დიდი ძალა, ნიჭი და მნიშვნელოვანი მონაცემია - ლავირების უნარი, რაც მათ თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. ჩვენთან მიღებული იყო, რომ სოციალურობა მხატვარს ხელს უშლის, ის აუცილებლად ლოთი და დეპრესიული ადამიანი უნდა იყოს. არადა, მხატვარი უნდა იყოს სოციალური სუბიექტი, სოციალური აქტიორი.“

გალერეას კიდევ სხვა გეგმებიც აქვს. მაგალითად, ჰენრი მურის ექსპოზიციის თბილისში ჩამოტანა, რისთვისაც ბრიტანეთის საელჩოსა და მურის ფონდთან აქვთ გარკვეული ურთიერთობა, თუმცა არტ-დირექტორს ჯერ ასე შორს ჩვენ არ გავყვებით. თავად აღიარებენ, რომ „ახალი ორგანიზმის კულტურულ და არტისტულ ინსტიტუციად ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდება“. მაგრამ სხვა გზა არ არის, რადგან ალტერნატივა არ გაგვაჩნია.

მხატვართა კავშირის არსებულ სახეს და ფორმას არათუ ყავლი გაუვიდა, არამედ, უბრალოდ, არაფრისმომცემია თავად მხატვრებისთვის. გარკვეული კატეგორია, რომელიც გალერისტებად თუ კურატორებად იქცევიან, სულაც არ ფლობენ იმ შემოქმედებით და მენეჯერულ მონაცემებსა და ინტერესებს, რომლებიც ამ ცნებებთან ახლოს იქნება. არადა, თანამედროვე არტ-ეპოქა გამოფენებისა და თხზვის ეპოქაა. ფანტაზიისა და დიდი პროექტების მთელი სერია. პროფესიული ენის ცოდნა მართლაც არ არის ქართული თუ ევროპული დიპლომების ფრიალი. ეს არის ცოდნა და ინტერესი, შემოქმედებითი მზერა და მაქსიმალურად ცხადად დანახვა იმისა, თუ სად და როგორ შეიძლება გამოავლინო ის, რასაც ჩვეულებრივი თვალი ვერ დაინახავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნიჭი ერთობ უნარად დარჩება, გარემონტებული გალერეა კი - უბრალოდ დალაგებულ სივრცედ. არადა, ეროვნული გალერეა სულ მალე იდეებსა და პროექტებს დაელოდება. მაგრამ სანამ თავად სფერო არ გახდება აქტუალური, რეალურად არაფერი შეიცვლება. აი, ვინ აქცევს მას აქტუალურად, ამ დავალებას ჯერ სხვადასხვა გმირები ერთმანეთს აკისრებენ...

მას შემდეგ, რაც ტრადიცული მხატვრობა და ხელოვნება ჩარჩოებში მოექცა, მან სრულად დაკარგა დამოუკიდებლობა. ზოგი უარყოფითად აფასებს კურატორის ინსტიტუტის ჩანაცვლებას, ზოგი კი ამბობს, რომ სხვაგვარად თანამედროვე ხელოვნება ვერ განვითარდებოდა. მას შემდეგ ვიცით: „თუნდაც მაშინ, როცა მხატვარი არ არის ფენომენალური, მაინც შეიძლება ისე წარმოჩინდეს, რომ მისდამი ინტერესი არ შენელდეს“. შესაბამისად, არტისტსაც უადვილდება იმ ეპოქაში ცხოვრება, რომელშიც ფასეულობები, ცნებები, კრიტერიუმები, ღირებულებები და დამოკიდებულებები ერთმანეთს შეერწყა და აირია.

ინტრიგა, კონტექსტი, აქტუალურობა, მანერა, როგორც პოზიცია და კიდევ სხვა არაერთი მსგავსი ხერხისგან შედგება ის ენა, რომელსაც ჩვენი ხელოვნებათმცოდნეები, კრიტიკოსები, გალერისტები ვერაფრით დაეუფლნენ. პასუხები ამგვარ ბრალდებებზე მრავალგვარია, მაგრამ რადიკალურ პოზიციებს რადიკალური პასუხებიც აქვთ. ხომ უთქვამთ, რომ ნამდვილ პროფესიონალებს ხელოვნების პოვნა იქ შეუძლიათ, სადაც ის სულაც არ ჩანს და არ არსებობს: „დღეს საუკეთესო შანსია იმისთვის, რომ შენ თვითონ შექმნა პროცესი, მოვლენა, სიტუაცია და ეს ეხება არტ-სივრცის სამივე სუბიექტს. როგორც მხატვარს, ისე კურატორსა და კრიტიკოსს.“

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად):

1. ლოტი - მიხეილ ჭიაურელის ქუჩა - 9 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 30 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 22 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 3 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

2.ლოტი - ლუბლიანას ქუჩა - 18 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 5 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა, 30 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 25 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 8 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა.

მომსახურების მოკლე დახასიათება: ხეების გადაბელვა, მოჭრა, გასხვლა და ნარჩენების გატანა.

**2**. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 დღე.

***3***. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 14 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 14 აგვისტოს 17.30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

***4***. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

***5***. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

***6.*** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 11 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***7.*** ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

***8.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის, შალიკაშვილის სახელობის (დიღმის) ხიდის, საარქივო დეპარტამენტის, ა.ელიაშვილის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის მართვის სიტემების ინსტიტუტის მხატვრული მინათების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 პოზიციად (ლოტად):

1.პოზიცია (ლოტი) - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის მხატვრული მინათება;

2. პოზიცია (ლოტი) - შალიკაშვილის სახელობის (დიღმის) ხიდის მხატვრული მინათება;

3. პოზიცია (ლოტი) - საარქივო დეპარტამენტის მხატვრული მინათება;

4.პოზიცია (ლოტი) - ა.ელიაშვილის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის მართვის სიტემების ინსტიტუტის მხატვრული მინათება;

**2.** სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვე.

**3.** განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 14 აგვისტოს 12 საათიდან 14 აგვისტოს 16.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**5.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**6.**სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 11 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**7.**ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**8.**ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

**9.**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# ქალაქ ოზურგეთის გამგეობა აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ქალაქის წყალმომარაგების სისტემის ჰიდრო-გეოლოგიური საძიებო სამუშაოების შესყიდვაზე

***კერძოდ: მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების რეჟიმული კვლევების ჩატარება, მათი ურთიერთკავშირის კანონზომიერების დადგენა და საექსპლუატაციო მარაგების გათვლა.***

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**სამუშაოს შესრულების სასურველი ვადა** - ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე.

**სამუშაოს მიწოდების ადგილი** - ოზურგეთის რაიონი (უბნის მიმოხილვითი რუკის შესაბამისად);

**დაფინანსების წყარო** - ადგილობრივი ბიუჯეტი;

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო კომისიას უნდა წარმოუდგინონ:

**- განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ** (დალუქვის გარეშე),

**- პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე და საკვალიფიკაციო მონაცემები** (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე, მიმდინარე წლის 14 აგვისტოს 17 სთ-მდე მისამართზე: 3500, ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა N3. II სართული (ქ. ოზურგეთის გამგეობა)

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

***ფიზიკური პირებისათვის:***

- მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არის ნასამართლევი და შესყიდვის მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ცნობა სასამართლოდან, ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა საბანკო ანგარიშის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

***იურიდილი პირებისათვის:***

- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და/ან სანაციის საქმისწარმოება;
- ცნობა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

***როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:***

- სახელმწიფო ლიცენზია შესაბამისი სახის საქმიანობის განხორციელების უფლების თაობაზე;
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების წარმოების გამოცდილების შესახებ (კონკრეტული სამუშაოს მითითებით).

საკვალიფიკაციო შერჩევის ეტაპზე სატენდერო კომისია განიხილავს და შეაფასებს პირველად სატენდერო წინადადებებსა და საკვალიფიკაციო მონაცემებს, რომლებიც საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას. აღნიშნული კომისიის დასკვნა წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადებები ხელმოწერილ ინდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის და/ან პრედენდენტი ფიზიკური პირის მიერ.

დაგვიანებით წარმოდგენილი წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელი სახით.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. Mმისი მიღება პრეტენდენტებს შეუძლიათ 2006 წლის (განცხადების გამოქვეყნებიდან+20 დღე)17 სთ-მდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - თეა მიმინოშვილს - 893 555 966. E-mail: teamiminoshvili@mail.ru




***სატენდერო კომისია***

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ჩვენს მიერ გაზეთ "24 საათში" (2006 წლის 29 ივნისი, N143. გვ.D4) ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება. კერძოდ: ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთათვის სატენდერო მოსაკრებელი ნაცვლად 300 (სამასი) ლარისა განისაზღვროს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

**სატენდერო კომისია**

## გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში სატენდერო კომისიის მიერ შეტანილი იქნა ცვლილება და განცხადების 5.3. მუხლის "ა" პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ა) ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ (გამოცდილება).

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია**

## განცხადება

ავეჯის შესყიდვის მიზნით შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" მიერ გაზეთ "24 საათის" 26.04.06წ N89(1241)-ში გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ი/მ "მარინა ლეგრანი" და 01.06.06წ გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება

## განცხადება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ სარემონტო სამუშაოების გამოცხადებულ ტენდერის შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

გაზეთ "24 საათის" 2006 წლის 8 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი სახის დამატება:

"ლოტი №6 - "საერთო საცხოვრებლის II-III სართულების ცალკეული ნაწილების მიმდინარე რემონტი. სამუშაოების შესრულების ბოლო ვადაა 2006 წლის 10 სექტემბერი".

## "განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

1. 2006 წ. 20 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) რეგიონული გეოლოგიის და ტექტონიკის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

ბ) მადნების გეოლოგიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

გ) პეტროლოგიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

დ) გეოქიმიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

ე) მინერალოგიის და იზოტოპური გეოქრონოლოგიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

ვ) ლითოლოგიის და ვულკანოლოგიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

ზ) სტრატიგრაფიის და პალეონტოლოგიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

თ) მიკროპალეონტოლოგიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

ი) ფიზიკურ-ქიმიური კვლევის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

კ) ფიზიკური კრისტალოგრაფიის განყოფილების უფროსი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,

ლ) სტრუქტურების მოდელირების ლაბორატორიის უფროსი / უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

6. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებასთან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (ჩV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

10. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში),

ბ) პატენტები,

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში,

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიური ხედვა;

ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

11. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

12. საბუთების მიღება იწარმოებს ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის საკონკურსო კომისიის სამდივნოში , მისამართი: მ.ალექსიძის ქ. 1/9.

13. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა (ერთი თვე).

14. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 25 აგვისტოს.

15. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია,
www.mes.gov.g e, www.acnet.ge,
e-mail: geolog@gw.acnet.ge,
ტელ: 33-00-75,
პასუხისმგებელი პირი - ივანე შველიძე.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საფოსტო ინდექსი 380079; აცხადებს უძრავი ქონების კერძოდ, მზა ფართის შესყიდვაზე ღია ტენდერს, შესასყიდი საქონლის მოკლე აღწერილობა: ფართი მინიმუმ 250კვმ მაქსიმუმ 300კვ.მ; მდებარეობა შემსყიდველის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ტექნიკურად და ფუნქციონალურად (ენერგო მომარაგება, საკომუნიკაციო და დაცვის სისტემები და სხვა) შეიძლება დაუკავშირდეს ძირითად ოფისს; მდგომარეობა - მზა ფართში უნდა არსებობდეს: 1) ფუნქციონირებადი წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის საერთო დგარები, სავენტილაციო არხები;

შესასყიდი საქონელი სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს, ასევე უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და წარმოდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

2. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის ოდენობის გადახდის შემდეგ, ბანკში "რესპუბლიკა" ანგარიშის N700198; კოდი 220101757; განცხადების გამოქვეყნებიდან 2006 წ. 14 აგვისტოს 15 სთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის "საქპატენტი"-ის ოფისში, სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან.

3. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა 15.08.2006წ. 10 სთ-დან 18.08.2006წ. 15 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი", სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ეკონომისტთან ბატონ შ. ქაჯაიასთან:

4. პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სახელმწიფო ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ და წესდება;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფართის საკუთრების და ყადაღის არ არსებობის შესახებ ამონაწერი, ასევე ორგანიზაციაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ დოკუმენტაცია.

**ფიზიკური პირისათვის:**

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი);
- პირადობის მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ფართის საკუთრების შესახებ ამონაწერი
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ყადაღის არ არსებობის შესახებ ამონაწერი

5. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს სატენდერო ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლის სახით, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პრეტენდენტებად არ დაიშვებიან ის ფიზიკური და იურიდიული პირები, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს.

7. სატენდერო წინადადებების გახსნა, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე მოხდება 2006 წლის 18 აგვისტოს დღის 15.00 სთ-ზე, პრეტენდენტი პირების თანდასწრებით.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და პაკეტის გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

8. აღნიშნულ ღია ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

***ყველა სახის ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს ბ-ნ შალვა ქაჯაიას მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი" ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6 ტელეფონი: 24 10 31 ; 24 მობ. 8 99 94 67 97.***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს სასწავლო კორპუსების საამშენებლო შეკეთებით სამუშაოებზე.

იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო- სპეცსახსრები.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი-1.სამკითხველო დარბაზის შეკეთება.

ლოტი-2.სასწავლო აუდიტორიების შეკეთება.

ლოტი-3.სასწავლო ლაბორატორიების შეკეთება.

ლოტი.4.საარქივო ოთახის ამოშენება -მოწყობა.

ლოტი-5. სპორტდარბაზის შეკეთება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

**იურიდიული პირებისათვის**:

-ამონაწერი სამეწარმოო რესტრიდან;

- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა(ცნობა საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტოდან)

-ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება.

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**ფიზიკური პირისათვის** :

-ცნობა ქმედუთუნარიანობაის შესახებ(შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან).

--ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

-შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითადად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

-ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში.

-იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ცნობებს. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქუთაის თამარმეფის N59 III კორპუსი კაბN112 2006 წლის 15 გვისტოს 14 საათამდე.

წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებეის პაკეტის გახსნა მოხდება 2006 წლის 15 აგვისტოს 15 საათზე. შემდეგ მისამართზე: ქუთაის თამარმეფის N59 III კორპუსი კაბ.N112

-დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით.

შემდეგ ანგარიშზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი "თი-ბი-სი"ბანკის ქუთაისის განყოფილებაანგN340801002 ს\კ212693049 ბანკის კოდი 220101888.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორნმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებიდან 1.სატენდერო კომისის თავმჯდომარე ზ.სოხაძე ტ-8231-4-53-45.

2.ლაღაძე რაჟდენი ტ8231-4-31-79 899-17-56-97

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს სასწავლო კორპუსების აღდგენა შეკეთებითი საამშენებლო სამუშაოებზე.

იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო- სპეცსახსრები.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი-1.გადახურვითი სამუშაოები. ლოტი-2.სასწავლო კორპუსების ფასადების დაყენებაა.

ლოტი.3.კორპუსების კორიდორების შეკეთება

ლოტი-4სპოტრული მოედნების მოწყობა .

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:

-საამშენებლო ორგნიზაციებსუნდა გააჩნდეს შემდეგი სახის ლიცენზია:

საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა ნაგებობის მშენებლობა;

- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

**იურიდიული პირებისათვის**:

-ამონაწერი სამეწარმოო რესტრიდან;

- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა(ცნობა საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტოდან)

-ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება.

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**ფიზიკური პირისათვის** :

-ცნობა ქმედუთუნარიანობაის შესახებ(შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან).

-ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

-შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები).

- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითადად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

-ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, ლარებში.

-იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ცნობებს. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: ქუთაის თამარმეფის N59 III კორპუსი კაბN112 2006 წლის 15 გვისტოს 14 საათამდე.

წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებეის პაკეტის გახსნა მოხდება 2006 წლის 15 აგვისტოს 15 საათზე. შემდეგ მისამართზე: ქუთაის თამარმეფის N59 III კორპუსი კაბ.N112

-დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით.

შემდეგ ანგარიშზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი "თი-ბი-სი"ბანკის ქუთაისის განყოფილებაანგN340801002 ს\კ212693049 ბანკის კოდი 220101888.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორნმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებიდან 1.სატენდერო კომისის თავმჯდომარე ზ.სოხაძე ტ-8231-4-53-45.

2. ლაღაძე რაჟდენი ტ8231-4-31-79 899-17-56-97

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

25 მაისი 2006 წ. ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ჟანა ჯიბლაძემ ერთპიროვნულად განვიხილე შპს "პეიჯინგ აჭარის" დირექტორის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.

გამოვარკვიე:

შპს "პეიჯინგ აჭარის" გენერალურმა დირექტორმა ა. ცივაძემ 2006 წლის 08 თებერვალს განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 თებერვლის განჩინებით სასამართლო წარმოებაში იქნა მიღებული შპს "პეიჯინგ აჭარის" გენერალური დირექტორის ა. ცივაძის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.

გაკოტრების განცხადების წარმოებაში მიღებიდან 45 დღის გასვლამდე, სასამართლოს მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საფუძვლების შესამოწმებლად, "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 09 მარტის განჩინებით, შპს "პეიჯინგ აჭარის" მიმართ დაინიშნა საბუღალტრო ექსპერტიზა. ექსპერტს გადასაწყვეტად დაესვა შემდეგი კითხვები:

ა) არის თუ არა დღეისათვის შპს "პეიჯინგ აჭარა" გადახდისუუნარო და გააჩნია თუ არა მას ზედავალიანება;

ბ) საკმარისია თუ არა მოვალის ქონება გაკოტრების საქმის წარმოების ხარჯების დასაფარად.

საქმის მასალები განჩინებასთან ერთად გადაეგზავნა ექსპერტს.

საქმის სიროთულის გამო, საბუღალტრო ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარების უზრუნველსაყოფად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 მარტის განჩინებით, გაკოტრების საქმის წარმოების ვადა გაგრძელდა ერთი თვით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 19 აპრილს განცხადებით მომართა შპს "ექსპერტ-აუდიტის" დირექტორმა დ. შარაშენიძემ და სასამართლოს წარუდგინა შპს "ექსპერტ-აუდიტის" დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა შპს "პეიჯინგ აჭარის" ფინანსური მდგომარეობის აუდიტორული შემოწმების შესახებ.

სასამართლომ, გაეცნო რა აუდიტორულ დასკვნას, მიიჩნია, რომ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული და გაურკვეველია, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 აპრილის განჩინებით დაინიშნა დამატებითი ექსპერტიზა. ექსპერტს გადასაწყვეტად დაესვა შემდეგი კითხვა: საკმარისია თუ არა მოვალის ქონება მისი დღევანდელი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით გაკოტრების საქმის წარმოების ხარჯების დასაფარად. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება დაევალა არასაექსპერტო დაწესებულებას - შპს "ექსპერტ-აუდიტს". საქმის მასალები განჩინებასთან ერთად გადაეგზავნა ექსპერტს.

ვინაიდან გაკოტრების საქმის წარმოების ვადაში არ ესწრებოდა დამატებითი საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 27 აპრილის განჩინებით, გაკოტრების საქმის წარმოების ვადა გაგრძელდა კიდევ ერთი თვით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 მაისს განცხადებით მომართა შპს "ექსპერტ-აუდიტის" დირექტორმა დ. შარაშენიძემ და სასამართლოს წარუდგინა შპს "ექსპერტ-აუდიტის" დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა შპს "პეიჯინგ აჭარის" ფინანსური მდგომარეობის აუდიტორული შემოწმების შესახებ. წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით შპს "პეიჯინგ აჭარის" ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა აქტივების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 58 234 ლარს. შპს "პეიჯინგ აჭარის" ბალანსზე რიცხული ქონების საბაზრო ღირებულება შეფასების მომენტისათვის შეადგენს 489 (ოთხას ოთხმოცდაცხრა) ლარს, რაც არ არის საკმარისი გაკოტრების საქმის წარმოების ხარჯების დასაფარად.

სასამართლომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმებისა და შპს "ექსპერტ-აუდიტის" დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე დაადგინა, რომ მოვალის ქონება "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული წარმოების ხარჯების დასაფარად არასაკმარისია.

"გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიაჩნია, რომ უარი უნდა ითქვას გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე და განჩინების ძალაში შესვლისთანავე შპს "პეიჯინგ აჭარა" ლიკვიდირებულ უნდა იქნეს. ლიკვიდაცია უნდა წარიმართოს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიხელმძღვანელე რა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3, მე-9 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით,

დავადგინე:

1. შპს "პეიჯინგ აჭარის" გენერალური დირექტორის ა. ცივაძის განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

2. უარი ეთქვას მოვალეს შპს "პეიჯინგ აჭარის" მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე.

3. ლიკვიდირებულ იქნას შპს "პეიჯინგ აჭარა". ლიკვიდაცია წარიმართოს "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ეს განჩინება გამოქვეყნდეს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად.

5. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში.

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჟანა ჯიბლაძე**

# ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია

**1.** ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N43-ში მდებარე შენობის (პროფგაერთიანების ადმინისტრაციული კორპუსები) სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების (I-II სართული, სანტექნიკური სამუშაოები, გათბობის სისტემა, თბოტრასა, საქვაბე) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2**. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს სამი თვე.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 24 ივლისის 10.00 საათიდან იმავე წლის 14 აგვისტოს 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)

ეროვნული ბანკი

ანგ. N 200122900

ბანკის კოდი: 220101107

სახაზინო კოდი: 300034040

**5.** პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 აგვისტოს 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნინო დოლიძე და ეკა ბასილაშვილი, ტელ: (995-32) 98-82-14, (995-32) 93-37-90, ან მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია, ოთახი N014.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი" კოსტავას 43 საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს ინსტიტუტის საჭიროებისათვის რეაქტივების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი 1. რეაქტივები ინვიტროგანაყოფიერებისათვის.

3. საქონლის მიწოდების პირობები: საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი" კოსტავას 43.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 11 აგვისტოს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი", კოსტავას 43. ბუღალტერია. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 11 აგვისტოს 15 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია რეაქტივების საბითუმო რეალიზაციაზე;

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები საქართველოს ბანკი, ცენტრალური ფილიალი. კოდი №220101502, ანგარიშის №100609220, საიდენტიფიკაციო კოდი №203826645 (სატენდერო მოსაკრებელი) შემდეგ მისამართზე: კოსტავას 43 შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი". ბუღალტერია.

12. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მედიკო კევლიშვილი, ტელ.: 988129, მისამართზე: კოსტავას 43 შპს "ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი".

მოკლედ

## ქვანია ფინალს მიღმა დარჩა

პლოვდივში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე შორს წასული კახაბერ ჟვანიაც ჩამოშორდა. 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველი ნახევარფინალში მასპინძელ სპას გენოვთან დამარცხდა.

## კოკაიმ კოტომისუკიც დაამარცხა

გუშინ ქართველმა სუმოისტმა კოკაიმ ივლისის ბაშოზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ლევან ცაგურიამ გამოცდილ და ძლიერ მებრძოლს სძლია. კოკაის მეტოქე დასავლეთ კონფერენციის სეკივაკე კოტომისუკი იყო. ქართველმა კარგად ჩაატარა ორთაბრძოლა და ჰიკიტოშის ილეთით დასცა კოტომისუკი.

ასპარეზობის 13 დღის შემდეგ ქართველს 9 გამარჯვება და ოთხი მარცხი აქვს, რაც რეიტინგის გაუმჯობესების სრული გარანტიაა.

დღეს ლევანს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა ელის. მისი მეტოქე დასავლეთ კონფერენციის ოძეკი ტაშიაცუმა იქნება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი ოთხჯერ შეხვდა ტაშიაცუმას და ოთხჯერვე დამარცხდა.

## „ბაიერნმა" „რეალს" აჯობა

ბრიტანული მედიის ინოფრმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელმაც ორიოდე დღის წინ უარით გაისტუმრა მადრიდის „რეალი" რუუდ ვან ნისტელროოის ტრანსფერთან დაკავშირებით, მაინც გაყიდის ჰოლანდიელ ბომბარდირს, ოღონდ სამეფო კლუბის ნაცვლად მიუნხენის „ბაიერნში".

გერმანელები ფეხბურთელში 14.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიან, „მანჩესტერი" კი 15 მილიონს ითხოვდა. როგორც ჩანს, ორი კლუბი სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდა და მომავალ სეზონს 29 წლის ჰოლანდიელი თავდამსხმელი „ბაიერნში" გაატარებს. შეგახსენებთ, რომ მანკუნიანელებმა „რეალის" წინადადება თანხის გამო დაიწუნეს. ესპანელები ფეხბურთელში 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიდნენ.

## კაპელოს რონალდო სჭირდება

ორიოდე დღის წინ რონალდოს წარმომადგენელმა შეატყობინა მადრიდის „რეალის" ახალ ხელმძღვანელებს, რომ „ფენომენს" სამეფო კლუბის დატოვება არ სურს. ეს ამბავი ძალიან მოეწონა ფაბიო კაპელოს, რომელსაც ასევ უნდა რონალდოს გუნდში დატოვება.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს ამ ცოტა ხნის წინ მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. ამიტომ ახლა ვერ ვარჯიშობს. მიუხედავად ამისა, კაპელომ თხოვნით მიმართა რონალდოს, რომ ჩავიდეს ავსტრიაში, სადაც მადრიდის „რეალი" წინასასეზონო სამზადისს გადის და, უბრალოდ, გუნდთან ერთად იყოს.

ამავე დროს, ფაბიო კაპელოს განცხადებით, კლუბი უახლოეს მომავალში კიდევ სამი ფეხბურთელის შეძენას აპირებს. როგორც იცით, „რეალმა" უკვე იყიდა ემერსონი და კანავარო. მათ გარდა, სამეფო კლუბის ინტერესის სფეროში აღმოჩნდნენ კაკა, ფაბრეგასი და არიენ რობენი.

კაკას ყიდვა, ალბათ, შეუძლებელი იქნება, ვინაიდან „მილანმა" ეს ფეხბურთელი „ჩელსის" 70 მილიონ გირვანქადაც კი არ მიჰყიდა და ძნელი წარმოსადგენია, რომ „რეალმა" მეტის გადახდა შეძლოს.

## მანდელა საჩუქრებს გაყიდის

„მანჩესტერ იუნაიტედი" სამხრეთაფრიკულ ტურნეში იმყოფება. ამ დღეებში 88 წელი შეუსრულდა ნელსონ მანდელას. ცხადია, მანკუნიანელებს ეს არ გამორჩენიათ და ნობელის პრემიის ლაურეატს საჩუქრები მიართვეს. საჩუქრების ნაწილი გასაყიდად არის განკუთვნილი. ბრიტანული კლუბის მესვეურებმა მანდელას „მანჩესტერ იუნაიტედის" საფეხბურთო ატრიბუტიკით შემკული ნივთები აჩუქეს, რომლებიც შემდეგ აუქციონზე გაიყიდება, შემოსული თანხა კი შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში გადაირიცხება.

ერთი საჩუქარი კი აუცილებლად დარჩება მანდელას. კლუბმა მას 88-ნომრიანი მაისური აჩუქა.

## ვიეირა თითქმის „ინტერის" ფეხბურთელია

„გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, „იუვენტუსის" ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა, ფაქტობრივად, უკვე მილანის „ინტერის" ფეხბურთელია. საყრდენი ნახევარმცველის სატრანსფერო ფასი 14 მილიონი ევრო იქნება. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა" ერთი წლის წინათ „არსენალს" ვიეირაში 20 მილიონი ევრო გადაუხადა.

## „ბარსელონა" გაძლიერდა

ლილიან ტურამი და ჯანლუკა ძამბროტა უკვე „ბარსელონას" ფეხბურთელები არიან. იტალიელმა მცველმა კატალონიურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ტურამმა კი ორი წლით დაუკავშირა ბედი ევროპის საკლუბო ჩემპიონს.

კატალონიურმა კლუბმა ძამბროტაში 14 მილიონი ევრო გადაიხადა, ტურამში კი - 5.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალი. „ბარსელონა" საოცრად ჭკვიანურ სატრანსფერო პოლიტიკას ატარებს. თუ გრანდების უმეტესობა ვარსკვლავებს დასდევს, „ბარსამ" სწორედ ის პოზიცია გააძლიერა, რომელშიც პრობლემები ჰქონდა.

თუ გასულ სეზონში „ბარსელონას" ყველაზუ სუსტი წერტილი დაცვა იყო, ახლა ამის თქმა უკვე შეუძლებელია. ტურამისა და ძამბროტას ყიდვით რაიკაარდმა ეს პრობლემაც მოხსნა და მომავალ სეზონში კატალონიური გრანდი გაცილებით უფრო ძლიერი იქნება.

## ბიელსა ნაკრებში ბრუნდება

63 წლის მარსელო ბიელსა უახლოეს დღეებში არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს. პეკერმანის წასვლის შემდეგ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ ბიელსას შესთავაზა მწვრთნელობა და მისგან თანხმობაც მიიღო. ბიელსა უკვე მუშაობდა არგენტინის ნაკრებში და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ორჯერ მოახერხა კოპა ამერიკას მოგება. 1990 წელს კი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალშიც ითამაშა.

## ოსიმი იაპონელებს გაწვრთნის

გუშინ ბოსნიელი სპეციალისტი ივიცა ოსიმი ოფიციალურად დაინიშნა იაპონიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ოსიმი იაპონიის ნაკრებს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოამზადებს.

**ქირავდება 350მ2 ფართი, საოფისე 300მ2, 170მ2 ეზოთი, 150მ2 სასაწყობო ფართით, აეროპორტის დასახლებაში. ფასი 2500$. ტელ: 899516312.**

TV5MONDE

## 22 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV-5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV-5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **08.30** სამხრეთის ანარეკლი. **11.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **11.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.40** "შატოების" ისტორია. **14.05** სოფელი: სენტ ანტოინი სურ რიშელიე. დოკ.ფილმი. **16.30** სპორტული მოედანი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** ანიბალი. მხ.ფილმი. რეჟისორი პიერ ბუტრონი. 2000. **23.00** მსოფლიოს ყველაზე დიდი კაბარე. **01.20** ფორტ ბოიარდი. **04.40** მივიწყებული კუნძული. დოკ. ფილმი.

## 23 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV-5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV-5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **09.30** როდესაც შავი ოქრო საფრთხეს უქმნის ჟანმრთელობას. დოკ.ფილმი. **11.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **11.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.30** ქრონიკები მთიდან. **14.05** მივიწყებული კუნზული. დოკ.ფილმი. **21.30** კრისტიან დიორი კუტიურიე და მისი ორეული. დოკ.ფილმი. **23.00** ფელიქს ლეკლერკი. ტელესერიალი. **01.20** რუმბა. მხ.ფილმი. რეჟისორი როჟე ჰანენი.1987. **04.40** კრისტიან დიორი კუტიურიე და მისი ორეული. დოკ.ფილმი.

# „უსტიაშვილი და კომპანია" ელიტდივიზიონის რუბიკონთან



*საქართველოს ნაკრებს ფავორიტად არავინ მიიჩნევდა, მაგრამ...*

მიხეილ აბაიშვილი

ლისაბონში მიმდინარე B დივიზიონის ევროპის ჩემპიონატზე 20 წლამდე ასაკის კალათბურთელთა შორის შთამბეჭდავად გამოდის საქართველოს ნაკრები. ჩვენმა გუნდმა ჯერ პირველ ეტაპზე იასპარეზა წარმატებულად, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მეოთხედფინალურ ქვეჯგუფში ჯერ ჩეხეთს სძლია (98:88), შემდეგ უკრაინას (85:71), რითაც პრაქტიკულად გაინაღდა ნახევარფინალში თამაშის უფლება. ქვეჯგუფის ბოლო მატჩში თითქმის უმოტივაციოდ დარჩენილმა საქართველოს ნაკრებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია პოლონელ თანატოლებს, რომლებსაც ნახევარფინალში გასასვლელად მოგება სჭირდებოდათ. ჩვენები 12-ქულიანი სხვაობით დამარცხდნენ (73:85), რის გამოც ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ და ნახევარფინალში ფინეთის ძლიერ ნაკრებთან მოუწევთ შეჭიდება. ამ გუნდს საქართველოს ნაკრები პირველ ჯგუფურ ტურნირზე უკვე შეხვდა და 6-ქულიანი სხვაობით დამარცხდა (81:87). ეს იყო პირველი მატჩი, რომლის შემდეგ ფინელებმა, მეოთხედფინალური შეხვედრების ჩათვლით, ყველა მატჩში იმარჯვეს და დამსახურებულად ითვლებიან ტურნირის ფავორიტებად. შეგახსენებთ, რომ ელიტურ A დივიზიონში გადასასვლელად ფინალში გასვლაა საჭირო. ნახევარფინალური მატჩები დღეს გაიმართება. გუშინ „24 საათი" ლისაბონში დაუკავშირდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს დავით უსტიაშვილს.

**- მეორე ჯგუფური ტურნირიც წარმატებით დაძლიეთ, თუმცა, პოლონელებთან უკეთ თამაშის შემთხვევაში ტურნირის ფავორიტთან, ფინეთთან ნახევარფინალში შეხვედრას აიცილებდით. თქვენი კომენტარი მეოთხედფინალურ ტურნირზე...**

- რთული თამაშების ჩატარება მოგვიხდა. სამივე მეტოქე მაღალი კლასის იყო. მეოთხედფინალურ ტურნირში გასული რვა გუნდი მეტ-ნაკლებად თანაბარი კლასის იყო, რაც მატჩების შედეგებმაც დაადასტურა. ჩემი გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხით და შედეგით კმაყოფილი ვარ. როდესაც ამ ტურნირზე მოვდიოდით, ფავორიტად არავინ გვთვლიდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ნახევარფინალში გასვლას მოვახერხებდით. დღეს უკვე სხვა თვალით გვიყურებენ. პოლონეთთან მარცხი ძალიან სამწუხაროა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩეხეთს რომ უკრაინა დაემარცხებინა, ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდოდით. თუმცა, ძნელი სათქმელია, ნახევარფინალში ვისთან გვერჩივნა თამაში - ფინეთთან თუ მაკედონიასთან. ფინელებთან კი დავმარცხდით, მაგრამ გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით. რაც შეეხება მაკედონიას, ამ გუნდის თამაში ტანმაღალ „ცენტრზეა" აგებული. მისი სიმაღლე 215 სანტიმეტრია და ფიზიკურად ბრწყინვალედ არის მომზადებული. მისი ნეიტრალიზება ძალიან გაგვიჭირდებოდა, რადგან, პრაქტიკულად, „ცენტრის" გარეშე გვიწევს თამაში.

**- რას იტყვით ფინეთის ახალგაზრდულ ნაკრებზე?**

- ძალზე კარგი, დაბალანსებული, ბრძოლისუნარიანი და გამოცდილი გუნდია. ჩვენგან განსხვავებით, პორტუგალიაში გამგზავრებამდე ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადა. ჩვენ მხოლოდ ერთთვიანი შეკრება ჩავატარეთ, სპარინგ-პარტნიორები კი ვერ გამოვნახეთ, თუმცა კალათბურთის ფედერაციამ ყველაფერი იღონა ამისთვის.

**- როგორ შეაფასებთ შანსებს ხვალინდელ მატჩში?**

- ზოგს ფავორიტად ფინეთი მიაჩნია, მაგრამ ამ მოსაზრებას არ დავეთანხმები. ნახევარფინალში ფავორიტი არ არსებობს. ბევრი ვიშრომეთ იმისთვის, რომ ამ წარმატებისთვის მიგვეღწია. ერთი ნაბიჯი დაგვრჩა გადასადგმელი და ყველაფერს ვიღონებთ, რომ ეს ნაბიჯი გადავდგათ. მეორე საქმეა, რომ ძალიან გაგვიჭირდება. ფინელებს ერთი უპირატესობა აქვთ - გრძელი სათადარიგო სკამი. განაცხადში შეყვანილი თორმეტივე კალათბურთელი მონაწილეობს თითოეულ მატჩში. საქართველოს ნაკრებში 7-8 გამოცდილი მოთამაშეა, რომელთა მხრებზეც გადაიარა ამ მომქანცველმა ტურნირმა. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა, შედარებით გამოუცდელებსაც მივცეთ თავის გამოჩენის შანსი, თუმცა, წინდაწინ რაიმეს თქმა ძნელია.

# სერენა უილიამსი შეიძლება გაველურდეს


*სერენა უილიამსს აშშ-ის ღია ჩემპიონატზე თამაში უნდა.*

*აშშ-ის ღია ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულს (1999 და 2002 წწ), ამერიკელ ჩოგბურთელს სერენა უილიამსს სავსებით შესაძლებელია 2006 წლის აშშ-ის ღია ჩემპიონატზე სათამაშოდ „ველური ბარათი" დასჭირდეს!*

უმცროს უილიამსს, რომელსაც არასდროს ღირსებია ყოფილიყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ამჟამად ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის (WTA) რეიტინგის 139-ე საფეხური უკავია. ეს ადგილი კი ნამდვილად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მშობლიურ „დიდი სლემის" ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდეს. ის, რომ სერენა უილიამსი შეიძლება აშშ-ის ღია ჩემპიონატის მიღმა აღმოჩნდეს, იმით არის გამოწვეული, რომ თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ტრავმის გამო კორტზე არ გასულა.

ახლა ამერიკელი ჩოგბურთელი ძალებს იკრებს - მოიშუშა ტრავმა და ფორმაშიც სწრაფად შედის. ცინცინატში მიმდინარე ტურნირზე სერენა უილიამსმა მერვედფინალური ბარიერი გადალახა და თუ გამარჯვებათა სერიას გააგრძელებს, შესაძლოა აშშ-ის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორებისგან მიწვევაც აღარ დასჭირდეს („დიდი სლემის" სერიათა ტურნირების ძირითად ბადეში პირდაპირ ხვდებიან ის ჩოგბურთელები, რომლებიც 120 საუკეთესოს შორის არიან).

თუ სერენა უილიამსმა ითამაშა აშშ-ის ღია ჩემპიონატზე, ის გახდება ერთ-ერთი იმ შვიდ ჩემპიონთაგანი, რომელიც უმთავრესი ჯილდოსთვის იბრძოლებს. ნიუ იორკის კორტებზე კი იბრძოლებენ უწინდელი გამარჯვებულები: ვინუს უილიამსი, ლინდსეი დევენპორტი (აშშ), კიმ კლიისტერსი, ჟუსტინ ენენ-არდენი (ორივე ბელგია), სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) და მარტინა ჰინგისი (შვეიცარია).


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**
**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06
893 65 38 39



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# განცხადება ტენდერის შესახებ

1. ზუგდიდის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს ქ. ზუგდიდის ბაგა-ბაღების კვების პროდუქტების შესყიდვაზე **(შესასყიდი პროდუქტების ჩამონათვალი მოცემულია N1 დანართში)** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შესასყიდი პროდუქტების მოცულობები დაიყოფა 4 ლოტად.

**1 ლოტის** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად;

**2, 3 და 4 ლოტის** საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს კვირაში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად.

4. მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით **2006 წლის 15 აგვისტოს 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის რაიონის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N17.** სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირისათვის**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ბ) ცნობა შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდეგნილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

6.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

გ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაბამისი ორგანოს მიერ).

6.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);

ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას

8. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, ანგარიშწორების რეკვიზიტებს.

9. დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

10. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 15 აგვისტოს 15 სთ-ზე**, სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტების თანდასწრებით, ზემოთ არნიშნულ მისამართზე.

11. იურიდული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

12. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ **2006 წლის 11 აგვისტოს 15 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, ზუგდიდის რაიონის გამგეობა, მე-3 სართული, ოთახი N17.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

13. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: **ს.ს. "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალის სერვის ცენრი N37, ბაკის კოდი 220101502, ანგარიშის ნომერი 126134400**.

14. ტენდერის შედეგად ყოველ ცალკეულ ლოტზე გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: **ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N90, მე-3 სართული, მე-17 ოთახი, ზუგდიდის რაიონის გამგეობა, საკონტაქტო ტელეფონი: 5-10-53, მობ.: 893-79-88-85.**

*სატენდერო კომისია*

*დანართი №1*

| რიგითი № | მისაწოდებელი საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| *I ლოტი* | | | | *ქ. ზუგდიდის ბაგა-ბაღის 16 ობიექტი* |
| 1 | პური | კგ. | 26400 | |
| *II ლოტი* | | | | |
| 1 | კარაქი | კგ. | 2240 | |
| 2 | კვერცხი | ცალი | 24000 | |
| 3 | ხორცი | კგ. | 6400 | |
| 4 | თევზი | კგ. | 1440 | |
| 5 | პურის ფქვილი | კგ. | 1200 | |
| 6 | ზეთი | ლიტრი | 880 | |
| 7 | შაქარი | კგ. | 3200 | |
| 8 | ბრინჯი | კგ. | 1600 | |
| 9 | მაკარონი | კგ. | 1600 | |
| 10 | ლიმონი | კგ. | 800 | |
| 11 | წიწიბურა | კგ. | 1200 | |
| 12 | მანის ბურღული | კგ. | 960 | |
| 13 | ჩაი | კგ. | 176 | |
| 14 | კაკაო | კგ. | 200 | |
| 15 | ასკილი | კგ. | 400 | |
| 16 | რძის ფხვნილი | კგ. | 1760 | |
| 17 | მარილი | კგ. | 880 | |
| 18 | ტომატი | კგ. | 352 | |
| 19 | სტაფილო | კგ. | 960 | |
| 20 | ჭარხალი | კგ. | 400 | |
| 21 | კომბოსტო | კგ. | 2000 | |
| 22 | კარტოფილი | კგ. | 22400 | |
| 23 | ხახვი | კგ. | 1760 | |
| 24 | კამფეტი | კგ. | 400 | |
| 25 | ნიორი | კგ. | 400 | |
| 26 | მწვანილი | კგ. | 1280 | |
| 27 | ხმელი სუნელი | კგ. | 400 | |
| 28 | ყველი | კგ. | 960 | |
| 29 | ხილი | კგ. | 1600 | |

***შენიშვნა:*** *ცხრილში მითითებული რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ჟინერი" აცხადებს ტენდერს ცემენტის შესასყიდად და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ცემენტი 3000 ტონა (მ-400):

ცემენტის შესყიდვა იწარმოებს 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნილებისამებრ, მიწოდების ადგილი - დაბა ჟინვალი.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარი, შემდეგ რეკვიზიტზე სს "თიბისი" ბანკი, კოდი 220101830, ანგარიშის ნომერი 102467775, მიმღები შპს "ჟინერი".

3. სატენდერო მოსაკრებლის ანაზღაურების შემდეგ პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო დოკუმენტაციის სრულ პაკეტს შპს "ჟინერის" სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45 (მე-7 სართული), ტელ: 301530.

4. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით ქართულ ენაზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:

იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- ცნობა ნასამართლეობის შესახებ.

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

7. განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და ერთიანი დახურული კონვერტით წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2006 წლის 05 სექტემბრის 15:00 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45 (მე-7 სართული), შპს "ჟინერი", სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ: 421150, 377724.

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 05 სექტემბერს 15:00 საათზე.

9. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

10. ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45 (მე-7 სართული), შპს "ჟინერი", სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ: 421150, 377724.

# განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ბიოქიმიის განყოფილება;

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევისა და მეტაბოლიზმის განყოფილება;

ნეიროანატომიის განყოფილება;

ნეიროფიზიოლოგიის განყოფილება;

ქცევისა და კოგნიტიური ფუნქციების განყოფილება;

მემბრანოლოგიის ლაბორატორია;

ძილისა და ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა განცხადებას თან უნდა დაურთოს შემდეგი საბუთები:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია;
3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
5. 1 სამეცნიერო ნაშრომისტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
6. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.) - მხოლოდ მათთვის, ვისაც სურთ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება;
7. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, თანამდებობა, მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა) (სასურველია);
8. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

საბუთების წარმოდგენის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: 0160 თბილისი, გოთუას ქ. 14. ტელ.: 37-12-31, 37-11-65. საკონტაქტო პირი ნარგიზ ნაჭყებია.

# განცხადება საკონკურსო ვაჭრობაზე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი**

**ილტოს სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია ახმეტის რაიონში**

საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი (IDA): N 35421-GE; გრანტი: N H1760

პროექტის საიდენტიფიკაციო N PO55068

IFB N PCC/IDCDP/CW/NCB/12-2006

საქართველოს მთავრობამ მიიღო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტი და გრანტი ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტისა და გრანტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს ახმეტის რაიონში ილტოს სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის N PCC/IDCDP/CW/NCB/12-2006 კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის.

ილტოს სათავე ნაგებობა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ახმეტის რაიონში მდ. ილტოზე, თბილისიდან 210 კმ მანძილზე. ნაგებობა ემსახურება ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის წყლით უზრუნველყოფას. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილის-თელავი-ახმეტის ასფალტირებული საავტომობილო მაგისტრალით. მანძილი ქ. ახმეტადან სათავე ნაგებობამდე შეადგენს 5 კმ-ს.

პროექტი მოიცავს სათავე ნაგებობის დანგრეული რისბერმის აღდგენას, თევზსავალის, კაშხლის ყრუ ნაწილის მოსახვის, წყალსაშვიანი ნაწილის, გამრეცხი რაბის, წყალსაცემი ჭის, სანაპირო კედლების დაზიანებული უბნების აღდგენა-შეკეთებას, საექსპლუატაციო ხიდის რემონტს, მწყობრიდან გამოსული ჰიდრომექანიკური და ელექტრომოწყობილობის დემონტაჟს, კომპლექტაციას და მონტაჟს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში, შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად:

- გრუნტის დამუშავება - 10535 მ3;
- გრუნტის უკუჩაყრა და ხარისხოვანი ყრილების მოწყობა - 10350 მ3;
- ფლეთილი ქვის წყობა - 2893 მ3;
- ხრეშოვანი მომზადება - 34 მ3;
- დაზიანებული ბეტონის დანგრევა - 175 მ3;
- მონოლითური ბეტონი და რკ/ბეტონი - 540 მ3;
- რკ/ბ ბლოკების დემონტაჟი და მონტაჟი - 176 მ3;
- არმატურის ანკერების და ბადეების დაყენება - 4.0 ტ;
- ფოლადის მილების მონტაჟი - 7.2 ტ;
- ლითონკონსტრუქციების და მოწყობილობების მონტაჟი - 10.5 ტ.

საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 1995 წლის იანვარში გამოცემული და 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში გადასინჯული "რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში" აღწერილი ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ კონკურსში მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკურ ერთეულში ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 16 საათამდე.

დაინტერესებულ კონსკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ქართულ ენაზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის არაანაზღაურებადი 32 ლარის (თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის) გადახდის შემდეგ, რასაც დაემატება კურიერის მომსახურების ხარჯები (კურიერის საჭიროების შემთხვევაში). გადახდა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ანაგარიშზე თანხის გადარიცხვით. სალარე ანგარიშის ნომერია 115714714, მიმღები ბანკი - "თი ბი სი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი, თბილისი, საქართველო.

საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 24 აგვისტოს 11 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეული

საქართველო, თბილისი, 0123, კოსტავას ქ. 41, ოთახი 224

ტელ: +995 32 989924 / 935169

ფაქსი: +995 32 934921 / 989924

ელ-ფოსტა: idcdp@adpcc.org.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქ. მცხეთაში საპატრულო პოლიციის შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის), 2006 წლის 22 ივლისიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 11 აგვისტოს 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 14 აგვისტოს 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

**--** ცნობას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები).

ტენდერში მონაწილე იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უნდა გააჩნდეს ანალოგიური ხასიათის და შინაარსის სამუშაოების შესრულების 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**--** ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტების უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

## ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთაში არსებული ბაზრისა და კუსტარული სახელოსნოების ქვეშ დაკავებული 620 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 11 წლიანი იჯარით განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 16-8 N 206 " 18 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთაში არსებული ბაზრისა და კუსტარული სახელოსნოების ქვეშ დაკავებული 620 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია თანამედროვე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთაში არსებული 620 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე კონკურსის გამოცხადება.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

**ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :**

1. თანამედროვე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთაში არსებული 620 კვ.მ. არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე გამოცხადდეს კონკურსი.
2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.
3. დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.
4. ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;
   ბ) საკონკურსო პირობები;
   გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;
   დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრებისა და კონკურსის ჩატარების თარიღები;
   ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ბე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;
   ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
   ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.
5. კონკურსში მონაწილეობისათვის თვითოეულმა პრეტენდენტმა აუცილებე-ლი შენატანის სახით შეიტანოს 93 ლარი, 620 კვ.მ. მიწის წლიური საიჯარო ქირის 1860 ლარის 5%.
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება განხორ-ციელდეს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
7. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და ეთხოვოს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოახდინოს დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.
8. დადგენილება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).
10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.
11. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

*მერის მოვალეობის*
*შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე*

**დანართი**

**"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"**

**ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება**
**2006 წლის 18 ივლისის N206**

ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთაში არსებული ბაზრისა და კუსტარული სახელოსნოების ქვეშ დაკავებული 620 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლით სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის

**საკონკურსო პირობები**
**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 18 ივლისის N206 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე სავაჭრო ცენტრის მშენებლობის მიზნით ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთაში არსებული 620 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთაში არსებული 620 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვა თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, გრიშაშვილისა და კიკვიძის ქუჩების კვეთა;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა.
მიწის ნაკვეთის ფართობი: 620 კვმ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 3 ლარი, სულ 1860 ლარი.
იჯარის ხელშეკრულების ვადა: 11 წელი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 3 ლარს, სულ 1860 ლარს. ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 11 წელს.
2. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა.
3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის მიღების დღიდან 3 თვის ვადაში.
4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტის მშენებლობა.
5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმარე-ბელთა მაღალი დონის მომსახურება, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სანიტარიული და ჰიგიენური წესების დაცვა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტი და უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა.
6. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება.
7. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტების არქიტექტურული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
   ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
   გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარისწორებო ანგა-რიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებე-ლი დოკუმენტი;
   დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
   ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმე-დებს სხვა პირის სახელით.
3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.
4. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებუ-ლი კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით A3 ფორმატში, ზამბარაზე აკინძული, ლამინირებული - 2 ეგზემპლიარი კომპიუტერულ ვერსიასთან და მოკლე ანოტაციასთან ერთად). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.
5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის თითოეულმა პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 93 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 620 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 1860 ლარის 5%-ს.
6. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 (ერთი ათასი) ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.
2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.
4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 1 სექტემბერს, 15.00 სთ-ზე.
5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 1 სექტემბერს, 16.00 სთ-ზე.
6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში არსებული 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 11 წლიანი იჯარით განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 16-9 N 207 " 18 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში არსებული 45 კვ.მ. არასასოფლო-სამუერნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია თანამედროვე კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში არსებული 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე კონკურსის გამოცხადება.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. თანამედროვე კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში არსებული 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე გამოცხადდეს კონკურსი.
2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.
3. დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.
4. ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;
   ბ) საკონკურსო პირობები;
   გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;
   დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრებისა და კონკურსის ჩატარების თარიღები;
   ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ბე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;
   ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;
   ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.
5. კონკურსში მონაწილეობისათვის თითოეულმა პრეტენდენტმა აუცილებელი შენატანის სახით შეიტანოს 22,5 ლარი 45 კვ.მ. მიწის წლიური საიჯარო ქირის 450 ლარის 5%.
6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება განხორ-ციელდეს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
7. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და ეთხოვოს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოახდინოს დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.
8. დადგენილება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).
10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.
11. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

*მერის მოვალეობის*
*შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე*

**დანართი**
**"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"**
**ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება**
**2006 წლის 18 ივლისის N207**

ქალაქ ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში არსებული 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლით სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის

**საკონკურსო პირობები**
**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 18 ივლისის N207 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობის მიზნით ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში არსებული 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთაში არსებული 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვა თანამედროვე კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, სულაბერიძისა და შაფათავას ქუჩების კვეთა;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თანამედროვე კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობა.
მიწის ნაკვეთის ფართობი: 45 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 10 ლარი, სულ 450 ლარი.
იჯარის ხელშეკრულების ვადა: 11 წელი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 10 ლარს, სულ 450 ლარს. ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 11 წელს.
2. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრის მშენებლობა.
3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის მიღების დღიდან 3 თვის ვადაში.
4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტის მშენებლობა.
5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმარე-ბელთა მაღალი დონის მომსახურება, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სანიტარიული და ჰიგიენური წესების დაცვა, მიწის ნაკვეთთან მდებარე სტადიონის კეთილმოწყობა და საიჯარო ვადის განმავლობაში მოვლა-პატრონობა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტი და უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა.
6. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება.
7. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტების არქიტექტურული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
   ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;
   გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარისწორებო ანგა-რიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურე-ბელი დოკუმენტი;
   დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
   ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმე-დებს სხვა პირის სახელით.
3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.
4. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსე-ბული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით A3 ფორმატში, ზამბარაზე აკინძული, ლამინირებული - 2 ეგზემპლარი კომპიუტერულ ვერსიასთან და მოკლე ანოტაციასთან ერთად). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.
5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის თითოეულმა პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 22,5 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 45 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 450 ლარის 5%-ს.
6. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 (ერთი ათასი) ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.
2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.
4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 1 სექტემბერს, 15.00 სთ-ზე.
5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 1 სექტემბერს, 16.00 სთ-ზე.
6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №14
22-23 ივლისი, 2006



შაბათის სტუმარი 2

გულახდილად
ნახევარსაათიანი გასეირნება



4

ფოტოგრაფია



ახალი ევა 8

დროთა კავშირი



მოძალადე ბუდისტი 10

ავტომობილი
"ნოუბლის" ამბიციური სიახლე 14



## სამშობლო – ჩადგმით



ხარება და გოგია

5-7

# AMERICA, AMERICA

**სოფიო თოდუა**

*ის ჩემი ამხანაგის ძმაა. მისი და ჩვენს კლასში ყველაზე ჭკვიანი მოსწავლე იყო. ვიცოდით, რომ ძმაც ასეთი ჰყავდა. ეს მაშინაც დადასტურდა, როცა კომაროვის სკოლაში გადავიდა. "ამერიკული ოცნების" ქართული ვარიანტი ასეთია: თიანეთი, თბილისი, მოსკოვი, ატლანტა. ატესტატი, დიპლომი, სამეცნიერო ხარისხი და ... ბენჯამენ ფრანკლინის სახელობის კოლეჯის მასწავლებელი... ცნობისათვის, ეს ერთ-ერთი საუკეთესო კოლეჯია იქაურ ჯორჯიაში.*

*საქართველოში ასე იყო მიღებული: თუ უმაღლეს განათლებას მოსკოვში მიიღებდი, პროფესორობა გარანტირებული გქონდა. ნუგზარ დავითაშვილი აქ რომ დარჩენილიყო, ისიც ამ გზას დაადგებოდა, მაგრამ მან სხვა არჩევანი გააკეთა: ამერიკაში მოხვდა როგორც ტურისტი და დარჩა, როგორც ჩვენი დროში ბედის მაძიებელი. იყო ჩვეულებრივი მუშა, იყო მძღოლო და თორმეტი საათის განმავლობაში რეისიდან რეისამდე რადიოს უსმენდა ინგლისური ენის დასახვეწად. მოგვიანებით ემორის უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა მოხალისედ, ჩვენებურად - უხელფასოდ. ერთხელაც, იქვე თვალწარმტაცი წალკოტი შენიშნა - ვარდებით, მსხმოიარე ხეებით, მოჭიკჭიკე ჩიტებით და ასე შემდეგ. ასე მოხვდა კოლეჯში, სადაც ერთდროულად სამ საგანს ასწავლის. მისი მოსწავლეები 16, 17 და 18 წლის ამერიკელები არიან და მთელი დრო მათთან ურთიერთობას მიაქვს. როცა შვებულებას საქართველოში ატარებს და აქაურ ახალგაზრდებს აკვირდება - ძმისწულებს, დისწულებს, მეგობრების ბავშვებს თუ სულაც უცნობებს, - ოცნება კიდევ უფრო რეალური ხდება: თბილისში სკოლა გახსნას და მერე უფრო თამამად ვილაპარაკოთ, როგორი იყო რევოლუციამდელი ბავშვი საქართველოში.*



*ნუგზარ დავითაშვილი – "24 საათის" რედაქციაში.*

**- ამერიკელი ბავშვი და ქართველი ბავშვი - ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?**

- რაღაცით გვანან, რაღაცით განსხვავდებიან, თუმცა სხვაობა აშკარაა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ამერიკელი ბავშვები უფრო თავაზიანები არიან და სხვაგვარად გიყურებენ. უპირველესად, ეს მათ საუბარში გამოიხატება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამერიკელი ახალგაზრდა საკუთარ თავში მეტადაა დარწმუნებული, ვიდრე ქართველი. მიზეზი ალბათ ისაა, რომ ქართველი ბავშვების მსგავსად ამერიკელ მოზარდებს პროფესიას მშობელი არ ურჩევს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ამერიკელ თინეიჯერს გადაწყვეტილების მიღების მეტი უნარი აქვს, ვიდრე მის ქართველ თანატოლს და არჩევანის გაკეთებაც ნაკლებად უჭირს. აქ ხშირად მსმენია: შვილს სად აბარებინებ? ამერიკელს ასეთი შეკითხვა რომც დაუსვა, ვერ მიგიხვდება, რას ეკითხები. ესეც არ მესმის, რატომ გახდა საქართველოში ყველაზე საჭირო პროფესია ბიზნესმენობა. საინტერესოა, ვინმემ განსაზღვრა, რამდენი ბიზნესმენი ესაჭიროება დღეს ჩვენს ქვეყანას? შრომისმოყვარეები არიან-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ფოკუსირებულები კი არიან. ნიჭით ვერ შევაფასებ, საერთოდაც, ნიჭი რა არის, ძნელი სათქმელია. გარეგნულ მხარეს რაც შეეხება, ამერიკელი ბავშვები სკოლებში ასე ჩაცმულები არ დადიან. მაგალითად, იქ არავინ მივა სკოლაში მოტიტვლებული მკლავებით. ჩემი სკოლა ძალიან ლიბერალური სკოლაა - მოსწავლეს უფლება აქვს, შესვენებაზე სიგარეტი მოწიოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკოლაში ისე ჩაცმულები მოვიდნენ, როგორც მოეპრიანებათ. რაღაც კოდი ხომ უნდა არსებობდეს. ასე მეჩვენება, საქართველოში საპნის ოპერების გემოვნება მკვიდრდება, ეს ოპერები კი ლათინური ქვეყნებიდან შემოდის - მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, კოლუმბია კულტურულად განვითარებული ქვეყნები არ არის, ჩვენ რომ მივბაძოთ. ტელევიზიაში იქაც ბევრ მდარე პროდუქციას უჩვენებენ, მაგრამ საშუალო ამერიკული საღამოს ოჯახთან ერთად ამ სისულელეებს არ უყურებს. ცხადია, უცოდინარი ხალხი იქაც მრავლადაა. ერთი მოსწავლე გოგონა მყავდა, სენეკა ერქვა. ვა, ეს რა კარგი სახელი გქვია-მეთქი ვუთხარი და დაიბნა. ეს გოგონა 18 წლის მანძილზე არ შეხვედრია ისეთ ადამიანს, რომელიც განუმარტავდა, საიდან მოდიოდა მისი სახელი. ერთხელაც ამაყად მომიტანა ვაშლის წვენის ეტიკეტი. გაირკვა, რომ დედამისი ფეხმძიმობის დროს სენეკას ფირმის წვენებს სვამდა და ამიტომაც დაარქვა ქალიშვილს ეს სახელი. ასეთი ამერიკაც არსებობს, რა თქმა უნდა. ბუნებრივია, ამ კატეგორიის ხალხის გემოვნება მდარეა, მაგრამ ვინც სწავლის ფასი იცის, ისინი სხვა კრიტერიუმებით ცხოვრობენ.

**- როგორ ისჯებიან ამერიკელი თინეიჯერები?**

- ძალიან მარტივად. ამერიკელმა ბავშვებმა კარგად იციან თავიანთი პრივილეგიები. პრივილეგიაა, გყავდეს მანქანა, გქონდეს მობილური, სახლში საღამოს 9 საათის შემდეგ მიდიოდე. მშობელს ბავშვის დასჯა თუ უნდა, ამ პრივილეგიებს ართმევს. ჩვენი ბავშვები, შესაძლოა, საჭეს არ უზიან, მაგრამ არა მგონია, დასჯის მიზნით მშობლები მობილურებს ართმევდნენ ან ცხრა საათზე დასაძინებლად ერეკებოდნენ. რა არის იცი, მნიშვნელოვანი? როცა ამერიკელ ბავშვს ეკითხები, ვინ არის მისი იდეალი, როგორც წესი, დედას ან მამას ასახელებს. და იცი რატომ? მისთვის იდეალი მიუღწეველი, გაფრენილი ოცნება არ არის. ამერიკელები, ისევე როგორც სხვა ახალგაზრდა ერები, მომავალზე ორიენტირებული ხალხია. ჩვენი ახალგაზრდებისთვის კი იდეალი ან რომელიღაც მსახიობი და მომღერალია, ისიც დროებით, ან რომელიმე ისტორიული პერსონაჟი. ხვდები, რასაც გეუბნები? ამერიკელმა ბავშვმა იცის, რომ მამამისი მილიონერად არ დაბადებულა, შესაძლოა, ბავშვობაში საკუთარი კუთხეც არ ჰქონია, მაგრამ მილიონერი გახდა - ესე იგი, მასაც შეუძლია წარმატებას მიაღწიოს. ამიტომაც გაიხადეს მშობლები იდეალებად. ბუნებრივია, ეს იმ ფენაზე ითქმის, ვინც წარმატებული კარიერა გაიკეთა, მაგრამ, ასეთები ამერიკაში ბევრნი არიან და, შესაბამისად, მთელი საზოგადოებისთვის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენენ.

**- სულ გვესმოდა, რომ საბჭოთა სკოლებში ზოგადი განათლების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დასავლეთში...**

- სანამ ამერიკაში მოვხვდებოდი, მეც ასე ვფიქრობდი. დამიჯერე, ეს სულ მითებია. ჩვენ, ვისაც საბჭოთა კავშირში მოგვიწია ცხოვრება, განათლება გარკვეული სტატუსის მოსაპოვებლად გვჭირდებოდა, მაგრამ როგორ გამოვიყენებდით მიღებულ ცოდნას ცხოვრებაში, ეს არავის აინტერესებდა. ახლა რომ ვუფიქრდები, მართლა რა უკუღმართ ქვეყანაში ვცხოვრობდით?! მთელი რუსეთი ხე-ტყეს მიჰქონდა, საბჭოთა კავშირში კი ქაღალდის დეფიციტი იყო. გახსოვს, წიგნები რა ძნელად იშოვებოდა? მითხრეს, თბილისშიც გაიხსნა რამდენიმე კარგი წიგნის მაღაზიაო - უკან გამოვვარდი, ისე გაბოლილი იყო იქაურობა. გამოდის, რომ ქართველი მკითხველი წიგნის მაღაზიაში სხვა რაღაცით უნდა მიიტყუო. როგორ შეიძლება, აბრას წიგნის მაღაზია დააწერო და შიგნით კაფე გახსნა და სიგარეტი მოწიო? ეს ყველაფერი ხომ განათლების დეფიციტია. ჩვენი მასწავლებლები გახსოვს? კარგი ხალხი იყო, მაგრამ ჩვენთვის თითქმის არაფერი უსწავლებიათ. იმიტომ კი არა, რომ ცოდნა არ ჰქონდათ, უბრალოდ, სწავლების მეთოდი არ ჰქონდათ შემუშავებული. მარტო სკოლას და უნივერსიტეტს არ ვგულისხმობ. ამის შედეგია, რომ, ვთქვათ, ამერიკელი სანტექნიკოსი ზუსტად და მარტივად გიხსნის, რა პრობლემა გაქვს სახლში და შენც ზუსტად იცი, რატომ უხდი მას ფულს.

**- რას ნიშნავს ამერიკელისთვის იყო განათლებული ადამიანი?**

- ამერიკელისთვის განათლება არის ის იარაღი, რომელიც მან ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად უნდა გამოიყენოს. განათლება ამერიკელს უპირველესად სიღარიბის დასაძლევად სჭირდება. სხვათა შორის, ამერიკის კონსტიტუციაში წერია, ამერიკის მოქალაქეს უფლება აქვს, ბედნიერებას ესწრაფოდეს.

**- ასეთი უფლება სხვებსაც აქვთ, მათ შორის, ჩვენც...**

- ჰო, მაგრამ იმათ ეს სისხლში აქვთ გამჯდარი: იმისათვის, რომ იყო თავისუფალი და, შესაბამისად, კარგად იცხოვრო, უნდა განათლდე. განათლება ამერიკაში ნიშნავს, რომ მარიფათიანი ხარ. ეს, სხვათა შორის, განმანათლებლობის ეპოქის მონაპოვარია, ასე რომ, ჩვენც არ გვაწყენდა იმდროინდელი გამოცდილების გაზიარება. ხალხმა აზროვნება ისწავლა. ჩემი აზრით, განათლება სწორედ აზროვნებაა და, რაღა თქმა უნდა, სწავლის უნარი. ამერიკელს არ შერცხვება აღიაროს, რომ მან რაღაც არ იცის, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ ყველაზე რთულსაც ისწავლის. ცოდნისადმი ასეთი მიდგომა ამერიკული საზოგადოებისთვის დოგმაა. აქედან გამომდინარე, ჩემი, როგორც მასწავლებლის უპირველესი მიზანია, ბავშვი დავარწმუნო, რომ მას ყველაფრის სწავლა შეუძლია. მე არ ვცდილობ, ჩემი მოსწავლეები მათემატიკოსებად ან ფიზიკოსებად ვაქციო, ვცდილობ, იმ საგნების საშუალებით, რომელსაც ვასწავლი, დავარწმუნო, თუ მოინდომებს, არარსებულს შეძლებს.

**- ასეთი მასწავლებლები საქართველოში არ გყოლია?**

- თითო-ოროლა მყავდა ... კომაროვში. საბჭოთა სკოლა ბავშვებს, როგორც დიდ ჯგუფს, ხროვას, ისე უყურებდა. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ მიჩვენებენ გინდა ქართულ, გინდა რუსულ კითხვარს, რა მეთოდებით ასწავლიდნენ ან დღესაც ასწავლიან ბავშვებს სკოლაში. მაგალითად, სახელმძღვანელოში ის მაინც იყოს აღნიშნული, რატომ უნდა მიაქციოს მოსწავლემ ყურადღება პირველ პარაგრაფს - იმიტომ, რომ სწორედ პირველ პარაგრაფში უნდა დაინახაოს მთავარი იდეა, მომდევნო თავებში კი ამ იდეის დასაბუთება უნდა აღმოაჩინოს და ასე შემდეგ. ჩვენ დროს როგორ იყო? მასწავლებელი შემოდიოდა კლასში და გაკვეთილს ხსნიდა ისე, როგორც მას ესმოდა ეს გაკვეთილი. ამერიკული სწავლების ყველაზე დიდი პლიუსი, ჩემი აზრით, ისაა, რომ სკოლაში რომელიმე საგანს თუ გამოტოვებ, შეგიძლია, მოგვიანებით მიუბრუნდე და დანაკლისი აინაზღაურო - მაშინაც კი, როცა ესა თუ ის დისციპლინა, შესაძლოა, არც დაგჭირდეს. ვთქვათ, სწავლობ მათემატიკას, მაგრამ იურისტობას ეპირებოდე. ეს მოქნილობა თუ არ მივეცით ჩვენს ახალგაზრდებს, ისე ძალიან გაგვიჭირდება. ვიცი, მეტყვი, საქართველოც ამ გზით მიდისო, მაგრამ არა მგონია, მართლა ასე იყოს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ დაპირისპირების მომსწრენი არ გავხდებოდით, რასაც დღეს ადგილი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩემი ნება რომ იყოს, ყველას მივ-







ცემდი ლექციების წაკითხვის შესაძლებლობას, ოღონდ წლის ბოლოს პროფესურას სტუდენტებს შევაფასებინებდი.

**- მაგრამ,17 წლის ახალგაზრდამ იცის კი, რომელ ლექტორს მიანიჭოს უპირატესობა?**

- როგორ არ იცის. საკუთარ ტყავზე ვიწვნიე, რას ნიშნავს, როცა არჩევანის საშუალება არ გეძლევა. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე ფიზიკის ფაკულტეტზე. მაშინ საქართველოს გარკვეული ლიმიტი ჰქონდა გამოყოფილი. არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ ფიზიკურის ნაცვლად ბიოლოგიურზე ჩავირიცხე. ეს ჩემთვის ტრაგედია იყო: ასტრონომობაზე ვოცნებობდი და ბიოლოგი უნდა გამოვსულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ კარგი სტუდენტი ვიყავი, ისე დავამთავრე, ერთი ფაკულტეტიდან მეორეზე გადასვლა ვერ მოვახერხე. განათლების სისტემა მოქნილი უნდა იყოს.

**- ზედმეტი თავისუფლება ანარქიაში ხომ არ გადადის?**

- არავითარ შემთხვევაში, კონტროლის მექანიზმი ყოველთვის არსებობს. ძაღლს რაგინდ გრძელი თოკი გამოაბა, ის მაინც შენ გემორჩილება, თუმცა კარგ ძაღლს საბელი საერთოდ არ სჭირდება. ეს შედარება ვინმეს დასამცირებლად არ მომიყვანია.

**- როგორ ბავშვებზეა ორიენტირებული ამერიკული სკოლა?**

- დღეს ამერიკაში ასეთი ტენდენციაა - არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს გარიყული. ეს ბუშის ინიციატივაა და უფრო პოლიტიკური ნება განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, სწავლება საშუალო გაქანების ბავშვებზეა ორიენტირებული, მაგრამ ამერიკული სწავლების მეთოდი ამას ადვილად არეგულირებს და კარგი ბავშვები არ იჩაგრებიან. მაგალითად, ჩემს სკოლაში ფიზიკა სვადასხვა დონეების მიხედვით სამ ვარიანტად იკითხება და მოსწავლეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევა. თუ ხედავ, რომ ბავშვი ექიმობას აპირებს, ცხადია, ის უფრო სრულყოფილად უნდა დაეუფლოს ამ დისციპლინას და შენც, მასწავლებელი, ვალდებული ხარ, არჩევანის გაკეთებაში დაეხმარო. ჩემი სკოლა კერძო სკოლაა, შესაბამისად, უფრო ნაკლები მოსწავლეები გვყავს. იქ მასწავლებელს თითოეული ბავშვის შესწავლა ავალია. ბავშვი სკოლაში დოსიეთი შემოდის, სადაც აღნიშნულია, როგორი იყო დედამისის ფეხმძიმობის პერიოდი, როგორ ჩაიარა მშობიარობამ, რა ტრავმები გადაიტანა ბავშვობაში, როგორ ვითარდებოდა და ასე შემდეგ. სხვათა შორის, იქაური მშობლები არაფერს მალავენ.

**- უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად ტესტირება ამერიკაშიც აპრობირებული მეთოდია. ამ მხრივ მაინც არ შეინიშნება მსგავსება სწავლების იქაურ და აქაურ მეთოდებს შორის?**

- სამწუხაროდ, საქართველოში ახალგაზრდა მხოლოდ ტესტირების შედეგად ხვდება უმაღლეს სასწავლებელში, რაც მე არასწორი მგონია. ტესტირება აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. ამერიკაში უმაღლეს სასწავლებელში მოსახვედრად საჭიროა ტესტირების შედეგები (იქ ორი, ალტერნატიული ტესტია და ტესტირება მხოლოდ ერთხელ არ ტარდება, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს), ატესტატი, ნიშნები (უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება), არგუმენტირება, რატომ ირჩევს კონკრეტულ პროფესიას და კონკრეტულ სასწავლებელს, მასწავლებლისა და სკოლის დახასიათება. ეს ყველაფერი ერთად განსაზღვრავს ბავშვის მომავალს. ერთი მოსწავლე მყავდა, ძალიან კარგი ახალგაზრდა იყო, მაგრამ იმ სამ კოლეჯში, რომელიც მან აირჩია, იმიტომ არ მიიღეს, რომ ცუდი ნიშნები ჰქონდა. ასე რომ, ატესტატების მოსპობა გამართლებული არ უნდა იყოს. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საზოგადოებრივ დატვირთვას. ჩვენს სკოლაში, მაგალითად, ბავშვი დღეში ორი საათი უნდა მუშაობდეს - არა აქვს მნიშვნელობა, ანაზღაურებას იღებს თუ არა, მთავარია, მუშაობდეს. მუშაობენ საავადმყოფოებში, მოხუცებულთა თავშესაფრებში, ეკლესიებში. და ასე იქცევიან ბავშვები, რომელთა ბაბუები და მამები შტატის გუბერნატორები არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ატესტატს ვერ მიიღებენ. ბუნებრივია, ასეთ გარემოში გაზრდილი ბავშვი საზოგადოებაზეა ორიენტირებული.

**- ვინც ამ წესებს არ ემორჩილება, სკოლიდან რიცხავენ?**

- სახელმწიფო სკოლებისაგან განსხვავებით, კერძო სკოლებში მოსწავლის გარიცხვას ერიდებიან, სკოლას მაინც ამთავრებინებენ, მაგრამ ატესტატს არ აძლევენ. გარიცხვა ჩვენ სხვაგვარად გვესმის. ჩვენს დროს სკოლიდანაც და უმაღლესი სასწავლებლებიდან იშვიათად ვინმეს თუ გარიცხავდნენ. მოსკოვში ყოფნისას ვერ ვიხსენებ ისეთ შემთხვევას, ვინმეს აკადემიური მოსწრების გამო დაეტოვებინოს უნივერსიტეტი. ტესტირების პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა, ვინც უმაღლეს სასწავლებელში მოხვდება, დიპლომს ვერ აიღებს. ასეა მთელს მსოფლიოში და ადრე თუ გვიან, საქართველოშიც იგივე მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ გვეყოლებიან დიპლომიანი, მაგრამ უპროფესიო ახალგაზრდები. ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში, თუ ჰარვარდს, პრინსტონს და იელს (IVEY-ლიგის უნივერსიტეტებს) არ მივიღებთ მხედველობაში, მოხვედრა არც ისე რთულია, სამაგიეროდ სწავლაა ძნელი. ითვლება, რომ ვინც ორსაათიან ლექციას უძლებს, სახლში 6 საათს მაინც მეცადინეობს.

**- რა კრიტერიუმებით ხდება მასწავლებლების შერჩევა? ან სკოლების ყოფნა-არყოფნას ვინ განსაზღვრავს?**

- ამერიკაში ხუთ წელიწადში ერთხელ ყველა სკოლა გადის აკრედიტაციას. ამ აკრედიტაციას მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურა იძლევა - ეს შტატის დონეზე არ წყდება, რამდენიმე შტატს აერთიანებს. კომისიის წევრები უმთავრესად მასწავლებლები არიან. რაც შეეხება მასწავლებლებს, აქ უნდა განვასხვავოთ სახელმწიფო და კერძო სექტორი. კერძო სკოლაში მასწავლებელს არანაირი ატესტაცია არ სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ მე ჩაბარებული მქონდა გამოცდები, ჩემთვის არაფერი არ მოუთხოვიათ. სახელმწიფო სკოლებში ატესტაციის გავლა რთულია - არა იმდენად ცოდნის შემოწმების თვალსაზრისით, რამდენადაც ბიუროკრატიული ბარიერების მხრივ. ახლა ეს პროცედურა უფრო გაართულეს. ამერიკაში ინტეგრირებული სწავლება არ არის, ანუ მასწავლებელს არ შეუძლია, ასწავლოს ერთი მეცნიერება, სადაც შედის ქიმიის, ფიზიკის ან ბიოლოგიის საფუძვლები. შენ უნდა ასწავლო კონკრეტული საგანი, თუმცა მასწავლებელს უფლება აქვს, შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ ერთდროულად რამდენიმე საგანი ასწავლოს - როგორც მე, მაგალითად. ისე კი მინდა ვთქვა, რომ ჰუმანიტარული პროფილის მასწავლებლებს, განსაკუთრებით, ინგლისური ენის პედაგოგებს, გაცილებით მეტი ჯაფა ადგათ. დრო რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით დავესწრებოდი ჩემსავე სკოლაში ინგლისურენოვანი ლიტერატურის კურსს. ამერიკაში თვლიან, რომ სახელმწიფო სკოლებში სწავლების დონე უფრო დაბალია, ვიდრე კერძოში. ეს ასეცაა. ამიტომაც იხსნება ეგრეთ წოდებული ჩარტერული სკოლები. მე შემიძლია ბავშვი გამოვიყვანო სახელმწიფო სკოლიდან და კერძო სკოლაში მივიტანო ის ფული, რასაც გადასახადების სახით ვიხდიდი - ანუ, ჩემს შვილზე დასახარჯი თანხა სახელმწიფოს გამოვართვა და კერძო სკოლაში წავიღო. ეს სწორი გადაწყვეტილებაა. რაც შეეხება გადასახადს, კერძო სკოლებში სწავლება საკმაოდ ძვირია - მაგალითად, ჩვენთან წელიწადში დაახლოებით 21 000 დოლარს იხდიან. შეღავათები არსებობს კარგი ბავშვებისთვის, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მართლა უჭირთ გადახდა.



**- უნივერსიტეტში მიმდინარე ამბებს არ შეეხმიანები?**

- შორიდან ძნელია იმის გარკვევა, ვინ მართალია და ვინ - მტყუანი, მით უფრო, რომ კარგი და ცუდი ადამიანები ორივე მხარეს დგანან. თბილისი მილიონიანი ქალაქია და რამდენიმე უნივერსიტეტს აიტანს, ოღონდ ამ უნივერსიტეტებს შორის კონკურენცია უნდა იყოს. ნუ გამოვეკიდებით წარსულს, გაიყოს, ბატონო, სახელმწიფო უნივერისიტეტი, თუ მაინცდამაინც სახელის დარქმევაა ასე მნიშვნელოვანი, დავარქვათ თბილისის უნივერსიტეტი N1 და N2. მაგრამ, რას ვასწავლით ამ უნივერსიტეტებში? შეიძლება მაღლივ კორპუსს, სადაც მე ვმუშაობდი, უნივერსიტეტი ერქვას? იმ გაპარტახებულ შენობაში ვიღაცამ საიდანღაც აპარატურა თუ იშოვა და დადგა, ეს საუნივერსიტეტო სწავლებას არ ნიშნავს. ჯერ კიდევ ჩემს დროს, მოსკოვში როცა ვმუშაობდი, ქიმიკატები არ გვქონდა, აპარატურა არ გვქონდა - შეიძლება, ასეთ პირობებში მეცნიერების განვითარებაზე გველაპარაკა? ვასწავლით კი უმაღლეს სასწავლებლებში ფუნდამენტურ მეცნიერებებს, რაც ასე აუცილებელია საუნივერსიტეტო განათლებისთვის თუ მხოლოდ ინფორმაციას ვაწვდით? აინშტაინის ნათქვამია - ინფორმაცია ცოდნა არ არის. მარტო იმის მოტივაცია რომ მისცე ადამიანს, რომ იკითხოს და სხვა არაფერი, ხელში მოტივირებული იდიოტი შეგრჩება. ასეთი ადამიანები შენც ბევრი შეგხვედრია და მეც, მაგრამ გინდა შენი შვილის ბედი ამ ტიპის ხალხმა განსაზღვროს?



ქეთევან იგნატოვას
# გულახდილად

**ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნა, ადრე თუ გვიან მოხსნასაც გულისხმობს, მინისტრები იცვლებიან. ამისთვის ისინიც და ჩვენც მზად ვართ. მარადიული არავინ არის. მაგრამ, ერთის ნაცვლად მეორის განთავისუფლება კი აღარ მესმის. როგორ დავიჯერო, სიმართლის მთქმელს ყურმოჭრილი მორჩილი სჯობდეს?!**

# ნახევარსაათიანი გასეირნება







დრო მიდის. ქვეყანა შენდება. უდავოა, რომ, კარგად თუ ცუდად, თბილისი იცვლება, ილებება, რემონტდება, სუფთავდება. მაგრამ, ამ დღეებში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ქალაქის ცენტრში ერთი ისეთი მონაკვეთი (შეიძლება არაერთია!) აღმოვაჩინე, სადაც, თითქოს დრო გაჩერდა. გიგი უგულავა იქ მერი არ არის და სადაც მიმდინარე სამუშაოებით გამოწვეული შეფერხებისთვის ბოდიშს არავინ იხდის, ვინაიდან იქ არაფერი მიმდინარეობს. იქ ახლაც მიძინებულ-განუკითხავი 90-იანი წლებია. ამ მონაკვეთზე ჩავლა თითქმის ყოველდღე მიწევს, მაგრამ, როგორც ცხოვრებაში ხშირად ხდება, ერთხელაც, კარგად ნაცნობს რაღაცა ახალი, განსხვავებული თვალით შევხედე, შევაფასე, გადაღება და თქვენთვის გადმოცემა მოვინდომე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან დაახლოებით ფილარმონიამდე ყურადღებით თუ ჩაისეირნებთ, მტვერს, გამონაბოლქვს, ნაგავს და გამვლელების მუჯლუგუნებს თუ არ შეუშინდებით, დარწმუნდებით, რომ ქალაქის ამ ცენტრალურ ნაწილში ყველაფერი - ნახატები, კერამიკა, მძივები, სიგარეტი, კონსერვის ქილებში კაქტუსები, პლასტმასის სათამაშო დურბინდები, მზესუმზირა და შმორის გემოს მქონე თხილი, გაზეთებით ამოტენილი, ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული დამჭკნარი ყვავილების უგემოვნო თაიგულები, ათასობით წიგნი, კოლგოტკები, გაზეთები, ოქროულობა, იაფფასიანი ჯინსები, ქართულდროშიანი ბრელოკები, ქალის საცვლები, სიცოცხლისთვის სახიფათო საკონდიტრო ნაწარმი, დამდნარი ნაყინი თუ კიდევ ბევრი სხვა რამ, ერთნაირად უკულტუროდ, უსისტემოდ, ქაოტურად იყიდება. ერთნაირად უბადრუკად, არაცივილიზებულად გამოიყურება. მხოლოდ ამ მონაკვეთზე (ან არა მხოლოდ) შეიძლება ერთდროულად ამდენი სხვადასხვა სუნი შეიყნოსო - მტვრის, ნესტის, შარდის, დამპალი ნაგვის, ბენზინის, გაზის, ოფლის, მწარე ოდეკოლონის, ახალგამომცხვარი ფუნთუშის, სველი გაზეთების... მეტრო “რუსთაველთან” განლაგებული ჯიხურებიც, ასობით წარწერა, აბრებიც, წყლის გაუგებარი წარმოშობის გუბეებიც, ნაგვის გორებიც, გადაფურთხებულებიც, "დვიჟოკებიც" და დაღლილი, ოფლიანი, გასავათებული სახეებიც ერთნაირია. აქ მუყაოს ყუთებზე, ხის პატარა სკამებზე ან საფეხურებზე სხედან. დიდი ზოლებიანი ჩანთებით ყოველდღე მიაქვთ და მოაქვთ გასაყიდი საქონელი. აქ თავისი, დანარჩენი მსოფლიოსგან, თბილისისგანაც განსხვავებული მოდაა. ყველა ჯიხურიდან თუ მაღაზიიდან ბოლო ხმაზე ჩართული ერთნაირად საშინელი მუსიკა ისმის. შოთა რუსთაველის ძეგლის უკან ყველასათვის ერთი საზოგადოებრივი ტუალეტის ფუნქციის შემსრულებელი ხე იზრდება. აქ ყველა ჩხუბობს. ყველა შენობით ლაპარაკობს. შავად დახატული წარბებით, ფერუმარილით, წითელი პომადითა და დიდი გიშრის საყურეებით გალამაზებული ქალი შეკვეთილ პორტრეტში მსგავსების ნაკლებობის გამო მხატვარს ზედმეტად ხმამაღლა ედავება, მეგობარი კი ამშვიდებს - "მედიკო, შენ სპალნას ძაან მოუხდება". უწესოდ, უტაქტოდ, მხოლოდ თბილისურად ზედ ტროტუარზე ჩაყენებული მანქანების გამო ფეხით მოსიარულეები რიგში დგებიან, რომ არაადამიანურად ვიწრო გასასვლელში თითო-თითომ მაინც რამენაირად გაიარონ. პატრული იქვე დგას, ამას ყველაფერს უყურებს, მითითებაზე კი მოკლედ და ოპერატიულად გპასუხობს - "ქალბატონო, საქმე არ გაქვთ?" “მაკდონალდსის” წინ შეკრებილი პროფესიონალი მათხოვრები ქვეყნის ამბებს არჩევენ. მოხუცი კაცი და მცირეწლოვანი ბავშვი კი ბოლოს მოპოვებულ ოცთეთრიანს ვერ იყოფენ და სრული სერიოზულობით, უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებიან. უცნაურად, მათ ჩხუბში არავინ ერევა. ალბათ სრულიად ჩვეულია! მზესუმზირის გამყიდველები ერთმანეთში დავობენ უსასრულო პარაპეტზე რომელი უფრო მარცხნივ და რომელი - მარჯვნივ ჩაიწევს. დამჭკნარი ყვავილების გამყიდველი ქალი ქმარს ესთეტიკის უქონლობის გამო ეჩხუბება. წიგნების გამყიდველები კი მყიდველებს უხეშად მიუთითებენ, რომ დათვალიერება-გადაფურცვლისას თითზე ზომიერად მაინც დაიფურთხონ, თორემ მერე წიგნი ყროლდება. აქ ყველა ნაყინს ჭამს, ქაღალდებს იქვე აგდებს, შენიშვნაზე კი, თითქოს დაზეპირებული ფრაზით გპასუხობენ - "თუ არ მოგწონს, აიღე და შენ თვითონ გადააგდე". ოღონდ სად უნდა გადააგდო, არც შენ იცი. აქ ყველა მოხუცი ერთნაირ ქილებში ან ერთჯერად ჭიქებში ერთნაირ უსახურ პატარ-პატარა მცენარეებს ყიდის. მთელი ამ მონაკვეთის სიგრძეზე რელიგიური თემა და შესაბამისი საქონელი აშკარად ჭარბობს. აქ ყველა ერთნაირად ვაჭრობს, გიღიმის ან გიბღვერს, გატყუებს ან გლოცავს.

უამრავი მსგავსების მქონე ქალაქის ამ მონაკვეთის პერსონაჟების რადიკალური სხვაობა ფოტოგადაღებისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებაა. ტურისტების ყურადღებას, კამერებს მიჩვეული ქუჩის მხატვრები გადაღებას აბსოლუტური სიმშვიდით, ინდიფერენტულად უყურებენ. გადაიღე რამდენიც გინდა! სამაგიეროდ, პატრული გადაღებას წინასწარი, მკაცრი, მბრძანებლური ტონით გიკრძალავს. ქუჩის გამვლელები ინტერესით გიყურებენ და ცდილობენ გაიგონ, ამ ყოფით გარემოში გადასაღებად რა მოგეწონა. უმეტესად ხომ ითვლება, რომ ფოტოს მხოლოდ "ლამაზს" უღებენ. აქ კი ლამაზი მართლაც არაფერია. ყველა თბილისელისთვის საძულველი "შუშის სახლის" გადაღებისას ვიღაც წვერებიანი, მხრებში მოხრილი, აშკარად კრიმინალური იერის მქონე შავპერანგიანი ტიპი მეცა - "რას იღებ? შენ! შენ!" "არაფერს" - ცოტა შეშინებულმა ვუპასუხე. "გეკითხები, რას იღებ-მეთქი?!" - "შუშებს". - "შუშას? კარგი, შუშა გადაიღე. თუ მატყუებ, დედას ..." მართალი გითხრათ, შუშის გადაღების სურვილი დამეკარგა. მაინც არ ანგრევენ და ტყუილად რატომ ვაგინებინო თავი? წიგნების გამყიდველები, მეყვავილეები, მეფუნთუშეები, მესაათები და ა.შ., ყველანაირად ცდილობენ კადრში არ მოხვდნენ. თავს ხრიან, ზურგს გაქცევენ, ან, თუ მოასწრეს, საერთოდ იმალებიან. ასე, სეირნობა-სეირნობით, თუ ამას შეიძლება სეირნობა უწოდო, ფილარმონიას მივუახლოვდი. 51-ე სკოლა რემონტდება. წლების წინ მიწისქვეშა გადასასვლელზე დაშენებული ერთ-ერთი რიგითი შუშის სიმახინჯე დაუშლიათ! იმედი გამიჩნდა, რომ ჭავჭავაძის გამზირზე ლურჯი შუშის შენობის დანგრევის შემდეგ, ახლა ესეც დაანგრიეს და სულ მალე ზემელზე "შუშის სახლსაც" მიაყოლებენ. მუშას ვკითხე და უიმედო მოკლე პასუხი მივიღე - "ახალს ვაშენებთ". (საინტერესოა!) ტროტუართან რამდენიმე ჯიპი იდგა. ძვირფასი მანქანების და, ეტყობა, ახალი მშენებლობის მფლობელები იქვე იდგნენ და თეთრ-ბეჟ ტილოებში გამოწყობილები საქმიანად ბჭობდნენ. გადავუღე. შემამჩნიეს. "გვიღებსო". "ვინ არის?" "ფეხებზე არ გკიდია?" "მაგრად!" მეც გამიხარდა. აგრესიულები მაინც არ აღმოჩნდნენ. მშენებლობის ნებართვამ, ეტყობა, მოადუნა. სულ ათიოდე ნაბიჯის იქით მოხუცი მათხოვარი იჯდა - შავი თავსაფრით დაფარული სახე, კეხიანი ცხვირი, მოხრილი ზურგი, მუხლებზე დაწყობილი, ტანთან შეუსაბამო, დიდი, ნამუშევარი, დეფორმირებული ხელები. ფეხებთან ხურდისთვის პატარა ქილა ედგა. კადრი მომეწონა. ჩავთვალე, რომ სოციალური პრობლემების ასახვისთვის მაქსიმალურად მჭერმეტყველია. აპარატი ამოვიღე. გადავიღე. დედაბერმაც მოიხედა. დამინახა! უეცრად, გაუბედურებული, მოხრილი მოხუცი ვეფხვად გადაიქცა. ჯერ შორიდან დიდი ქვა მესროლა. საბედნიეროდ, ამაცილა. მერე არაბუნებრივი ნახტომი გააკეთა, ერთი ხელით ფოტოაპარატის დამტვრევა, მეორე ხელით ჩემი მოკაწვრა უნდოდა. ლაიტმოტივად მწყევლიდა (აი, რა კარგია, წყევლის რომ არ მეშინია!). ხალხი გაჩერდა, ჩაერია. დედაბერი გააკავეს. თურმე, უბნის ცნობილი გიჟია. რა ვიცოდი?! მუყაოს ერთ-ერთ ყუთზე ჩამოჯდომა, სულის მოთქმა შემომთავაზეს, მაგრამ ისე ცუდადაც არ ვიყავი, ქუჩაში რომ წამოვწოლილიყავი, მაგრამ, ისე კარგადაც აღარ ვიყავი, რომ გზა გამეგრძელებინა. მიღებული შთაბეჭდილებები საკმარისი მომეჩვენა. თბილისის ცენტრში, დღისით, მზისით, რამდენიმე ათეული მეტრის გასეირნებისას გავილანძღე, გავილახე, დავიღალე, დავისვარე, დედა მაგინეს, გავბრაზდი, ნანახისგან დავითრგუნე, სახლში დავბრუნდი და ეს წერილი დავწერე.









*თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.*

*რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.*

*რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.*

*რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.*

*იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.*

*P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.*

# სამშობლო — ჩადგმით

ქართლ-კახეთის გაერთიანებას კრწანისის ბრძოლა მოჰყვა.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა გადაწვა თბილისი.

დამარცხებულმა ერეკლემ ერთხელ კიდევ მოაბრუნა ცხენი ახლანდელი ბარათაშვილის აღმართიდან, რათა განწირულ ბრძოლაში დაემთავრებინა სიცოცხლე. დაუკავეს აღვირი...

დაბრუნდა თელავში და თან წაიღო თბილისის ჯავრი... თელავში, თავისივე სასახლეში, იმავე ოთახში გაასრულა წუთისოფელი, სადაც დაიბადა.

ამ მადლიან ქალაქში დაიბადე შენც, ჩემო ბაადურ. მერე იყო თბილისი. ახლა ისევ თელავში დაბრუნდი და დაგაქვს კარგი თბილისის ჯავრი და ნოსტალგია.

სთქვი რამე კარგ თბილისზე, კარგ თელავზე, რადგან არც კარგობა და არც ხიბლი, რომელიც ყოფილა, უკვალოდ არ უნდა დაიკარგოს. თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს, რომ იცოცხლოს კარგმა წარსულმა, რომ აცოცხლოს კარგი მომავალი.

როგორც გურამ რჩეულიშვილი ამბობდა, თელავი არის ადგილი, სადაც ყველაზე კარგად ინახება თბილისის ამბები.

**- თელავი არის თბილისის ყველაზე შორეული გარეუბანიო, სადაც ყველაზე კარგად ინახება თბილისის ძველი ტრადიციებიო.**

- ეგ ყველაფერი იყო. გურამიც იყო, ეგ ნათქვამიც იყო და ის თელავიც იყო... აღარ არის აღარც ერთი.

**- რატომ აღარ არის?**

- აღარ არის. ჯერ ერთი, აღარ არიან ის ადამიანები.

**- ის ადამიანები აღარ არიან, მაგრამ ეს ადამიანები ხომ არიან.**

- ეს ადამიანები ვინც არიან კიდევ, ამათ სულ სხვა ინტერესები აქვთ... ტრადიციები არა აქვთ ამათ. ერთადერთი ტრადიცია, რაც ჩვენ დროს არ იყო, სწავლას რომ დაამთავრებენ მეათეკლასელები, მზის ამოსვლას ხვდებიან ნადიკვარზე. სხვათა შორის, გული მწყდება, რომ ჩვენ ეგრე არ ვიყავით. მაგის მეტი ჩვენ არაფერი გამოგვრჩენია... ძმაკაცის საფლავზე გასვლა ტრადიცია კი არა, მოვალეობაა. ჩვენ, მაგალითად, გარდაცვლილი მეგობრის დღეს, სადაც უყვარდა, იქ მივდიოდით. ალაზანზე უყვარდა, ალაზანზე წავიდოდით; მთაში უყვარდა, მთაში წავიდოდით... ეგეთი რამეები ამათ არ იციან. თითქოს ურთიერთობა გაცივდა და უბრალო გახდა, პრიმიტიული.

**- ყველა დროში იყო ალბათ ეგეთი ხალხი, იყვნენ გულგრილი ადამიანები, იყვნენ ცხელი ემოციების ადამიანებიც.**



ბაადურ ბალარჯიშვილი

*ავთო ვარაზის ნახატი.*

## პოეტი

*ავტორი წიგნებისა: "თელავის ჭადარი", "მდინარე", "კოქტეილბარი რებუსი", "ჭადარი და მდინარე", "სევდის ბაღი".*

*მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: "ხარება და გოგია", "ნისლი", "მარტივი პასიანსი", "გოლა". მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმი "სევდიანი მიხა".*

*მისი ბიოგრაფია შესულია კემბრიჯის ბიოგრაფიული ლექსიკონის 1999 წლის გამოცემაში.*

*2004 წელს მიენიჭა გაზეთ "პარნასის" სპეციალური პრიზი საუკეთესო პოეტური პუბლიკაციისათვის.*

*ბაადურ ბალარჯიშვილი გამოირჩევა პირადი და საქმის ორგანიზების საოცარი ენთუზიაზმით.*

- რა თქმა უნდა, ასეთებიც იყვნენ და ასეთებიც. მაგრამ მანდ პროცენტულობაზეა და სიჭარბეზე. მაშინ თუ 70 პროცენტი აქეთ იყო და 30 - იქით, არ ეტყობოდა. ახლა კი 10 პროცენტიც აღარ არის ჩვენკენ.

**- საინტერესო ცხოვრება იყო. ყველა ცდილობდა, ვინც საინტერესოდ ვერ ცხოვრობდა.**

- ელიტარული ნიშანი ჰქონდა ამგვარ ცხოვრებას. მე პატარა ბიჭობიდან ჩემხელა ძმაკაცი თითქმის არა მყოლია ერთი-ორი კაცის გარდა. სულ ჩემზე უფროსებთან ვძმაკაცობდი... უფროს თელაველებთან.

**- შაქრია მაყაშვილთან ძმაკაცობდი...**

- ძმაკაცობა ცოტა შეუფერებელი სიტყვაა. ჩემთვის დიდი პატივი იყო და დიდი დღესასწაული შაქრიას გვერდით ყოფნა.

**- მე გავიცანი შაქრია მაყაშვილი კონდოლში. საგუბარზე. მეგობარმა დაგვპატიჟა. მისი გარდაცვლილი მამის მეგობრები ყოფილან. მწვადი შეგვიწვა თავისი ხელით, პატივი დაგვდო, მოგვეფერა. მერე აიღო შვიდსიმიანი... რომანსი იმღერა - "თითქოს მიყვარხარო, ჩურჩულით მითხარი, ეს იყო ოცნება, ეს იყო სიზმარი".**

- ახლა კიდევ ჩაქუჩს ულაყუნებენ ლურსმანს და მუსიკააო.

**- ჰო, მაგრამ დღევანდელი ახალგაზრდები რომ გხვდებიან, შეიძლება, მათთვისაც ის დღესასწაულია, რაც მაშინ შენთვის მაყაშვილთან ურთიერთობა იყო.**

- მაგათ ენაცვალოს ჩემი თავი, მაგრამ ამათ ინტერესები შეიცვალეს. ღირებულებები გადაფასდა. აი, მაგალითად... ფეხბურთი მიყვარს და... უფრო სწორად, მიყვარდა, რადგან დათო ყიფიანმა თამაშს რომ თავი გაანება, ჩემი ფეხი სტადიონზე აღარ ყოფილა. აღარ მაინტერესებდა. რაღა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატს ვუყურე. მაგრამ რაც ამათ ჩემპიონატზე გააკეთეს... თავი კოტ-დე-ვუარში მეგონა.

**- რას გულისხმობ?**

- აი, რაც ითამაშეს. ეგ იყო თამაში, არა? ძალად ეგზალტირება. ეგენი რომ ფანობას უძახიან. ეგ ფანობა არაფრით არ განსხვავდება შაჰიდებისგან. ანთებული, თვალებით თორმეტი წლის გოგო გამოდგება და ყვირის: "იტალია-ა-ა!" მერედა, რა იცის იტალიისა? ვინ იყო იტალიელი კარგი მწერალი, ვინ იყო იტალიელი კარგი მხატვარი? ერთს ვერ გეტყვის და მაინც გიჟივით გაჰყვირის - "იტალია-ა-ა!" თორმეტი წლის გოგო. ან ფეხბურთის რა იცის, ან იტალიის რა იცის. შემოუხვევია იტალიის დროშა. ეს იყო გენერალური რეპეტიცია და მერე, ბოლოში ეს სიმღერა მოიგონეს - "ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ჩვენ ერთი გუნდი ვართ, არჩევნებში ერთად მივცემთ ხმას". ეგეთი დასასრული ექნება. იმის გულისთვის, რომ საქართველოს ფანი იყო, აუცილებლივ უნდა კოტ-დე-ვუარის ფანი იყო და მერე გახდე საქართველოსი, კაცო? ეს რა უბედურებაა.

**- ხელოვნური იყო, გეთანხმები.**

- ხელოვნური კი არა, ამაზრზენი იყო. ვერ ვუყურებდი.

**- ჯერ საქართველოს ფანობაც ეგრე ადვილი არ არის.**

- ეგ იყო დადგმული, ვიღაცა უნიჭოს მიერ.

**- საქართველოს ფანი რომ იყო ადამიანი, ქართველი ერის სულიერი თავგადასავალი შენში უნდა ცოცხლობდეს.**

- უნდა ქართველი იყო. თუ ქართველი არა ხარ, ძალიან გეტყობა. ქართველობაში იმას კი არ ვგულისხმობ, ვინმე სხვა ერისა ხომ არ გირევია, და როგორი გენეტიკური კოდი გაქვს.

**- ქართველი ერის სულიერი თავგადასავალი შენი თავგადასავალი უნდა იყოს. გასაგებია, რომ ადამიანს აწმყო არ მოსწონდეს უკეთესის იმედით და ეს კარგიც არის, რომ პროგრესის მუხტი ატაროს. დღევანდელობით კმაყოფილი არ იყო და უკეთესისკენ ილტვოდე, ეგ არის ხელოვანის მუხტიც და საზოგადოების მუხტიც, მაგრამ მე ხშირად შთაბეჭდილება მრჩება, რომ წარსულიც არ მოსწონთ თავიანთი სამშობლოსი.**

- წარსულს დაახურეს თავზე ყველაფერი, ვერა ნახე, კაცო?

**- წარსულის არმოწონება იგივეა, რომ ერთ დღეს საკუთარი მშობლები არ მოგეწონოს. მოწონება-არმოწონება ასეთ დროს კრიტერიუმი არ არის, როცა სამშობლოს ეხება, მშობლებს ეხება. ან არის შენი, ან არ არის შენი. შენი ბედისწერაა.**

- მე, ჩემი აზრით, ძალიან ზუსტად მოვესწარი ერთ ამბავს. როცა კაცმა პირველად თქვა "ჩემი დედა..." ეს ჩემს თაობაში იყო. ეს რომ მოხდა, მას მერე წავიდა და წავიდა... დედას რომ არა სცემ პატივს, მთელ ოჯახს აღარ სცემ პატივს. ოჯახის უპატივცემულობით საქართველოც არაფრად მიგაჩნია. სულერთია ყველაფერი, საკუთარი თავის გარდა.

**- ეგ საკუთარი თავი რას უნდა მიაკუთვნონ? კოსმოსს?**

- კოსმოსს მაინც ეკუთვნოდნენ და იმისი თავი ჰქონდეთ.

**- კოსმოსთან მიკუთვნებაც ხომ სამშობლოს მიკუთვნებიდან იწყება. ვაჟა-ფშაველამ ეგ კარგად თქვა სახელმძღვანელო წერილში "კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი".**

- მაგისა რა გეეგებათ. მაგათ ხომ მარტო ის იციან, რომ ორჯერ ორი ოთხია. მე კიდევ რა მიკვირს. ჩამოვა, ვთქვათ, ვიღაცა მომღერალი. ატყდება ერთი წიოკი და ალიაქოთი. მე მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე თბილისში. აი, მაში მღეროდნენ, თუ მღეროდნენ. საყვარელიძეები, ნანი ბრეგვაძე, რა ვიცი, ვინ აღარა... ჰო-

# სამშობლო – ჩადგმით



მაშინდელი სადამსჯელო რაზმი მათ მიერ ჩახოცილ ხარებას და გოგიას რაზმთან.



ხარება და გოგია ბიჭებთან.

და, მე გული მიმიწევდა სიმღერისკენ კი არა, ურთიერთობას ველტვოდი. ურთიერთობა მქონდა თამაზ ჩხენკელთან, რამაზ პატარიძესთან. სხვათა შორის, რამაზ პატარიძემ გამაცნო ავთო ვარაზი. მერე ავთო ვარაზმა გამაცნო მთელი თბილისის ბოჰემა. რასაც თელავზე ვამბობ, ის თბილისსაც ეხება. აღარ არის ის კარგი თბილისი.

**- მესმის, რასაც ამბობ, კარგად მესმის. მაგრამ თბილისი არ არის მარტო დღეს, არ არის მარტო გუშინ და მარტო ხვალ. ეს დროში გავრცობილი ცნებაა. დედაბრიშვილი რომ ამბობდა, "Тротуары, пишите свои мемуары", ტროტუარები თავის მემუარებს რომ წერენ, ის ცოცხალია. განა ჩაიარა და მოკვდა. იმ ამბავმა ჩაიარა, მაგრამ სივრცეში დარჩა.**

■ მიმღები უნდა იყოს. ის ხიბლი ვინმემ უნდა ატაროს.

**- ჯოკონდას არაფერი არ დააკლდება, შენ თუ არ მოგეწონა. ის სულ იქნება.**

- სხვათა შორის, არც იმ კარგ თბილისელებს დააკლდებათ, ვიდრე ერთი კაცი მაინც დარჩება, ვისაც ეხსომება ისინი.

**- რასაკვირველია. ის ინტერესი, ადამიანების ჯანსაღი ურთიერთობის ინტერესი, დღესასწაული, არ მოკვდება, გადავა თაობიდან თაობაში.**

- შენს პირს შაქარი და რახათლუქუმი. არიან, ჰო, როგორ არ არიან, კარგი ბიჭებიც არიან, ძალიან შავი ჯვარი დავადგი, მაგრამ ძალიან ცოტანი არიან.

**- ცოტა არჩევნებისას არ ვარგა ხოლმე, თორემ სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ცოტაშია ჭეშმარიტება. ხელოვნებაშიც ეგრეა. იერუსალიმში ერთი კაცი იდგა, ვინც მართალს ამბობდა. დანარჩენები ყვიროდნენ, ჯვარს აცვიო. არსებობს მარადიული ღირებულებები, რომლებზეც კაცობრიობა შეთანხმდა. ყველა ეპოქის წარჩინებული მოაზროვნეები შეთანხმდნენ. არანაირი ალტერნატივა არა აქვს დედაშვილობას, მეგობრობას, სიყვარულს, სიკეთეს. გამორიცხულია ახალი რამეების მოგონება, რაც ამას შეცვლის.**

- იგონებენ.

**- ვერავინ ვერ მოიგონებს. ვერავინ ვერ იტყვის, სიკეთე მოძველდაო... წეღან რომ მითხარი, დღევანდელი ჭაბუკები, სკოლას რომ ამთავრებენ, ნადიკვარზე ხვდებიან მზის ამოსვლასო, არაჩვეულებრივი რამ არის. ძალიან გამიხარდა.**

- მე, მაგალითად, ძალიან გული მწყდება, რომ ჩემ დროს ეგ არ იყო. ჩვენ ვათენებდით რომელიმე ოჯახში. ბანკეტს ვაწყობდით, მასწავლებლებს ვპატიჟებდით. მართალია, მერე გარბოდნენ, ისეთ დღეში ვყრიდით. ეგ იყო ჩვენი დამთავრება. ეს კი მართლა მომწონს.

**- ახლა შენ მითხარი შენი პირველი შთაბეჭდილება, ნადიკვარით მიღებული.**

- აბა, როგორ გითხრა, გავიზარდე აქ... მე პირველად ვნახე აქ გურამ რჩეულიშვილი. და, სხვათა შორის, გულზე არ მეხატებოდა, იმიტომ, რაღაცნაირი წითური ბალღი იყო, კაცი იყო, ჩემზე 7-8 წლით უფროსი. და ვისაც დაგვიჭერდა, სულ გვაჩხუბებდა ერთმანეთში. მაგან მიგვაჩვია ჩხუბს. მერე კი მივხვდი, რომ უნდა იჩხუბო, ბიჭი თუ ხარ, უნდა იჩხუბო, აბა რა, მაშ საყურე ხომ არ უნდა გაიკეთო.

**- რჩეულიშვილმა ისე გაგწაფა ჩხუბში, რომ გათამამებული "ხარება და გოგიას" გადაღებისას ლევან თედიაშვილსაც დაეჭიდე... შედეგის სიმძიმიდან გამომდინარე, გულწრფელად მითხარი, საყურე ხომ არ გინატრია...**

- არა, არა, საყურე მაინც არ მინატრია, უბრალოდ ვუთხარი, მოდი ისე ვიძიძგილაოთ, რომ მერე შვილიშვილებთან მოსაყოლად მექნება, ლევან თედიაშვილთან ნაძიძგილავები ვარო.

როგორც კი ხელი წამოიღო, მივხვდი, რომ რაღაც ბნელი ძალა წამოვიდა ჩემკენ. მერე არაფერი არ მახსოვს. ქვიანზე დავეცი. კიდევ კარგი, რომ ვიძიძგილაოთ ვუთხარი. ვიჭიდაოთ რომ მეთქვა, ალბათ ეს ჩვენი საუბარი აღარ შედგებოდა.

ისე კი, "ხარება და გოგიას" გადაღებებიდან სხვაც ბევრი კარგი მოგონება მომდევს. ძალიან საინტერესო ჯგუფი შეკრა გიორგი შენგელაიამ.

**- მართალია, სცენარიც კარგი დაწერე და გიორგიმაც ძალიან კარგი ფილმი გადაიღო. თუმცა სიმღერის ტექსტში ცვლილება შეიტანე და ხომ გახსოვს, ალაზანზე ასე ვმღეროდით:**

**ბაადურა და ვატია**
**თელავის მძლე გარანტია...**

**მერე როდის გადავიდა ანტიპათია სიმპათიაში?**

- მერე ცოტა წერა-კითხვაში რომ გავიწაფე, სხვა რამეებზეც ვლაპარაკობდით. ჩამოდიოდნენ კარგი ხალხი მასთან, კარგი ბიჭები, კარგ რამეებს ამბობდნენ. ნუგზარ წერეთელი, თემო ჯაფარიძე, ვაჟა გიგაშვილი. ბევრი ჩამოდიოდა. აქაც გვყავდა, კარგი თელაველები. თვითონაც თელაველი იყო, ნადიკვარზე ცხოვრობდა.

**- ნადიკვრის ამბავს იცი, რად გეკითხები? ეგ არ არის გეოგრაფიული ტერიტორია. მანდ ხიბლით სავსე ამბავი იდგა...**

- ეგრე იყო. მთელი თელავი იქ მიდიოდა. ნადიკვარზე სიყვარული იბადებოდა, ნადიკვარზე გრძელდებოდა და ხშირად, მთავრდებოდა ნადიკვარზე. ერთი იდეა მქონდა, რომ გურამ რჩეულიშვილის ძეგლი დაგვედგა ნადიკვარზე, მაგრამ წაუყრუეს.

**- დროებით მიტოვებული ნადიკვარი მალე ახალ სიცოცხლეს დაიწყებს. მართლა გამიხარდა, რომ კეთდება, რესტავრირდება, ახალი დეტალები ჩნდება. ხელისუფლება აქაურობას სულს ვერ ჩაუდგამს, მან ასპარეზი უნდა შექმნას სულისჩასადგმელად. მერე მივლენ გოგო-ბიჭები სიცოცხლის სიყვარულით, ახალი იმედებით და ნადიკვარიც ახალ სიცოცხლეს დაიწყებს.**

**მჯერა, რომ ასე იქნება, რადგან ძალიან კარგად ვიცნობ თელავის გამგებელსაც და თელავის მერსაც - გოჩა მამაცაშვილს და გია სვიმონიშვილს და ვიცი, რომ მთელი შეგნებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს.**

**რჩეულიშვილი კი მართლა დაამშვენებდა ნადიკვარს.**

**თბილისზე მითხარი რამე, შენი სტუდენტობის ამბავი სთქვი.**

- მთელი ახალგაზრდობა მხატვრების სახელოსნოებში მაქვს გატარებული. თბილისი იყო ჩემთვის მხატვრების სახელოსნოები. თემო ჯაფარიძე, ავთო ვარაზი, ალბერტ დილბარიანი, დურმიშიძე...

**- რატომ აღარ ჩამოდიხარ თბილისში?**

- არ შემიძლია. დავბერდი რუსთაველზე ლამის. ახლა რომ გავდივარ, თავი ყარაჯალაში მგონია. აღარ არის აღარც ის რუსთაველი, აღარც ის თბილისი. თუმცა თელავიც ეგრეა. სახლიდან სულ არ გავდივარ. იმ დღეს საქმე მქონდა მოედანზე. ერთი საათი ვიდექი, სალამი ვერავის მივეცი.

**- სახელოვნებო სამყარო იყო თბილისში...**

- იყო, იყო... არის ახლაც, მაგრამ დათითოვებულია, ჩემსავით ყველა სოროშია შემძვრალი. გარეთ გამოხედვა აღარ უნდა, ისეთი სიტუაცია ტრიალებს. რუსები რასაც ჭ-ს ეძახიან, ისა დგას დღეს საქართველოში. გაურკვევლობაა. ერთი თავისას ჰყვირის, მეორე - თავისას. არის სიტყვების ბრახუნი - პრიორიტეტი, უპრეცედენტო. შეიძლება, ყველაფერი უპრეცედენტო იყოს ქვეყანაში? უპრეცედენტო რამ მოხდა - შადრევანი ამუშავდა; უპრეცედენტო რამე მოხდა - კარუსელი დატრიალდა ბორჯომში. საქართველოში იმდენი პრეცედენტიანი რამეა მომხდარი, აქ როგორ შეიძლება, რამე უპრეცედენტო მოხდეს... ახლა თელავში ახალ შადრევანს დგამენ. სხვათა შორის, გია ჯაფარიძე აკეთებს. კარგად გააკეთებს, მაგრამ იქნებ ამაზეც თქვან, უპრეცედენტოაო.

**- სასიკეთო ძვრები მითხარი თელავში.**

- ასფალტი დააგეს და სახლები შეღებეს. ასფალტის დაგებას ისე მამადლიან, თითქოს მე უნდა დამეგო, არ დავაგე და იმან დამიგო. მაშ რა უნდა გააკეთოს მთავრობამ. შესაღებია, უნდა შეღებონ. დანგრეულია, უნდა ააშენონ. მაშ რა უნდა გააკეთონ? ეს ზოგადად, ისე თელავის ხელისუფლების შეფასებაში გეთანხმები.

**- ზოგადად, უნდათ, რომ რაც კეთდება, აღინიშნოს.**

- ჩვენ თავი დაგვანებონ და აღნიშნონ, რამდენიც უნდა "ქორთიარდებში". მოიყარონ თავი, ერთმანეთს ელაპარაკონ და ხმას არ ამოვიღებ. მე ნუ მმოძღვრავენ. ძალიან კარგად ვიცი ყველაფერი და ყველაფერსაც ვხედავ.

**- კარგად საიდან იცი? შენ ხომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაქვს დამთავრებული.**

- რა დღეში ჩაჰყარეს ეს ხალხი კაცო. ირაკლი რამიშვილი იყო, ერთი კარგი კაცი. ისა ჰყვებოდა, ვიღაცეებს ძაღლი ჩაუკეტიათ სახლში, სამი დღე არა ყოფილან. და ძაღლსაც დაუსვრია იქაურობა. შეუცხადებიათ, აუჰ, როგორი ნასწავლი ძაღლი იყოო, როგორ შეეშალა, ოთახი როგორ დასვარაო. ირაკლის უთქვამს, კაცო, სამი დღე ანტიოქიის პატრიარქი რომ ჩაგეკეტათ სახლში, ისიც ვერ შეიკავებდა თავსო.

**- ახლა, იტალიაში რომ ვიყავი, იქ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ პოეტები - საფრანგეთიდან, ამერიკიდან, ინგლისიდან. ისეთი ქვეყნებიდანაც, ჩვენ რომ დიდი კულტურული ურთიერთობა არ გვაქვს. ფლორენციაში სიტყვით გამოვედით მეც და სხვებიც. მე, არა თავმომწონების მიზნით, არა საკუთარი ცოდნით კეკლუცობის მიზნით, გულწრფელად ვთქვი, რაც მიხაროდა. მიხარია-მეთქი, რომ ვარ ფლორენციაში, რომელიც ჩემთვის იყო ოცნების სამყარო, სადაც მედიჩიმ მოიწვია ორი დიდი მოაზროვნე - პიკო**

# სამშობლო – ჩადგმით

დე ლა მირანდოლა და მარსელო ფიჩინო. იმათ შექმნეს ფილოსოფიური ტრაქტატი. მედიჩიმ ვილა აჩუქა და ჩააბარა ფლორენცია; ნეოპლატონურ აკადემიას საფუძველი ჩაუყარეს, რასაც დაეყრდნო თითქმის შუა საუკუნეების რენესანსი იტალიაში. ასე ვთქვი, მიხარია, რომ ამ მიწაზე ვარ, თქვენთან ერთად, სადაც ამხელა რამ დაიწყო და როგორ მწვერვალზე ავიდა. სახელოვნებო სამყაროს სიკეთე ის არის-მეთქი, რომ იგი სახელმწიფოებრივი საზღვრებით არ იფარგლება, და მეც მიმაჩნია, რომ ეს რენესანსი მეც შემეხო, ახლა კი ცოცხალი შეხება მაქვს-მეთქი ამ სამყაროსთან და ამით ბედნიერი ვარ-მეთქი. მომიტევოს მკითხველმაც, ღმერთმაც, ამას თავმოწონების მიზნით არ ვამბობ. ან რა თავმოსაწონებელია. მკითხეს, თქვენ ამ დარგის ექსპერტი ხართო? არადა, სხვა არაფერი მითქვამს, არც ანტიკური კულტურის და არც ნეოპლატონიზმის სიღრმეებს შევხებივარ. მხოლოდ ის ვთქვი, რის გამოც ვიყავი გახარებული. ესეც იმათთვის საკვირველება იყო. ელემენტარული ცოდნა ექსპერტობად ჩამითვალეს. ეს ცოდნა მე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მივიღე, სადაც მასწავლიდა რისმაგ გორდეზიანი ანტიკური ლიტერატურის ისტორიას, ალიკა ალექსიძე დასავლური კულტურის ისტორიას, მზექალა შანიძე - ქართული ენის ისტორიას. მთავარი კი ის იყო, რომ ისინი მასწავლიდნენ და მე ვსწავლობდი, ვიღებდი იმათ მოწოდებულს. ეს იყო არაჩვეულებრივი განძი ჩემთვის.; სტუდენტის ვნება მქონდა, სასწავლებლად მოკრძალებით შევედი იქ. არასოდეს არ გამჩენია სურვილი (და ახლა ვხვდები, რომ სამართლიანად), რომ მე, სტუდენტს მემართა სასწავლო პროცესი.

- ოო, რა ცუდ თემას შეეხე, მახსოვს, ჩვენ დროს რომ დაშლიგინობდნენ ახალგაზრდები, "კომსომოლებს" რომ ვუძახდით. ახლაც გამოჩნდნენ ეგეთები. ახალგაზრდობაშივე როგორ უნდა გაყიდო სული. სხვათა შორის, კომუნისტების დროს ზუსტად იცოდი, ვინ ვინ იყო. შავი და თეთრი. ჩვენ ვიყავით თეთრები, ისინი - შავები. ახლა ისეა ანთხლეული, ვიღაცა ვირთხამ შეიძლება გული გაგიხეთქოს.

- შენ ახლა აქტივისტებზე ლაპარაკობ. არის ძალიან კარგი ნაწილი, დიდი ნაწილი ჩვენი სტუდენტებისა, რომლებიც ჯერ-ჯერობით არსაიდან არ ერევიან ორომტრიალში. სწავლობენ. მშვიდად არიან. ალბათ ხვალინდელ საქართველოს ეგ მშვიდი ნაწილი აიღებს ხელში.

- ჩემი წილი საქართველო, ჩემო დათო, იყო და ჩაიარა. 60-ისა გავხდი უკვე და სულისთვის უნდა ვიფიქრო. უნდა მოვინანიო ყველაფერი. ჩემი საქართველო იყო, ჩემმა საქართველომ ჩაიარა.

- მესმის, რასაც ამბობ... უბრალოდ, შენი საქართველო, რომელიც შენში იყო, გინდა, რომ სხვაში გადავიდეს. შეიძლება არა იდენტურად, მაგრამ იმავე სურნელის მატარებელი გინდა, რომ იყოს. განცდის სიმძაფრე, სამშობლოს განცდის სიმძაფრე იგივე უნდა იყოს. იგივე კი არა, უფრო მეტი გინდა, რომ იყოს.

- რობაქიძე ამბობს, განა არსებობს რამე უფრო მწველი? ეგეთი მწველი არის მაგათთვის სამშობლოს განცდა?

- შენ მათ გულისხმობ, ვინც მუდამ ზედაპირზე ყელყელაობენ, მაგრამ იმ ახალგაზრდებისთვის როგორ არ არის, ვინც ყოველდღე ტელევიზიით არ გელაპარაკება.

- ღმერთმა მთელი მადლი იმათ, როგორ არ იქნებიან, მაგრამ ერთი მომენტია ყმაწვილკაცობაში, როცა ძალიან ადვილია შენი გზიდან აცდენა. პატარა რაღაცამ შეიძლება შეგაცდინოს. ეშმაკი ხომ იცი, ნაცრისფერია. ისეთი შხამი და ღვარძლი გადმოდის მედიიდან, რომ ძალიან ადვილია შეაცდინონ წესიერი ადამიანი.

- ვინც უნდა შეცდეს, ის შეცდება. ვინც არ უნდა შეცდეს, არ შეცდება. შენ რომ თქვი, ჩემმა საქართველომ ჩაიარაო, ასეც შეიძლება ითქვას.

- მეც თან მივყვები.

- ამბობ, მე ჩემი საქართველოთი ჩავიარეო, არა? ხომ გინდა, გასძახო, ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდანო და გამოძახილიც ხომ გინდა, გაიგონო?

- არ მესმის.

- ეგეთი განწყობა იმიტომ გაქვს, რომ ის გამოძახილი მკაფიოდ არ გესმის.

- ერთხელ მე და ბაჩანა ბრეგვაძე ვსაუბრობდით. ვუთხარი, არ გაინტერესებს-მეთქი, 30 წლის შემდეგ, როცა აღარ ვიქნებით, როგორ რა იქნება, შენი წიგნები სად იქნება... ვაიმე, არაო! - შეიცხადა.

- ამას წინათ ტელევიზიით ფელინიზე ვუყურებდი გადაცემას. არ მახსოვს, მგონი ოთარ იოსელიანი შეიყვანა ცარიელ კინოდარბაზში. ცარიელ დარბაზში რატომ მომიყვანეო, ეკითხება. ფელინი პასუხობს, ეს არის ჩემი კინოდარბაზი, ჩემი მაყურებელი აღარ არისო. მე მესმის ფელინის განცდა, მაგრამ უფრო მართალი მგონია, ცვეტაევა რომ ესალმება ასი წლის მერე თავის მკითხველს. ანდა "ერთ კაცს ხომ მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად".

- ალბათ ეგრეა. თუ არ განიცადე, ხე ხომ არა ხარ და ქვა... მაინც გულზე გხვდება.

- იტყვი, რომ ჩაიარა ჩემმა საქართველომო, მაგრამ მაგასაც გულისწყვეტით ამბობ, რადგან სამშობლოს განცდა მარადიულია. არ ჩაივლის საქართველო. კახეთში ვართ და ასე გეტყვი: სამშობლო ჩავლით არ არის. სამშობლო ჩადგმით არის, ბაადურ. ძალიან კარგი ქვეყანაა. მახლას, ჩვენ ხომ არ ვეკუთვნით იმ სნობებს, ვინც ჩავა იტალიაში, პეტრეს ტაძარს ნახავს და ჰგონია, რომ ჯვრის მონასტერი აღარ ვარგა. დანტეს გენიალური პოეზია რუსთველს ხელს კი არ უშლის გენიალურობაში, ერთმანეთს ავსებს. ეს არის დიდი ჰარმონია. ამიტომ არის ხელოვნება ისეთი საგანძური, რომელსაც საზღვრები არა აქვს.

ჩვენი სამშობლო კი არის ჩვენი სამშობლო. დიდებული სამშობლო გვაქვს, დამნახავი უნდა; ეს დამნახავები არიან, ბევრი შემხვედრია.

- შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, ახალგაზრდობას ჩემზე უკეთ იცნობ და მიხარია, ეგრე რომ ამბობ. მე რომ გარშემო ვუყურებ... თუმცა რას ვუყურებ, ჩემს ოთახს ვუყურებ.

- ჯვრის მონასტრით, ხახულის ხატით, ილიათი, ვაჟათი, "ვეფხისტყაოსნით", გურამიშვილით, ფიროსმანით, ბედიის ბარძიმით...

- ეგ არაფერი არ არის "Черный бумер"-თან თურმე, ისაა ყველაფერი.

- აი, ასე მოდის ეს სამშობლო. მოდის და მოაქვს სულიერი საგანძური, არა მარტო მჭედლის, არა მარტო ოსტატის, არა მარტო პოეტის, არამედ ურთიერთობის დღესასწაულიც. ამით იზიდავდა ყოველთვის ყველა უცხოელს. ვინც საქართველოში სხვა ქვეყნებიდან ჩამოდის, არ შეიძლება, ყურადღება არ გაამახვილოს, რომ აქ ყოველთვის ურთიერთობის დღესასწაული დგას.

- ჰო, აკვირდებიან. ერთხელ ერთი პარიზელი რუსი იყო ჩამოსული და იმან მითხრა, თქვენ რაღაც საოცარი ურთიერთობა გაქვთ, ფსიქოთერაპიას ჰგავსო. ერთმანეთს მკურნალობთო. სულ მეგობრებში ტრიალებდა და სიყვარულის მეტს ვერაფერს ხედავდა.

- მოდა იცვლება, ტანისამოსი იცვლება. მაგრამ არსებობს ერთი უცვლელი და მარადიული მოდა - საქციელის მოდა. საქციელი უნდა იყოს მოდაში, ზრდილობა. უნდა გაიცნობიეროს ყველა ახალგაზრდამ, რომ ქართველი ერის სულიერი თავგადასავალი არის მისი თავგადასავალი. უნდა მოიგოს მარტყოფში, უნდა წააგოს მარაბდაში, უნდა გაიმარჯვოს "ვეფხისტყაოსანში", "ალუდა ქეთელაურს" რომ წაიკითხავს, უნდა თავისი თავი იგულისხმოს, უნდა მიატოვოს სოფელი და სოფლის მიტოვებისას ერთხელ თავის მობრუნვა მოუნდეს.

- მაშ იტალია სჯობია საქართველოს?

- საქართველოს ვერაფერი ვერ სჯობია. გულზე ხელს ვიდებ და გეუბნები. ალავერდი როგორც დგას და როგორ სივრცეშიც არის, ასეთი დიდებული მიგნება მე არსად მინახავს. აი, ამ დაცემულ ველზე, ალაზნის ველზე რომ მიხვდე, რომ ასეთი ტაძარი უნდა დადგა, მაგ სიგრძე გუმბათის ყელით, ეგ ისეთივე შედევრია, როგორც სიქსტის კაპელაა შედევრი და როგორც ლეონარდოს "მოგვთა თაყვანისცემაა". ზეციდან გადმოდის მადლი იმ ადამიანზე, ვინც მიხვდა, რომ ამ ხედის დაგვირგვინება ასეთი ტაძრით შეიძლება. ეს მადლი საქართველოში გადმოვა, იტალიაში თუ საფრანგეთში, იმავე სიმძაფრის მადლია. იტალია არის ქვეყანა, სადაც სრულყოფილების ხატს ხელი შეახეს. სადაც, თუ გაქვს აღფრთოვანების ნიჭი, ქრება შენში ყოველი მარცვალი პატივმოყვარეობისა და რჩება მხოლოდ აღფრთოვანება და ეს გარდასახვა იწვევს დღესასწაულის განცდას.

მე ვდღესასწაულობ იტალიით.

და ბედნიერი ვარ საქართველოთი.

სამშობლო სილამაზის კონკურსში არ მონაწილეობს, რადგან ცრემლი ურევია და ამ ცრემლნარევი ბედნიერებით არის ყველაზე მშვენიერი. მე ნუ მეკითხები, საქართველოს რა სჯობსო, რადგან მე ალავერდის ტაძარს ხელისგულებს რომ დავაწყობ, ის, რაც ჩემში იღვრება, კოლიზეუმიდან არ გადმოვა. ეს ჩვენი საუბარი თუ ვინმესთვის მნიშვნელოვანია, იმ ვინმემ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ გვაქვს ხვალინდელის იმედი, რადგან ჩვენს გვერდით არიან ისეთი ახალგაზრდები, ვისი იმედიც უნდა გვქონდეს. ხვალინდელ დღეში წადით და წაიღეთ ეს სამშობლო. მე ნუ მიტოვებთ. აქ არეთ.

- ღმერთმა ქნას, რომ ეს წამლები გამოჩნდეს.

- წამლები ბევრი უნდა იყოს. ასფურცელობა რეალობაში უნდა დამთავრდეს. ადამიანები უნდა იყვნენ მიმღები და წამლები მომდევნო თაობისაკენ. რაც შეეხება ქართულ იდეას, გულს ნუ გაიტეხ, ბაადურ. ხომ გახსოვს, რაც წერია მთათუშეთში, შენაქოს ეკლესიის შესასვლელში. ეგ სულ უნდა გვახსოვდეს - მარადიული წარწერაა: "ვინამ თქვა თუშთა დალევა, ნაპირ მოტეხა ცისია".


ბაადურ ბალარჯიშვილი და დათო მაღრაძე ნადიკვარზე. თელავი.

# ახალი ევა



იუსტინა მელნიკევიჩი.



ბენედიქტ კურზენი.



მირიზილდა კრუპე.

ნესტან ნიჟარაძე

ისინი ექვსნი არიან-ფოტოგრაფები და თან ქალები. მაგრამ არა ექვსი ევა, არამედ ექვსნი "ევა"-ში. ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნებში, არიან სხვადასხვა ეროვნების, მაგრამ ერთ საქმეს აკეთებენ და ეს საქმე ფოტოგრაფიაა. ასე რომ, ახალი "ევა", რომელმაც ექვსი ფოტოგრაფი ქალი გააერთიანა, მულტინაციონალური, არტისტული, გეოგრაფიულად მასშტაბური და ძალიან ფოტოგრაფიული ჯგუფია.

საქართველოდან სამხრეთ აფრიკამდე, ესპანეთის, ირანის, ტაილანდის და ბრაზილიის გავლით "ევამ" საქართველოში მცხოვრები პოლონელი ფოტოგრაფი იუსტინა მელნიკევიჩი, ტაილანდში ბაზირებული ფრანგი ანიეს დერბეისი, სამხრეთ აფრიკაში ასევე ფრანგი ბენედიქტ კურზენი, ესპანეთში ესპანელი ლურდეს სეგადე, ირანში ირანელი ფოტოგრაფი ნევშა ტავაკალიანი და ბრაზილელი მირიზილდა კრუპე გააერთიანა.

"ევა" არ ცნობს არც სამყაროს გეოგრაფიულ დაყოფაში არსებულ საზღვრებს და არც იმ საზღვრებს, რომლებიც ამ სამყაროს აღქმაში შეიძლება არსებობდეს. "ევა" ენდობა თვალს, ეყრდნობა მგრძნობიარობას და ფოტოგრაფიას სამყაროს ორიგინალური ინტერპრეტაციის იარაღად იყენებს. მაშასადამე, "ევა" გახსნილია სამყაროს აღქმისთვის და ძალიან ყურადღებიანია ამ სამყაროსადმი.

## "ევას" შექმნა

პირველქმნილი ევასგან განსხავებით, "ევას" შექმნის იდეა, იუოჰანესბურგში მცხოვრები ფრანგი ფოტოგრაფის ბენედიქტ კურზენის სახლის ტერასაზე, სამხრეთ აფრიკული თბილი ზამთრის ერთ საღამოს გაჩნდა. იდეა ცნობილი ამერიკელი ფოტოსააგენტოს "Seven Agency" -ის დირექტორს და ცნობილ ფოტოგრაფს გარი ნაითს ეკუთვნის. "მე მივხდვი, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილები ჩემზე სწორედ ქალი ფოტოგრაფების ნამუშევრებმა მოახდინეს, განმარტავს გარი ნაითი. ისინი შეზღუდული ფინანსური საშუალებებით, დიდი სიმამაცით და ცოტაოდენი დახმარებით საკმაოდ სახიფათო ადგილებში მუშაობენ და რთულ სოციალურ პრობლემებს უპირისპირდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათთდამი ცოტა ცინიკური დამოკიდებულებაც კი არსებობს. სწორედ ამიტომ ვიფიქრე, რომ მათი გაერთიანება, მათივე გაძლიერების წინაპირობა იქნებოდა. " ასე შეიქმნა "ევა" და ეს 2005 წლის ნოემბერში მოხდა.

გარი ნაითის იდეა დაუფიქრებლად აიტაცა ექვსივე ფოტოგრაფმა. თითოეული მათგანის ნამუშევრებს ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი კარგად იცნობდა. იცნობდა თითოეულ მათგანსაც, რადგან სხვადასხვა დროს იმ ე.წ. workshop-ზე ანუ საერთაშორისო ფოტოსემინარებზე შეხვდა, რომელსაც გარი ნაითი და მისი ფოტოსააგენტო "Seven Agency "რეგულარულად აწყობს ახალგაზრდა ფოტოგრაფებისთვის.

## "ევას" ქართულ-პოლონური შტო

2004 წლის ზაფხულში შედგა გარი ნაითის და საქართველოში მცხოვრები პოლონელი ფოტოგრაფის იუსტინა მელნიკევიჩის შეხვედრაც, რომელიც მკაცრი საკონკურსო შერჩევის შედეგად იმ 17 ფოტოგრაფთა შორის მოხვდა სააგენტომ "Seven Agency" საფრანგეთში გამართულ სემინარზე რომ მიიწვია. ამ შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ კი ერთი და იგივე დროს მირიზილდა კრუპმა ბრაზილიაში, ანიეს დერბეისმა ტაილანდში, ბენედიქტ კურზენმა სამხრეთ აფრიკაში, ლურდეს სეგადემ ესპანეთში, ნევშა ტავაკალიანმა ირანში, იუსტინა მელნიკევიჩმა კი საქართველოში, თბილისში და კერძოდ კი ზემო ვერაზე მიიღო ფოტოგრაფიის ცნობილი მეტრის გარი ნაითის იმეილი. "იდეა ყველას მოგვეწონა და მუშაობაც დავიწყეთ, იხსენებს იუსტინა მელნიკევიჩი. რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღიურად ათი იმეილის გაგზავნაც კი გვიხდებოდა ერთმანეთისთვის. რთული იყო, მაგრამ მაინც გავართვით თავი. მითუმეტეს, რომ ჩვენ ექვსნი ერთმანეთს არ ვიცნობდით პირადად და მანამდე არასდროს შევხვედრივართ."

იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა ასაკის ექვსი ფოტოგრაფი ქალი ერთმანეთს არ იცობდა, ხელი ნამდვილად არ შეუშლია ახალი ფოტოჯგუფის ანუ ახალი "ევას" შექმნისთვის. შეთანხმება ჯგუფის მუშაობის პრინციპებზე და თემებზე ვირტუალურად, ანუ იმეილების მეშვეობით შედგა. ექვსი ფოტოგრაფის მთავარი გამაერთიანებელი ფაქტორი თანამედროვე სამყაროში მიმდინარე მოვლენებისადმი მათი დამო-



ანიეს დერბეისი. მშობიარე. ტაილანდი.



იუსტინა მელნიკევიჩი. ეკა შვილთან და ბრმა დედასთან ერთად. საქართველო.



ბენედიქტ კურზენი. შიდსით ინფიცირებული ახალშობილი. სამხრეთ აფრიკა.

# ახალი ევა

კიდებულება და ამ მოვლენების ფოტოგრაფიის მეშვეობით ალბეჭდვისა აღქმის და გააზრების სურვილი გახდა.

ვიდრე "ევას" წევრი გახდებოდა, იუსტინა მელნიკევიჩი პოლონეთიდან მექსიკაში კერძოდ კი, მეხიკოში ფიქრობდა საცხოვრებლად გადასვლას. საქართველოში პირველად 2001 წელს კონკრეტული მიზნით ჩამოვიდა: გაეცნო იმ ქართველი მეგობრების ქვეყანა, რომელთაც პოლონეთში შეხვდა. ჩამოვიდა, ნახა და გაიცნო საქართველო. პოლონეთში დაბრუნების შემდეგ კი მალევე ისევ საქართველოში ჩამოვიდა და მეხიკოს ნაცვლად თბილისში, ზემო ვერაზე დასახლდა, დაიწყო ხანგრძლივ სამხრეთკავკასიურ ფოტოპროექტზე "კავკასიურ ცარცის ხაზზე გავლით" მუშაობა და საქართველოს მოქალაქეც გახდა. აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიო გამოცემებთან, რომელთა შორისაც ამერიკული "New York Times", ქართული "24 საათი", პოლონური Newsweek, ფრანგული Paris Match და აგრეთვე Frankfurt Allgemeine Zeitung არის. იყო ფოტოსააგენტოების "Cosmos Agency" და "World Picture News" წევრი. ახლა "ევას" წევრიც არის, თან პოლონელ-ქართველი წევრი.



ლურდეს სეგადე. ოჯახი. ესპანეთი.

## "ევას" სხვა წევრები

ჯგუფის ქართულ-პოლონურ შტოს ესპანეთში ესპანელი ფოტოჟურნალისტი ლურდეს სეგადე ამყარებს. იგი ცხოვრობს და მუშაობს ბარსელონაში. თანამშრომლობს ესპანურ და ევროპულ გამოცემებთან. 25 წლის ნევშა ტავაკალიანი, თეირანელი ფოტოგრაფია, რომელიც ისეთი ჟურნალებისთვის მუშაობს, როგორიც არის, "Time", “Newsweek”, “Stern”, “New York Times” ფარავდა ირანს, სირიას, საუდის არაბეთს და პაკისტანს. ფრანგმა ფოტოგრაფმა ბენედიქტ კურზენმა 23 წლის ასაკში დატოვა საფრანგეთი და ისრაელსა პალესტინაში გაემგზავრა, სადაც მუშაობდა ჟურნალებისთვის "Paris Match”, “Le monde”, “Der Spiegel”, “Courrier International“. ამჟამად ბაზირებულია სამხრეთ აფრიკაში. სააგენტოს "Cosmos” ფოტოგრაფი ანიეს დერბეისი ტაილანდში ცხოვრობს და მუშაობს. მარიზილდა კრუპე კი ბრაზილიაში, სადაც ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემისთვის Globo მუშაობს. ყველა ერთად და ცალ-ცალკე კი ისინი "ევას" წევრები არიან.



მირიზილდა კრუპე. კოლეჯის ფეხმძიმე მოსწავლე. ბრაზილია.

## "ევას" პირველი შეკრება

პირველი შეხვედრა, რომელზეც ფოტოჯგუფის წევრებმა ერთმანეთი გაიცნეს, ესპანეთის ქალაქ გიხონში შედგა 2006 წლის ივლისში. გიხონის ფოტოჟურნალისტთა საერთაშორისო ფესტივალმა "ევას" წევრები საგანგებოდ მიიწვია ფოტოჟურნალისტიკით დაინტერესებული სტუდენტების 15 კაციანი ჯგუფისთვის სემინარის ჩასატარებლად. "როდესაც უშუალოდ შევხვდით, შევთანხმდით, რომ ყველა ის თემა, რომელზეც ჯგუფი მომავალში იმუშავებს, თანამედროვე მსოფლიოში ქალებთან დაკავშირებულ საკითხებს და პრობლემებს მოიცავს, განმარტავს იუსტინა მელნიკევიჩი. ჩვენი შემდეგი შეხვედრა ბრაზილიაში, ფაველას ფოტოფესტივალზე შედგება. 2008 წელს კი "ევა" საქართველოში შეიკრიბება და ჯგუფურ გამოფენასთან ერთად სემინარსაც ჩაატარებს. მანამდე კი ბევრს, ძალიან ბევრს ვიმუშავებთ საერთო და ინდივიდუალურ ფოტოპროექტებზე." ჯგუფის ყველა პროექტის ხილვა შესაძლებელია მისამართზე: www.evephotographers.com



ნევშა ტავაკალიანი. ომში დაღუპული ჯარისკაცის დედა. ირანი.

## "ევას" ფოტოპროექტი "დედობა"

"დედობა" ერთ-ერთი იმ თემათაგანი აღმოჩნდა, რომელმაც "ევას" წევრების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. თითოეულმა ფოტოგრაფმა თავის ქვეყანაში ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემების ხედვის და მათი ფოტოზე ალბეჭდვის ინდივიდუალური ვერსია და შესაბამისად, ექვსი განსხვავებული ფოტოისტორია შექმნა. იუსტინამ - საქართველოში, სადაც ახალშობილ ბავშვთან, ბრმა დედასთან და ბებიასთან ერთად საარსებო სახსრების გარეშე დარჩენილი 30 წლის ეკა, მიწისძვრისგან დანგრეული სახლის სამზარეულოში ცხოვრობს; სამხრეთ აფრიკაში ბენედიქტმა - სადაც 45 მილიონიანი მოსახლეობიდან 5,7 მილიონი შიდსით არის ინფიცირებული, ისევე როგორც 700 000 მოზარდი 14 წლამდე.; ლურდეს სეგადემ - ესპანეთში, სადაც მოსახლეობის 9 პროცენტი ფიზიკურად უძლურია და აქედან 58 პროცენტი ქალია, მათ შორის დედა; ნევშა ტავაკალიანმა ირანში, სადაც ქალების უფლებები 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვნად იზღუდება; მარიზილდა კრუპემ ბრაზილიაში, სადაც სოციალური დაუცველობის ფონზე მოზარდთა ფეხმძიმობა ძალიან არის გავრცელებული და ბოლოს, ანნიეს დერეისმა - ტიმორ ლესტში, სადაც მსოფლიოში შობადობის და ახალშობილთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ყველა ამ ფოტოისტორიას - რომელიც "ევას" წევრების მიერ სხვადასხვა ქვეყნებში აღიბეჭდა ფირზე, ერთი რამ აერთიანებს - ინტერესი დედობასთან დაკავშირებულ ყველა იმ პრობლემასთან, რომელიც კიდევ უფრო მძაფრდება მრავალი სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორის ერთობლიობის ფონზე.

"ევას" წევრების მიზანი კი ერთია - თავიანთი ფოტოების მეშვეობით მეტი ყურადღება მიაპყრონ იმ სამყაროს, რომელშიც თვითონაც ცხოვრობენ და მათი ფოტოების გმირებიც. სწორედ ამიტომ შეიქმნა "ევა".



ნევშა ტავაკალიანი.



ანიეს დერბეისი.



ლურდეს სეგადე.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

# მოძალადე ბუდისტი

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეზარაშვილი**

1921 წლის 15 სექტემბერს, ციმბირის ქალაქ ნოვონიკოლაევსკში, რომელიც უფრო ნოვოსიბირსკის სახელითაა ცნობილი, საგანგებო ტრიბუნალის განაჩენით დაიხვრიტა რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი რომან ფონ უნგერნ-შტერნბერგი. ჩეკისტების სადამსჯელო ოცეულმა კიდევ ერთი პიროვნება აქცია უსახურ გვამად...

სახე კი მართლაც საოცარი იყო — რაინდი, ასკეტი, მისტიკოსი, ყაჩაღი — ერთი სიტყვით, ჯვაროსნული ლაშქრობების დროიდან შემორჩენილი და აწ თითქმის გადაშენებული ჯიში.

1885 წელს ფონ უნგერნები — რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახი — ევროპაში მოგზაურობდნენ. ავსტრიაში ქალბატონს მშობიარობის დრომ მოუწია და 29 დეკემბერს ქალაქ გრაცში დაიბადა მონღოლეთის მომავალი დიქტატორი, "ევრაზიული იდეის" უკიდურესი გამტარებელი, რომან ფიოდოროვიჩი. სანატრელ სამშობლოში ბავშვი მხოლოდ ორი წლის ასაკში მოხვდა, თანაც არა საკუთრივ სამშობლოში, არამედ ქალაქ რეველში, დღევანდელ ტალინში.

ბავშვს ჰუნებისა და ტევტონების სისხლმა უყივლა. გიმნაზია ლამის აიკლო და ამიტომ 1896 წელს დედამ სანქტ-პეტერბურგის მეზღვაურ კადეტთა კორპუსში მიაბარა. აქედანაც კინაღამ გარიცხეს აუტანელი ხასიათისა და ცუდი ქცევის გამო. სასწავლებლის დასრულებას ერთი წელი უკლდა, რომ რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო. დაიწყო ფონ უნგერნის აღმოსავლური ეპოპეაც — ცხრამეტი წლის ბარონი რიგით ჯარისკაცად გაემგზავრა ფრონტზე.

1908 წელს ბარონი უნგერნი ბაიკალისპირეთის კაზაკთა ლაშქრის ოფიცერი გახდა და უკვე აღარ ფიქრობდა შორეული აღმოსავლეთის დატოვებას. თანდათანობით მის ირგვლივ ლეგენდათა ღრუბელმა იწყო ზრდა. ერთხელ, მაგალითად, მეგობრებს დაენიძლავა, რომ დაურიიდან ბლაგოვეშჩენსკამდე დათქმულ ვადაში ფეხით გადაჭრიდა ტაიგას გამყოლებისა და საგზლის გარეშე, მხოლოდ შაშხანისა და ვაზნების მარაგის იმედით. სამასი კილომეტრი იარა და სანაძლეო მოიგო.

აქვე იჩინა თავი მისი ხასიათისა და აზროვნების კიდევ ერთმა მხარემ: ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ბარონმა უნგერნმა განიზრახა მეომარი ბუდისტების ორდენის შექმნა და "რევოლუციის ბოროტებასთან" ბრძოლა. 1913 წელს მისი კვალი ჩანს დასავლეთ მონღოლეთში, სადაც ჩინეთის რესპუბლიკური არმიის წინააღმდეგ იბრძოდა ვინმე ჯა-ლამა — ყაჩაღი და მოხეტიალე ასკეტი, ტიბეტის ტანტრული მაგიის ღრმა მცოდნე. თუმცა, უნგერნს სარდლობამ აუკრძალა ჯა-ლამასთან შეერთება, რადგან ამ უკანასკნელის საბრძოლო დროშები ადამიანის სამსხვერპლო სისხლით იყო შეღებილი. ბარონი უხალისოდ დაუბრუნდა თავის ლეგიონს.

სამაგიეროდ, პირველმა მსოფლიო ომმა მოუტანა ნანატრი საბრძოლო დიდება: ბარონი სულ მალე ხუთი ორდენის კავალერი შეიქნა. მაგრამ, კაზაკთა ასისთავობას ვერ გასცდა — მისი უშუალო უფროსები, გენერალი კრიმოვი და პოლკოვნიკი ვრანგელი (ბავშვობიდან რომ გვახსოვს, სწორედ ის) სიფრთხილით ეკიდებოდნენ თავზეხელაღებულ ხელქვეითს. მათი სიფრთხილე სულაც არ იყო უსაფუძვლო: 1917 წელს ბარონმა უნგერნმა, იმის გამო, რომ დროზე ვერ მიიღო ბინა, სამხედრო კომენდანტის ადიუტანტი კინაღამ მოკლა ცემით. ჯარიდან გაძევებას ლამის სიხარულით შეხვდა: საბაბი მიეცა, კვლავ შორეულ აღმოსავლეთში გადახვეწილიყო.

ცენტრში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი დუღდა. ბარონი უნგერნი შეუერთდა ვინმე გრიგოლ სემიონოვს, რომელიც ამასობაში რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების მმართველი გახდა. სემიონოვი ნახევრად ბურიატი იყო, თანაც ჩინგის-ხანის შთამომავლობას იკვეხნიდა. ამ ორ ადამიანს ის აერთიანებდა, რომ სემიონოვი ადრევე ჩაეწერა უნგერნის დაარსებულ მებრძოლი ბუდისტების ორდენში. სწორედ ამით აიხსნება ის უმაღლესი სტატუსი, ბარონმა რომ მიიღო ახლად დაარსებულ სახელისუფლებო სისტემაში. სემიონოვისა და უნგერნის ურთიერთმიმართება ძალიან ჰგავდა იმას, რომელიც ტიბეტში არსებობს დალაი და პანჩენ-ლამებს შორის. პირველი უზენაესი საერო ავტორიტეტია, მეორე კი საკრალური მოძღვრების მცველი.

თუმცა, აქ მოძღვრება არა იმდენად რელიგიური იყო, რამდენადაც პოლიტიკური, უფრო სწორად, გეოპოლიტიკური. ამ მოძღვრების შინაარსი საკმაოდ მარტივად გამოითქმის: ჯვაროსნული ლაშქრობა დასავლეთის წინააღმდეგ. დასავლეთი რევოლუციის წყაროა, ამიტომაც ის უნდა დაინგრეს "ყვითელი" ხალხების ხელით, რომელთაც არ დაუკარგავთ ძირძველი ტრადიციები. უნდა აღდგეს დამხობილი მონარქიები, მთელს ევრაზიულ კონტინენტზე კი "ყვითელი" კულტურა და "ყვითელი" სარწმუნოება უნდა დამკვიდრდეს — ლამაისტური ხასიათის ბუდიზმი, რომელიც, ბარონის აზრით, სულიერად განაახლებს ძველ სამყაროს.

ამ მიზნით ბარონმა მოისურვა ვეებერთელა სახელმწიფოს შექმნა — ინდოეთისა და წყნარი ოკეანის ნაპირებიდან ყაზანსა და ასტრახანამდე. ჩანასახი მონღოლეთი უნდა გამხდარიყო, იდეური საყრდენი კი ჩინეთი, ოღონდ არა რესპუბლიკური არამედ იმპერიული. უნგერნმა განიზრახა 1911-1913 წლებში სინხაის რევოლუციით დამხობილი ცინის დინასტიის აღდგენა.

დღეს ასეთი აზრები სასაცილოა, მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისში არავის ეჩვენებოდა ფანტასტიკურად: ჩინეთისა და რუსეთის იმპერიათა დაცემის შედეგად ცენტრალურ აზიაში შექმნილი ვითარება ყველანაირ და ყველაზე გიჟურ იდეასაც ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდა. უფრო მეტიც: ბარონი უნგერნი არ იყო ერთადერთი, ვისაც თავში ამგვარი პროექტი მოუმწიფდა — ყაჩაღ ჯა-ლამას გარდა იმავე მიზნების განხორციელებას ცდილობდნენ ჩინელი გენერალი ჯან ძოლინი და იაპონიის მილიტარისტული მანქანა. ეს კი საბავშვო თამაშები არ ყოფილა.

მართლაც, 1932 წელს ტოკიოს ხელ-



ლამა იტიგელოვი სიცოცხლეში (მარჯვნივ) და სიკვდილის შემდეგ (ზემოთ)



## მოძღვრის "დაბრუნება"

იმ ადგილებში, სადაც ბარონი უნგერნი დათარეშობდა, მართლაც ძალიან ძლიერია ლამაისტური ტრადიციები. ხოლო სადაც ტრადიციებია, იქ სასწაულებიც ხდება: არა მარტო "ცოცხალი ღმერთები" გამოჩნდებიან ხოლმე, არამედ "ცოცხალი" მკვდრები. ყველაზე ცნობილია აღმოსავლეთ ციმბირის მთავარი ლამას, **დაში-დორჟო იტიგელოვის** ამბავი. ეს პიროვნება, ბუდისტური სარწმუნოების აღმდგენელი და ლიდერი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, 1927 წელს საკმაოდ მოხუცებული გარდაიცვალა. ანდერძად კი დაიბარა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა. თან ისიც დასძინა, რეგულარულად მოახდინეთ ჩემი სარკოფაგის ექსჰუმაციაო.

იტიგელოვი ლოტოსის პოზაში მედიტაციისას გარდაიცვალა, როგორც უმაღლესი რანგის იოგს შეეფერება. მოწაფეებმა მისი ცხედარი ასევე მოათავსეს ხის სარკოფაგში და ულან-უდეს მახლობლად დაფლეს. გვამის ექსჰუმაცია სამგზის მოხდა — 1955, 1973 და 2002 წლებში. როგორც იქაური ბუდისტი მსახურები აღნიშნავენ, დიდი ლამას სხეული არ ამჟღავნებდა გახრწნის რაიმე ნიშანს და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მოძღვარი ახლახან გარდაიცვალა.

2002 წელს გადაწყდა, აღარ დაეფლათ იტიგელოვის სხეული — ის ორგანული შუშის სპეციალურ სარკოფაგში დასვეს და მასთან მისაახლებლად ხალხს უშვებენ. ბოლოს სარკოფაგი 2002 წლის 11 სექტემბერს გაიხსნა და გახსნას ბუდისტი ავტორიტეტების გარდა სამედიცინო ექსპერტებიც ესწრებოდნენ. მართალია, ბურიატი ბუდისტები არ იძლევიან ფოტო და ვიდეო გადაღების უფლებას, რადგან ეს ტრადიციას ეწინააღმდეგება (თუმცა კი გაურკვეველია, როგორ უნდა იყოს ამგვარი აკრძალვა ტრადიციული), მაგრამ მაინც მისცეს სპეციალისტებს თმებისა და ფრჩხილების ფრაგმენტები გასასინჯად.

ექსპერტიზა ჩაატარა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, **ვიქტორ ზვიაგინმა**. დადგინდა, რომ გვამის ქსოვილები არა თუ უხრწნელია, მრავალი პარამეტრით ცოცხალი ადამიანის ქსოვილების იდენტურია. თვით "უხრწნელობის" ფენომენი საკმაოდ ცნობილია: ჩვენი პლანეტის ზოგიერთ ადგილას ხდება გვამების ბუნებრივი თავისთავადი მუმიფიცირება: ცნობილია სამხრეთ ამერიკისა და პალერმოს მუმიები. მოსკოვის მანეჟის მოედანზე არქეოლოგიური გათხრებისას კი აღმოაჩინეს სასაფლაო, რომელშიც დაკრძალული იყო ორასამდე მშვენივრად შენახული ბუნებრივი მუმია. ზოგჯერ სხეული ტორფიან ნიადაგში "ითრიმლება", უფრო იშვიათად კი ბიოქიმიური თავისებურებების გამო ქსოვილები საპონს ემსგავსება. ამ უკანასკნელ მდგომარეობაში იპოვეს, მაგალითად, რუსეთის ბოლო იმპერატორის ექიმის, ბოტკინის გვამი.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ იტიგელოვის სხეული მუმიასაგან განსხვავდება: კანი ელასტიურია, სახსრები კი მოძრავი. ფენომენი მართლაც გამოუცნობია. მაგრამ, ახლა სულ სხვა რამეზე გავამახვილებთ ყურადღებას: არსებობს რელიგიის დონე, სადაც ერთმანეთს ემსგავსებიან მუსლიმანები, ბუდისტები, ქრისტიანები. ეს დონე შეიძლება განისაზღვროს როგორც ყოფითი მსოფლმხედველობა: ყოფით დონეზე მცხოვრებ ადამიანს თეოლოგიის ფაქიზი დეტალები არ აინტერესებს. მისი სულიერი მოთხოვნილებები საკმაოდ მარტივია: რა უნდა გავაკეთო, რომ ჩემი სანატრელი მიცვალებულები თავს კარგად გრძნობდნენ? რა მელის საიქიოში? რაც უფრო ახლოსაა პიროვნება მსოფლმხედველობის ყოფით დონესთან, მით უფრო სჭირდება ამ უძველეს შეკითხვებზე ხილული და გრძნობადი პასუხი. ამიტომაც ძნელია განვასხვაოთ წმინდა ნაწილების წინაშე მოწიწებული ქრისტიანი, მექას ცენტრში ხელში კენჭმომარჯვებული მუსლიმანი და ხამბო-ლამას უხრწნელი გვამის წინაშე დაჩოქილი ბუდისტი. ელაპარაკეთ, რამდენიც გინდათ, ერთს ადამიანის განღმრთობაზე, მეორეს — ალაჰის მოწყალებასა და სამოთხის ნეტარებაზე, მესამეს — რეინკარნაციათა ჯაჭვის გარღვევაზე. სამივესთვის ეს მხოლოდ კულტურის ჩვეული გუგუნი იქნება. კულტურის მიღმა კი, სადღაც შორს, გონების ფიზიოლოგიურ საფუძვლებთან ერთი აზრი, აზრი კი არა, ბუნდოვანი შეგრძნება ულიტინებთ: რაკი უხრწნელობა არსებობს, იქნებ სიკვდილიც დამარცხდეს.

## ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

შეწყობით შეიქმნა ოცდაათმილიონიანი მონარქია მანჯოუგო. მის სათავეში იდგა ცინთა დინასტიის უკანასკნელი იმპერატორი პუ ი, რომელიც მოგვიანებით ბერნარდო ბერტოლუჩიმ გააცოცხლა თავის იმდენადვე ცნობილ, რამდენადაც მოსაწყენ ფილმში. ყოველივე ამას გვერდს უმაგრებდა ჩინეთის მონარქისტული გენერალიტეტის ნარჩენები, რომლებმაც 1917 წელს პეკინი აიღეს და 12 დღის განმავლობაში აკონტროლებდნენ.

პოლიტიკური თვალსაზრისით უნგერნი ნამდვილად არ მდგარა ქვიშაზე, მაგრამ მისი სუსტი წერტილი სწორედ იდეოლოგია აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ მონღოლებსა და "ყვითელი ძირის" სხვა ერებს სულაც არ სურდათ "კაცობრიობის ხსნა" და "გარყვნილი დასავლეთის დასჯა". ჩინგის-ხანის იმპერიის აღდგენისა და ბუდიზმის მსოფლიო ტრიუმფისკენ მოწოდებამ მათში ვერავითარი პრაქტიკული წარმატება ვერ მოიპოვა. ბარონის მოძღვრება თეთრი ადამიანის გამონაგონი იყო და მას არ ახლდა არათუ აზიელთა მიმართ სიყვარული, არამედ მათი ხასიათისა და ბუნების მინიმალური ცოდნა.

საინტერესოა, რომ უნგერნის ჯარში, მსგავსად ყველა კოლონიალური ქვედანაყოფისა, გაბატონებული იყო ორმაგი სარდლობა: ადგილობრივ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს (ძირძველი ტრადიციების მატარებლებსა და მსოფლიოს მხსნელებს!) დასავლური (მოცემულ შემთხვევაში რუსული) წარმოშობის ზედამხედველები აკონტროლებდნენ. გავიხსენოთ, რომ ბოლშევიკებიც, თუმცა კი ქადაგებდნენ, რომ პროლეტარიატი რევოლუციის ჰეგემონია, მაინცდამაინც არ ენდობოდნენ პროლეტარებს და მათ ასალაგმად კომისრების ინსტიტუტი შეიქმნა. იგივე ემართებოდა "ყვითელი იდეის თეთრ რაინდსაც", იგივე ემართებათ თანამედროვე "ევრაზიელებსაც", რომელთათვის ევრაზიელი, უპირველეს ყოვლისა, რუსია. საბჭოთა ჰიმნის სიტყვები — "თავისუფალ ხალხთა მძლე კავშირი ძმური", რომელიც დიდმა რუსეთმა შეადუღაბა, — დღევანდელი რუსეთის ჰიმნსაც შემორჩა და ყოველგვარი "ევრაზიელობის" ერთადერთ ნამდვილ სარჩულს წარმოადგენს.

ბარონი უნგერნიც აქტიურად შეუდგა საქმეს: ბაიკალის გაღმა მხარეში, ეგრეთ წოდებულ დაურიაში, სემიონოვთან ერთად შექმნა საკმაოდ მოზრდილი პროვინცია, რომელსაც პირადი ძალაუფლებისა და მკაცრი დამსჯელი სისტემის საშუალებით მართავდა. აქ იმართებოდა პანმონგოლისტური კონფერენციები, დაკომპლექტდა "დიდი მონღოლეთის" მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ვინმე ნეისე-გეგენი, ერთ-ერთი ლამაისტური მონასტრის "ცოცხალი ღმერთი". 1919 წლის აგვისტოში უნგერნმა მანჯურიელი პრინცესა შეირთო ცოლად და მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა. მონღოლებმა მას ვანის, ანუ მეორე თანრიგის თავადის ტიტული მიანიჭეს.

დაურიიდან უნგერნმა გამართა ლაშქრობა გარე ანუ, ხალხა-მონღოლეთის წინააღმდეგ, რადგან ამ პროვინციამ თავი აარიდა პანმონგოლისტურ მოძრაობას და ჩინეთის რესპუბლიკური არმიის დანაყოფები შემოიყვანა ქალაქ ურგაში. პირველი ცდები უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ქალაქი კარგად იყო გამაგრებული. სამაგიეროდ, ტიბეტის სულიერმა ლიდერმა, დალაი-ლამა მეცამეტემ ბარონი რწმენისთვის მებრძოლად გამოაცხადა. დალაი-ლამას პოლიტიკური ინტერესი ჰქონდა: ჩინელებმა აკრძალეს ლამაიზმი და დააპატიმრეს "ცოცხალი ბუდა" ბოგდო-გეგენი). უნგერნის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა და მას უკვე ცაგან-ბურხანს უწოდებდნენ, ანუ ომის ღმერთს, ამის გარდა, მიაჩნდათ იგი მახაკალას, ექვსხელიანი ლამაისტური ღვთაების ინკარნაციად.

ბარონი ურგაში დაბრუნდა და ორ თვეში შეძლო კბილებამდე შეიარაღებული ჩინური არმიით დაცული ციტადელის დემორალიზება. თუმცა, არმია უკვე თვითონაც დემორალიზებული იყო: ბოგდო-გეგენის დაპატიმრება შეცდომა აღმოჩნდა, რადგან ჯარისკაცები ამას მკრეხელობად მიიჩნევდნენ და ზებუნებრივ ძალთაგან შურისძიებას ელოდნენ. ჩინელებისთვის დიდი დარტყმა იყო ურგაში თვით ბარონის სტუმრობა: უნგერნი მარტოდმარტო შევიდა ქალაქში, გუბერნატორის სასახლესთან მდგარ ყარაულს ცხენის დაჭერა უბრძანა, ჩამოქვეითდა, დაათვალიერა ეზო, მოსართავი შემოუჭირა ცხენს, მერე მათრახი უთავაზა ყარაულს დოყლაპიობისათვის და მშვიდად გავიდა ქალაქიდან. დაბნეულმა ჩინელებმა ეს მოვლენა ზეციურ ნიშნად მიიღეს. 1921 წლის 2 თებერვალს ბარონმა ქალაქი აიღო. გარდა ორი ბანკიდან გამოტანილი ურიცხვი ოქრო-ვერცხლისა, მან მონღოლებისაგან მიიღო ცინ-ვანის, ანუ პირველი თანრიგის თავადის ტიტული და ყვითელი ხალათის ტარების უფლება.

მაგრამ, ხალხს მხოლოდ გამარჯვებულები უყვართ. თანაც ისეთები, თვითონ რომ იმარჯვებენ, ხალხის მონაწილეობის გარეშე. ამიტომ არავინ დაეხმარა ყვითელ ხალათში გამოწყობილ "ომის ღმერთს", როცა მის მიერ აღებულ ქალაქს წითელი არმია მოადგა. ბარონი მალე მიხვდა, რომ ახლად დაარსებული სახელმწიფოს მწირი რესურსები დიდხანს ვერ გააძლებინებდა. ამიტომაც ტიბეტში გამგზავრება განიზრახა: იქ წაიყვანდა დარჩენილ ერთგულ მეომრებს და დალაი-ლამას სამსახურში გალევდა დღეებს. ტიბეტი ოცნების ქვეყანაა — სადღაც იქ იმალება ლეგენდარული შამბალა, "მიწისქვეშა სამეფო" აგარტი, ქვეყანა ძველი ჯადოქრებისა, რომლებიც გამოქვაბულთა სიღრმიდან მართავენ სამყაროს.



ბარონი რომან ფონ უნგერნ-შტერნბერგი.

ვაი, რომ ამ ოცნებებს ასრულება არ ეწერა: უმაღლესმა ოფიცრებმა შეთქმულება მოაწყვეს და უნგერნი ძლივს გადაურჩა სიკვდილს. სასოწარკვეთილმა მონღოლთა დივიზიონს მიმართა, მაგრამ მონღოლებმა "ომის ღმერთს" ხელ-ფეხი შეუკრეს, იურტაში დატოვეს და მოწიწებით დაემშვიდობნენ. 1921 წლის 22 აგვისტოს შებორკილი ბარონი წითლების რაზმმა აღმოაჩინა. დანარჩენი ცნობილია...

გასაგებია, რომ ბარონ ფონ უნგერნის პიროვნება რთული და ორაზროვანია. უფრო მეტიც — ის თითქოს წინააღმდეგობებისგანაა მოქსოვილი. კაცი დაიბადა ევროპის კულტურულ ცენტრში და მოქმედებდა ცენტრალურ აზიაში; მთელი სულითა და გულით ეწინააღმდეგებოდა ყველანაირ ემანსიპაციას და მთელი ქვეყანა გაათავისუფლა ჩინელთა უღლისაგან; ევროპული სამხედრო სკოლის აღზრდილი ჩინგის-ხანის სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის აღდგენას ლამობდა; დასავლური ცივილიზაციის შვილი ნატრობდა დასავლეთის დახრჩობას ყვითელ ურდოთა შემოსევით. წმინდა სისხლის ტევტონს რუსი თვითმპყრობლის, აღმოსავლური სატრაპისა და ნათელმხილველის ბუნება მსჭვალავდა. "უკანასკნელი ჯვაროსანი", შუასაუკუნეების რაინდი აღბეჭდილი იყო რკინისებური მეოცე საუკუნის ყველა ნაკლოვანებით; რეაქციონერი მონარქისტი და რევოლუციის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი თვითონ ატარებდა რევოლუციურ იდეას და თანამედროვე მსოფლიოს წინააღმდეგ განწირული ამბოხება წამოიწყო.

თუმცა ამ წინააღმდეგობებში არაფერია გასაკვირი: ეს ყველას ხვედრია, ვისაც თანამედროვე ისტორიული ვითარების მიმართ ადეკვატურობის ნაკლებობა სჭირს. ამ არაადეკვატურობის ერთგვარად ქრესტომატიული მაგალითი იყო ბარონი რომან ფონ უნგერნ-შტერნბერგი. ამას ადასტურებს უნგერნის პიროვნების მიმართ ინტერესის ბუნებაც: გალექსილი ბალადები, რომანები, კინოფილმები, თეატრალური პიესები, ფილოსოფიური ესეები, აკადემიური გამოკვლევები, წინამდებარეს მსგავსი და ამაზე უფრო ჭკუამხიარული საგაზეთო სტატიები და საეჭვო წარმოშობის მემუარები. ამ ცხოვრებით ინტერესდებოდნენ ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი მწერლები და ჟურნალისტები. ყველა იმას ხედავდა მასში, რაც მოსწონდა: ზოგი ადიდებდა და ზოგიც მიწასთან ასწორებდა.

მაინც ნიშანდობლივია, რომ მოძალადე ბუდისტის სახე განსაკუთრებული სიცხადით გამოიკვეთა დღევანდელი ველიკოდერჟავული, მართლმადიდებლურ-ოლიგარქიული რუსეთის პირობებში.

ხარუკი მურაკამი

ირაკლი ბერიაშვილის თარგმანი

გაგრძელება.
დასაწყისი იხილე № 11, 12, 13

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალით დაუწყო ყურება თავის სამშობლოს.

თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება წიგნებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მეხმარება".






# ნადირობა ცხვრებზე

- ძალიან მინდოდა შენი ყურების ნახვა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, - ვთქვი გულახდილად.

ხმა არ გაუცია, ისე გადაიღო პაშტეტი ღვიძლით და ღვინო მოსვა.

- რა, სულ ტყუილად შეგაწუხე?

ოდნავ გაიღიმა:

- ძნელია კარგი ფრანგული სამზარეულო შეწუხებად ჩათვალო.

- ყურებზე საუბარი კი შეწუხებაა?

- არც ეგ. ყველაფერი ხომ რაკურსზეა დამოკიდებული. იმაზეა დამოკიდებული, რა კუთხით შეხედავ.

- მაშინ მოდი, შენი საყვარელი რაკურსით ავაწყოთ ჩვენი საუბარი.

ჩანგალი პირთან მიიტანა და ოდნავ მოიხარა ჩანგლის შესახვედრად.

- ილაპარაკე როგორც ფიქრობ. აი, ასე მივიღებთ "ჩემს საყვარელ რაკურსს".

ერთხანს გავჩუმდით, საჭმლითა და ღვინით ვიყავით დაკავებული.

- მოსახვევში, კუთხეს გავცდები თუ არა, - ავლაპარაკდი, - ვიღაც ჩემს წინ შემდეგ მოსახვევში უჩინარდება. ოდნავ გაკრთება და უჩინარდება. ვერ ვასწრებ გარჩევას, ვინ არის. მხოლოდ თეთრი ტანისამოსის ბოლოსღა ვხედავ. ეს თეთრი ნაფლეთი თვალში მეჩხირება, თითქოს მისხლტება კიდეც, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ ვიშორებ... ნაცნობია შენთვის მსგავსი რამ?

- თითქოს ჰო...

- აი, ზუსტად ასეთი შეგრძნება მებადება, როცა შენს ყურებს ვხედავ.

დადუმებულები ისევ ვაგრძელებდით ვახშმობას. ღვინო დავუსხი, მერე ჩემთვისაც დავისხი.

- შენ ხომ გონებაში ჩარჩენილ ხატებაზე არ ლაპარაკობ, თვითონ შეგრძნებაზე. ასეა, არა? - დააზუსტა.

- რა თქმა უნდა!

- ადრე მსგავსი არაფერი გიგრძვნია?

ცოტა დავფიქრდი და თავი გავაქნიე.

- არა.

- გამოდის, რომ ყველაფერი ჩემი ყურების ბრალია.

- დარწმუნებული არ ვარ... რაღაცაში დარწმუნება, ცოტა არ იყოს, სლიპინა რამეა... თანაც, ერთხელაც არ გამიგონია, რომ ყურების ფორმა ვინმეს სულ ერთსა და იმავე გრძნობებს უღვიძებდეს...

- რა გითხრა, ჩემი ერთი ნაცნობი ფარი ფოსეტ-უფროსის დანახვაზე ერთთავად აცემინებს. ალბათ დამეთანხმები, რომ ამ დაცემინებაშიც რაღაც ფსიქოლოგიურია. ერთ მშვენიერ დღეს რაღაც მიზეზი რაღაც შედეგს იწვევს, ცხადია, შემთხვევითს, მაგრამ აი, ერთიც და მეორეც, მიზეზიც და ის შემთხვევითი შედეგიც ერთიანდებიან ჩვენში, თან ისე, რომ უკვე შეუძლებელია მათი დაშორება...

- მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი, რა ხდება იქ, ფარი ფოსეტ-უფროსის ცხვირთან დაკავშირებით... - დავიწყე, ღვინო მოვსვი და დამავიწყდა, რის თქმას ვაპირებდი.

- შენს შემთხვევაში რაღაც სხვაა? - მკითხა.

- მდაა, რაღაც სხვა, - ვუპასუხე, - რაღაც ძალიან მოუხელთებელი, თან ძალიან კონკრეტული, მნიშვნელოვანი... - ხელები დაახლოებით მეტრით დავაცილე ერთმანეთს, მერე უცებ მივწიე ხელისგულები ერთმანეთთან სულ რაღაც ხუთ სანტიმეტრზე, - არ ვიცი, უკეთესად როგორ აგიხსნა...

- ფენომენის კონცენტრაცია გაუცნობიერებელ მოტივებზე.

- ზუსტად! - ვთქვი, - ოჰო, შენ ჩემზე ათჯერ უფრო ჭკვიანი ყოფილხარ!

- კურსებზე დავდიოდი.

- კურსებზე?

- ჰო. ფსიქოლოგიის დაუსწრებელ კურსებზე.

დარჩენილი პაშტეტი შუაზე გავიყავით. ისევ დამავიწყდა, რის თქმას ვაპირებდი.

- ესე იგი, ჯერ კიდევ ვერ ჩაავლე, რა კავშირია ჩემს ყურებსა და შენს შეგრძნებებს შორის?

- ჰო, ეტყობა, - ვთქვი, - ვერ გამიგია, ან შენი ყურები აპირებენ რაღაცის პირდაპირ თქმას, ანდა რაღაც ცდილობს ჩემთან დაკავშირებას შენი ყურების, როგორც შუამავლის საშუალებით...

ხელები არ აუღია მაგიდიდან, ისე აიჩეჩა მხრები.

- აი, ეგ შენი შეგრძნებები სასიამოვნოა თუ უსიამო?

- არც ერთი და არც მეორე, ანდა შეიძლება ერთიც და მეორეც ერთად... არ ვიცი.

ღვინიანი ბოკალი თითებში მოექცია და ერთხანს დაჟინებით მაკვირდებოდა სახეზე.

- ვფიქრობ, ცუდი არ იქნებოდა შენი გრძნობების უფრო ზუსტად გამოხატვა.

- აჰა. თან მაინცდამაინც ვერც ფრაზეოლოგია ქაჩავს, - დავამატე.

გაეღიმა.

- არა. არც ისე უიმედოდ არის საქმე... საერთოდ, გავიგე, რისი თქმაც გინდოდა.

- და რას ფიქრობ, როგორ უნდა მოვიქცე?

დიდხანს იყო ჩუმად. ეტყობა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. ხუთივე თეფში ცარიელი იდო მაგიდაზე. დაღუპული პლანეტების გუნდივით.

- იცი, - დაიწყო პაუზის შემდეგ, - ჩემი აზრით, უნდა დავმეგობრდეთ. თუ, რა თქმა უნდა, თანახმა ხარ.

- რა თქმა უნდა, - ვთქვი.

- მინდოდა მეთქვა, ძალიან, ძალიან ახლო მეგობრებად, - დააზუსტა.

თავი დავუქნიე.

ასე გავხდით ძალიან, ძალიან ახლო მეგობრები ჩვენი პირველი შეხვედრიდან სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ.

- როგორც ძალიან ახლო მეგობარს, რაღაც მინდა გკითხო, - ვთქვი.

- მიდი, მკითხე, - თქვა მან.

- ჯერ ერთი, რატომ მალავ ყურებს, და მეორეც: ყოფილა შემთხვევა, რომ მათ, ესე იგი, შენს ყურებს, ვინმეზე ასეთი უცნაური გავლენა მოეხდინა?

დიდხანს არ ამოუღია ხმა, მაგიდაზე დაწყობილ საკუთარ ხელებს დასცქეროდა.

- ამაში ბევრი რამ ურევია, - ძალიან ჩუმად თქვა ბოლოს.

- ურევია?

- ჰო... თუმცა, მოკლედ თუ ვიტყვი, უბრალოდ, შევეჩვიე იმ "მეს", რომელიც მალავს ყურებს.

- გამოდის, ორი სხვადასხვა ადამიანი ხარ, - ერთი, რომელიც ყურებს მალავს და მეორე, რომელიც არ მალავს.

- ზუსტად ეგ მინდოდა მეთქვა.

ოფიციანტებმა ცარიელი თეფშები აალაგეს და წვნიანი მოიტანეს.

- შიგიძლია მომიყვე იმაზე, რომელიც არ მალავს ყურებს?

- არა მგონია რამე გამოვიდეს, დიდი დრო გავიდა მას შემდეგ... მართალი გითხრა, ჯერ კიდევ თორმეტი წლისა ვიყავი.

- კი მაგრამ, როცა მოდელად მუშაობ, მაშინ ხომ აღარ მალავ, ასე არ არის?

- ჰო, - თქვა, - მაგრამ იქ ნამდვილი ყურები არ არის.

- ნამდვილი არ არის?

- იქ... დაბლოკილი ყურებია.

ერთი-ორი კოვზი სუპი გადავყლაპე, თეფშიდან თავი ავწიე და სახეში შევხედე.

- იქნებ უფრო დაწვრილებით ამიხსნა "დაბლოკილი ყურების" შესახებ.

- დაბლოკილი - ეს მკვდარი ყურებია. მე თვითონ ვკლავ მათ. უფრო ზუსტად, მე მათ ვბლოკავ. გზას ვულობავ გონებისკენ და... არ გესმის?..

მაინცდამაინც ვერ გავრკვეულიყავი.

- ეცადე შემეკითხო, - თქვა მან.

- "ყურების მოკვლა", ეს რა, ნიშნავს, რომ აღარაფერი გაიგონო?

- რა თქმა უნდა, არა. გაგონებით გესმის, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ, ისინი მკვდარია. ეს ალბათ შენც უნდა შეგეძლოს.

კოვზი მაგიდაზე დადო, გასწორდა, მხრებში გაიმართა, მკვეთრად გასწია უკან ნიკაპი და ასე ათიოდე წამს დაძაბული გაირინდა, მერე ისევ დასწია მხრები და მოეშვა.

- აი, ახლა ყურები დაიხოცნენ!.. სცადე შენ თვითონ.

აუჩქარებლად და გულმოდგინედ სამჯერ გავიმეორე მისი ეს ოპერაცია. იმის შეგრძნება, რომ რაღაც მოკვდა, არა და არ ჩანდა. არა და არ მოდიოდა. ეს არის, ღვინო უფრო აჩქარდა ძარღვებში.

- რატომღაც ჩემს ყურებს სიკვდილი არ უნდათ, - ვთქვი იმედგაცრუებულმა.

თავი გადააქნია.

- ალბათ უაზრობაა... ეტყობა, როცა არ არსებობს მოკვლის საჭიროება, მშვენივრად გრძნობ თავს, თუნდაც არ შეგეძლოს ამის გაკეთება.

- შეიძლება კიდევ გკითხო?

- მიდი.

- ახლა შევეცდები ერთად შევკრიბო ყველაფერი, რაც მომიყევი... ესე იგი, თორმეტ წლამდე ისე იცხოვრე, რომ ყურებს არ მალავდი. მერე ერთ მშვენიერ დღეს შენ ისინი დამალე. იმის შემდეგ დღემდე აღარავისთვის გიჩვენებია. მაგრამ როცა უბრალოდ იძულებული ხარ აჩვენო, შენ მათ ბლოკავ, წყვეტ კავშირს გონებასა და ყურებს შორის. ასეა, არა?

ღიმილმა სახე გაუნათა.

- ზუსტად მასე!

- მაინც რა დაემართა შენს ყურებს, თორმეტი წლის რომ იყავი?

- ნუ ჩქარობ, - ორივე ხელი გამოიწვდინა მაგიდაზე და ოდნავ შემეხო თითებზე, - ძალიან გთხოვ...

დარჩენილი ღვინო ბოკალებში დავასხი და ნელა გამოვცალე.

- ჯერ შენზე მინდოდა ცოტა უფრო მეტის გაგება.

- მაგალითად, რისი?

- ყველაფრის. სად და როგორ გაიზარდე, რამდენი წლის ხარ, რას საქმიანობ... და ასე შემდეგ...

- მოსაწყენი იქნება. ყველაფერი ისეთი ბანალურია, ბოლომდე ვერც მოისმენ, ჩაგეძინება.

- მიყვარს ბანალური თემები.

- ჩემს შემთხვევაში ყველაფერი ისეთი ბანალურია, რომ კაციშვილს არ მოეწონება.

- კარგი, - გაიცინა, - ათი წუთისა მაინც მოყევი.

- დავიბადე 1948 წლის 24 დეკემბერს, შობის წინა დღეს... მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის, როცა დაბადების დღე შობის წინა დღეს გაქვს. თვითონ იფიქრე: დაბადების დღის საჩუქრები იგივეა, რაც საშობაო საჩუქრები. ყველა ცდილობს ამაზე ეკონომია გასწიოს... ვერძის ვარსკვლავზე ვარ დაბადებული, სისხლის ჯგუფი - პირველი. ასეთი შეხამებისას ან მუნიციპალური კლერკი უნდა იყო, ან ბანკის მოხელე. მშვილდოსანთან, სასწორთან და მერწყულთან კავშირი მიზანშეწონილი არ არის... ცხოვრება კი არა, ცარიელი დარდია, არ გეჩვენება?

- საკმაოდ მხიარულად ჟღერს!

- ჩვეულებრივ ქალაქში გავიზარდე, ჩვეულებრივი სკოლა დავამთავრე. განსაკუთრებული მჭევრმეტყველებით არც ბავშვობაში გამოვირჩეოდი. ცოტა რომ წამოვიზარდე, უბრალოდ, აუტანელი გავხდი. ჩვეულებრივი პირველი ქალი, ჩვეულებრივი პირველი სიყვარული. თვრამეტი წლისა უნივერსიტეტში შევედი, ტოკიოში გადავედი. დავამთავრე უნივერსიტეტი, ორ-სამ ნაცნობთან ერთად მთარგმნელთა პატარა კანტორა გავხსენი - ახლაც იმით ვშოულობ ლუკმაპურს. სამი წლის წინ შეკვეთების აღება დავიწყე სარეკლამო ჟურნალში - განცხადებების გაფორმება. იქაც არა უშავს რა, მიდის საქმე. ოთხი წლის წინ გოგო გავიცანი. ფირმაში მსახურობდა. დავქორწინდი. ორი თვის წინ დავშორდით. თუ რატომ - ორი სიტყვით ვერ ავხსნი... ერთი ბებრუხანა კატა მყავს. დღეში ორმოც ღერ სიგარეტს ვეწევი. როგორ არ ვცადე, თავი ვერ დავანებე. სამი კოსტიუმი მაქვს, ექვსი ჰალსტუხი და კარგა ხნის წინათ მოდიდან გამოსული ხუთასი ფირფიტა. ელენი ქუინის რომანების ყველა მკვლელის სახელი მახსოვს. პრუსტის "დაკარგული დროის ძებნაში" მთლიანად შევაგროვე, მაგრამ მხოლოდ ნახევარი წავიკითხე. ზაფხულობით ლუდს ვსვამ, ზამთრობით - ვისკის.

- დაბოლოს, სამ დღეში ორჯერ სენდვიჩს ომლეტთან ერთად მიირთმევ ბარში.

- აჰა, - თავი დავუქნიე.

- ძალიან საინტერესოა!

- დღემდე ყველაფერი მოწყენილობით იყო სავსე, მგონი არც ამის შემდეგ შეიცვლება რამე. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეგეთ ცხოვრებაში რამე არ მომწონს. იმას ვგულისხმობ, რომ სულ ერთია, მაინც არაფერი შეიცვლება...

საათს დავხედე. ათი წუთი და ოცი წამი გავიდა.

- და მაინც, რაც ახლა მომიყევი, შენი ზუსტი ასლი არ უნდა იყოს.

გავჩუმდი! საკუთარ ხელებს ვათვალიერებდი მაგიდაზე.

- რა თქმა უნდა. ყველაზე უფრო მოსაწყენ ცხოვრებაზეც კი ყველაფერს ვერ მოყვები. ასე არ არის?

- გინდა, ახლა მე მოგიყვები ჩემს შთაბეჭდილებებზე შენს შესახებ.

- მინდა.

- საერთოდ, როცა ვინმეს პირველად ვხვდები, პირველი ათი წუთი ლაპარაკის საშუალებას ვაძლევ. მერე კი ვცდილობ გავაბა, სარჩულიანად ამოვაბრუნო ყველაფერი, რაც აქამდე თქვა... როგორ ფიქრობ, სწორად ვიქცევი?

- რა გითხრა, - გავიქნიე თავი, - ალბათ სწორად იქცევი.

ოფიციანტი, თითქოს ჰაერიდან გაჩნდაო, თეფშების დალაგებას შეუდგა. მეორემ, რომელმაც პირველი შეცვალა, თეფშზე საჭმელი დააწყო. ბოლოს მესამე მოვიდა და ყველაფერს რაღაც სოუსი მოასხა. მოკლედ, სამი ბეისბოლისტივით უნაკლოდ გაითამაშეს მოწოდება - ტყორცნიდან მეორე ზონაში პირველამდე.

- ეს საშუალება შენზე რომ გამოვცადო, აი, რა გამოვა, - თქვა და დანა ენაში ჩაარჭო, - შენი ცხოვრება კი არ არის მოსაწყენი, ეგ შენ გინდა, რომ ის მოსაწყენად გამოიყურებოდეს. ასეა?

- შეიძლება მართალიც ხარ, არ ვიცი. შეიძლება სინამდვილეში ჩემი ცხოვრება სულაც არ არის მოსაწყენი და უბრალოდ, არ მინდა ასეთი დავინახო. მაგრამ შედეგი ხომ იგივეა! გინდ ასე თქვი, გინდ ისე - შედეგი უკვე მიჭირავს ხელში. ყველას უნდა მოწყენილობას გაექცეს, მე კი ამ მოწყენილობის სალრმეში რაც შეიძლება ღრმად შეძრომას ვცდილობ. თითქოს პიკის საათში დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობ... ასე რომ, სულაც არ ვწუწუნებ, რომ მოსაწყენი ცხოვრება მაქვს. ეს ცოლს შეუძლია წავიდეს, თუ არ მოსწონს...

- ამიტომაც დაშორდით ერთმანეთს?

- ხომ გითხარი, ორი სიტყვით ვერ აგიხსნი-მეთქი. თუმცა, ჯერ კიდევ ნიცშემ თქვა: "მოწყენილობის წინაშე ღმერთებიც კი ხრიან დროშებსო..." ასეც გამოვიდა.

ისევ საჭმელს შევექეცით. იმან სოუსი დაიმატა, მე დარჩენილი პური შევჭამე. სანამ დავამთავრებდით, თითოეული ჩვენგანი თავისას ფიქრობდა. თეფშები წაიღეს, მერე ყავა მოიტანეს, სიგარეტს მოვუკიდე. სიგარეტიდან გამოსული ბოლი ჰაერში ილღაწნებოდა და უხმო და უჩინარ კონდიციონერებში უჩინარდებოდა. რამდენიმე მაგიდაზე ახალშემოსულები სხდებოდნენ. ჭერში დამაგრებული დინამიკებიდან დარბაზში მოცარტის კონცერტის მელოდია იღვრებოდა.

- შეიძლება ისევ გკითხო ყურებზე?

- ალბათ ის გინდა მკითხო, აქვთ თუ არა მათ სასწაულმოქმედი ძალა, არა?

თავი დავუქნიე.

- აი, ამის შემოწმება კი თვითონ მოგიწევს. რომ მოგიყვე კიდეც, ჩემი ისტორია ჩემივე პიროვნებით იქნება შემოსაზღვრული. ვეჭვობ, რომ გამოგადგეს.

კიდევ ერთხელ დავუქნიე თავი.



- შემიძლია გიჩვენი ყურები, - ყავა დალია და განაგრძო, - ოღონდ არ ვიცი, მოგეხმარება თუ არა ეს რამეში... იქნებ პირიქითაც, შეიძლება მერე ინანო კიდეც.

- რატომ?

- იმიტომ, რომ შენი მოწყენილობა არც ისე ძლიერია.

- ამ შემთხვევაში ვერაფერს იზამ.

ხელები მაგიდაზე გამოიწვდინა და თითებზე ხელისგულები დამადო.

- მაშინ, აი, იცი რა... ამის შემდეგ რაღაც დროის მანძილზე ორი ან სამი თვე ჩემს გვერდით იყავი, კარგი?

- კარგი.

ჩანთიდან შავი ლენტი ამოიღო და ტუჩებით დაიჭირა. მერე ორივე ხელით თმა უკან გადაიწია, ერთად შეაგროვა და მოხერხებული მოძრაობით შეკრა ლენტით.

- როგორია?

გაოცებული, სუნთქვაშეკრული შევცქეროდი. პირი გამიშრა. გახევებული სხეულიდან ვერა და ვერ ამოეღწია ხმას. წამით მომეჩვენა, თითქოს თვალისმომჭრელ თეთრ კედლებს ძლიერი ტალღები ეძგერა. რესტორნის ხმები - საუბრის ნაწყვეტები, ჭურჭლის წკრიალი - უცებ ერთ მღვრიე, ნახევრად გამჭვირვალე ღრუბლად იქცა, შესქელდა და მერე ისევ გაიშალა. ზღვის ტალღების ხმაური მომესმა, მივიწყებული წარსულიდან მწუხრის ზღვის დავიწყებულმა სურნელმა დაჰქროლა... მაგრამ ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილაკი იყო იმისა, რამაც ჩემი სული წამის რაღაც მეასედში გაავსო.

- წარმოუდგენელია, - ძლივს ამოვღერღე, - თითქოს სხვა ადამიანი ვარ!

- ასეც არის, - თქვა მან.

საოცრად ლამაზი იყო. ეს ისეთი სილამაზე იყო, რომელიც მანამდე არც მენახა და ვერც წარმომედგინა. გიგანტური კოსმოსი დნებოდა, იღვრებოდა მასში, მზად იყო თავისი უსასრულობით აფეთქებულიყო, ამავე დროს ყინულის სულ მცირე კრისტალივით მყიფე და შეკუმშული იყო. სამყარო ჩვენს გარშემო მთელი თავისი სიდიადით იზრდებოდა და იქვე იკრუნჩხებოდა დაუძლურებული და დამორჩილებული. ეს ყველაფერი ჩემთვის ცნობილ ყველანაირ წარმოდგენებსა და ცნებებს სცილდებოდა. ის და მისი ყურები ბოლოს და ბოლოს შეერწყნენ ერთმანეთს და ახალშობილი სასწაულივით დრო-სივრცეში გასრიალდა.

- კაცი შეიძლება ჭკუიდან შეიშალოს!

- ვიცი, - თქვა მან, - სწორედ ეს არის გახსნილი ყურების მდგომარეობა.

ჩვენს მაგიდას ერთბაშად რამდენიმემ მიაპყრო ვითომდა დაბნეული მზერა. ყავადნით მოსულმა ოფიციანტმა ვერ მოახერხა ფინჯნებში ყავის დასხმა. ყველაფერი გაყუჩდა - ჩქამი არ ისმოდა. მარტო გადახვეული მაგნიტოფონის ბობინა შრიალებდა. ჩანთიდან მენთოლიანი სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ერთი ღერი ამოაძრო და ტუჩებით დაიჭირა. უცებ მოვეგე გონს და სასწრაფოდ ავუნთე სანთებელა.

- შენთან მინდა დავწვე, - თქვა მან.

და ჩვენც ვიწექით ერთად.

## 3 დაუბლოკავი ყურები. გაგრძელება

თუმცა მის საათს ჯერ კიდევ არ ჩამოეკრა. ამის შემდეგ ორი-სამი დღე ისევ დაუბლოკავი ყურებით იყო, მერე ისევ შემალა თავისი სკულპტურული შედევრი თმის ყრუ კედელს იქით და ის ჩვეულებრივ გოგოდ გადაიქცა. ზუსტად ასე ადრეულ მარტში პირდაპირ ქუჩაში იხდიან ხოლმე პალტოს სასინჯად - ხომ არ დათბაო უკვე? - და ისევ იცვამენ.

- იცი, ჯერ არ დამდგარა ყურების გამოჩენის სეზონი, - ამიხსნა, - ჯერ მიჭირს საკუთარ ძალასთან გამკლავება.

- ისე, რომ იცოდე, ჩემთვის სულ ერთია, - აღარ შევეკამათე, რადგან შემალული ყურებითაც კი არც ისე ურიგოდ გამოიყურებოდა.

* * *

ხანდახან ის მაინც მიჩვენებდა ყურებს. თითქმის ყოველთვის სექსთან იყო დაკავშირებული. საკმარისი იყო გამოეჩინა ყურები, სექსი მაშინვე იძენდა რაღაც იდუმალ თვისებებს. თუ ამ დროს წვიმდა, გარშემო ყველაფერი წვიმის სურნელით იჟღინთებოდა; თუ ჭიკჭიკებდნენ ჩიტები, ჭიკჭიკი პირდაპირ ლოგინში ისმოდა. ძნელია ამის უფრო გასაგებად ახსნა. მოკლედ, ასე იყო და მორჩა.

- მაგრამ სხვასთან რომ წევხარ ლოგინში, ყურებს არასოდეს აჩვენებ? - ვკითხე ერთხელ.

- რა თქმა უნდა, არა! - მიპასუხა, - ვფიქრობ, ვერავინ ვერ ხვდება, რომ მე ყურები მაქვს...

- და როგორია ის - სექსი შემალული ყურებით?

- ძალიან... მოვალეობითი. თითქოს გაზეთში ვარ გახვეული, ვერაფერს ვერ ვგრძნობ... დიდი ამბავი! მოვალეობას ვასრულებ, მორჩა და გათავდა.

- მაგრამ ღია ყურებით ხომ ასჯერ უკეთესია?

- რა თქმა უნდა!

- მაშინ გამოაჩინე! - გავიკვირვე, - სპეციალურად რაღაც ცუდზე რატომ უნდა იფიქრო?

დაჟინებით შემომხედა, მერე ღრმად ამოიოხრა.

- ეტყობა, მართლა ვერაფერი გაგიგია...

* * *

ისე, მართლა ბევრი არაფერი მესმოდა. ჯერ ერთი, ვერ მივხვდი, რატომ მექცეოდა რაღაც განსაკუთრებულად. როგორ არ ვცდილობდი, მაგრამ საკუთარ თავში ვერაფერი აღმოვაჩინე ისეთი, ვერც განსაკუთრებული, ვერც უცნაური, რითაც რამეთი მაინც გამოვირჩეოდი სხვებისგან. როცა ამის შესახებ ვუთხარი, გაიცინა.

- ყველაფერი ძალიან მარტივია, - მითხრა, - ეს იმიტომ, რომ შენ თვითონ მოგინდა ჩემი გაცნობა და ჩემთან ყოფნა. აი, ეს არის მთავარი მიზეზი.

- სხვა რომ ყოფილიყო ჩემ ადგილას?

- ყოველ შემთხვევაში, ახლა სწორედ შენ გინდა ჩემთან ყოფნა. და თუნდაც ამიტომ უფრო საინტერესო ხარ, ვიდრე შენ თვითონ ფიქრობ საკუთარ თავზე.

- მაგრამ რატომ ვფიქრობ ჩემს თავზე ასე? - ვიკითხე ფრთხილად.

- იმიტომ, რომ ნახევრად ცოცხალი ხარ! - მოულოდნელად, ცოტა არ იყოს, მკვახედ მიპასუხა, - შენი მეორე ნახევარი კი ისევ ისე ხელუხლებელი რჩება...

- ჰმ, - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

- ამ თვალსაზრისით ჩვენ რაღაცნაირად ვგავართ ერთმანეთს. მე ვბლოკავ ჩემს ყურებს, შენ შენი ნახევრით ცხოვრობ. არ გეჩვენება, რომ ასეა?

- მართალიც რომ იყო, მაინც რა მნიშვნელობა აქვს - ჩემი მეორე ნახევარი ისეთი... თვალისმომჭრელი არ არის, როგორიც შენი ყურები.

- ალბათ, - გაიღიმა, - ვხედავ, რომ მართლა ვერაფერი გაგიგია!

აი, ასე ღიმილში ჩაძირულმა აიკეცა თმა და ერთიმეორის მიყოლებით შეიხსნა ღილები ბლუზაზე.

გავიდა ზაფხული. ერთ უქმე დღეს, სექტემბრის მზიან საღამოს ლოგინში ვნებივრობდი, თითებით ვეთამაშებოდი მის თმას და ვეშაპის პენისზე ვფიქრობდი: მოღუშულტყვიისფერი ზღვა ბორგავდა გარეთ, გააფთრებული ქარი ეხეთქებოდა ფანჯრის მინებს. საგამოფენო დარბაზის მაღალი ჭერი. გარშემო სულიერის ჭაჭანება არ არის... სამუდამოდ მოჭრილმა ვეშაპის პენისმა ვეშაპის პენისის ყოველგვარი აზრი დაკარგა. ნელ-ნელა ჩემი ფიქრები ცოლის ღამის პერანგს დაუბრუნდა. როგორ არ ვცადე, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, ჰქონდა თუ არა საერთოდ თუნდაც ერთი ღამის პერანგი. ტვინის კუნჭულში რაღაც ციმციმებდა - სამზარეულოში სკამიდან ჩამოშვებული ღამის პერანგის აჩრდილი. ვერც ის გავიხსენე, რას ნიშნავდა ეს. მხოლოდ რაღაც უცნაური გრძნობა მქონდა - თითქოს ძალიან დიდი ხნის მანძილზე ვცხოვრობდი ცხოვრებით, რომელიც სულ სხვას ეკუთვნოდა.

- იცი რა? ღამის პერანგებს არ იცვამ? - თვითონაც არ ვიცი, რატომ ვკითხე.

ჩემს მხარზე დადებული თავი ასწია და დაბნეულმა შემომხედა.

- ერთი ცალიც კი არა მაქვს...

- ა! - ვთქვი.

- მაგრამ თუ შენ ფიქრობ, რომ ასე უკეთესია...

- არა, არა! - სასწრაფოდ შევაწყვეტინე, - მაგიტომ არ მიკითხავს.

- არა, მოიცა, ოღონდ არ გეუხერხულოს! მე სამუშაოზე ყველაფერს შევეგუე, არაფრის არ მომერიდება...

- არაფერი არ არის საჭირო, - ვთქვი, - სავსებით მაკმაყოფილებ შენ და შენი ყურები.

იმედგაცრუებულმა გადააქნია თავი და ისევ მხარზე მომეყრნდო. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემომხედა.

- ათი წუთის შემდეგ დაგირეკავენ.

- დამირეკავენ?!. - თვალებით საწოლთან დადგმულ შავ ტელეფონს შევეჩეხე.

- ჰო. ტელეფონი დარეკავს.

- და ეს იცი შენ?

- ვიცი.

თავი მკერდზე დამადო და მენთოლის სიგარეტს მოუკიდა. ცოტა ხნის შემდეგ ზედ ჭიპზე ფერფლი დამეცა. ტუჩები მოამრგვალა და მონდომებით შეუბერა. ყური დავუჭირე და თითებში მოვიქციე. ფანტასტიკური შეგრძნება იყო. აზრები დაიფანტა, მარტო ლანდივით მოჩვენებები და ფორმადაკარგული სილუეტები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ თავში ერთიმეორის მიყოლებით.

- ცხვრებზე ისაუბრებთ, - თქვა მან, - ბევრზე და ერთზე.

- ცხვრებზე?

- აჰა, - ნახევრად მოწეული სიგარეტი მომაწოდა. ერთი მოვქაჩე და ნამწვი საფერფლეში ჩავჭყლიტე, - მერე კი ნადირობა დაიწყება.



გაგრძელება შემდეგ ნომერში

# "ნოუბლის" ამბიციური სიახლე

მერაბ ლორთქიფანიძე





ბრიტანელ კონსტრუქტორ ლი ნოუბლის მიერ შექმნილი კომპანია "ნოუბლის" პროდუქციამ - ექსკლუზიურმა სუპერავტომობილებმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა საავტომობილო ენთუზიასტებს შორის. დახვეწილი გარეგნობა, შესანიშნავი ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლები და ამ კლასის ავტომობილისთვის საკმაოდ დაბალი ფასი - ამ თვისებებით გამოირჩეოდა კომპანიის პირველი მოდელი - კუპე M12, რომლის დებიუტი 2000 წელს შედგა და რომელსაც მალე კიდევ რამდენიმე მოდელის გამოშვება მოჰყვა.

ყოველი მომდევნო მოდელი (GTO 3R და M400) წინაზე მძლავრი, მდიდრული და რა თქმა უნდა, ძვირი იყო. და აი, ლოგიკური გაგრძელებაც - "ნოუბლის" მორიგი სიახლე მოწოდებულია, კონკურენცია გაუწიოს სუპერავტომობილების ისეთ აღიარებულ მარკებს, როგორებიცაა "ფერარი" და "ლამბორგინი". პატარა კომპანიის ამბიციურობის ზრდის პირველი მაჩვენებელი, კონცეპტუალურ კუპე M14-ს სახით პირველად ორი წლის წინ გამოჩნდა, ახლახანს კი "ნოუბლმა" გამოაცხადა, რომ იწყებს ამ კონცეპციის ბაზაზე შექმნილი ახალი სუპერავტომობილის, კუპე M15-ის წარმოებას.

წინამორბედ მოდელებთან შედარებით, ეს არის უფრო მძლავრი, ხარისხიანი და რა თქმა უნდა, ძვირფასი ავტომობილი. იმისათვის, რომ ფასის შესამჩნევი ზრდა გამორიცხულიყო, კონსტრუქტორებმა მზიდი სისტემა კვლავ ფოლადის მილებისგან შეკრეს. ოღონდ, სიმტკიცის გასაზრდელად, კარკასი ალუმინის ფურცლებით "შემოსეს". ფურცლები კარკასთან მოქლონებით და პოლიეთერული წებოთი მაგრდება. საბოლოოდ, კონსტრუქტორებმა შექმნეს ერთგვარი ნახევრადმონოკოკური სისტემა, იმის მსგავსი, როგორიც ერთ დროს ფორმულა ერთშიც გამოიყენებოდა. შედეგი მართლაც შთამბეჭდავი მიიღეს - M12-ის შასისთან შედარებით, M15-ის მზიდი სისტემის გრეხისისადმი მედეგობა 57 პროცენტით გაიზარდა.



ავტომობილის ბაზაში (სავარძელსა და უკანა ბორბლებს შორის) განალაგეს ძრავი - "ფორდის" სერია "დურატეკის" 3.0-ლიტრიანი V6, რომელიც ორი ტურბოკომპრესორითაა აღჭურვილი. ბრიტანულ საინჟინრო ატელიე "რუშ ტექნოლოჯიზის" კონსტრუქტორთა ძალისხმევით, მისი სიმძლავრე 455 ცხენის ძალამდე გაიზარდა, რაც მოდელ M400-ის ძრავის სიმძლავრეზე 55-ით მეტია.

როგორც წესი, კლასიკური სპორტული ავტომობილების შეთანწყობა ძრავის გასწვრივ განლაგებას ითვალისწინებს, "ნოუბლის" კონსტრუქტორებმა კი მთავარი აგრეგატი განივად განალაგეს, როგორც ეს წინაწამყვანბორბლიანი სერიული ავტომობილების უმეტესობაშია. ძრავთან შეწყვილებულია იტალიურ ფირმა "გრაცანოს" წარმოების გადაცემათა კოლოფი. სხვათა შორის, ეს ფირმა იმითაა ცნობილი, რომ გადაცემათა კოლოფებს ამზადებს ისეთი აღიარებული ავტომწარმოებლისთვის, როგორიცაა "ფერარი".

"ნოუბლის" წინა მოდელებისგან განსხვავებით, კუპე M15 შედარებით მდიდრული ინტერიერითაც გამოირჩევა. სალონში ყველაფერი ძვირფასი ტყავითაა გაწყობილი. მძღოლისა და მისი ერთადერთი მგზავრის განკარგულებაშია ორი საბარგო სექცია, რომელთა საერთო მოცულობა 300 ლიტრს აღწევს, რაც ამ კლასის ავტომობილებისთვის საკმაოდ ბევრია. გარდა ამისა, ორი მიმართულებით რეგულირდება საჭის რგოლი, ცენტრალურ კონსოლზე კი სანავიგაციო სისტემაა განთავსებული. სხვა მხრივ, "ნოუბლისთვის" (უფრო სწორედ, სპორტული ავტომობილებისთვის დამახასიათებელი) სპარტანული სტილი მაინც შენარჩუნებულია - საჭის უკანა პანელზე ტაქსომეტრი და სპიდომეტრია განთავსებული, მათ შუაში კი მცირე ეკრანია, რომელზეც ძრავის ძირითადი მონაცემების გაკონტროლებაა შესაძლებელი.

ყველანაირ გაუმჯობესებას გარკვეული გაუარესებაც მოჰყვა. კერძოდ, 1250 კგ-მდე გაიზარდა ავტომობილის წონა, რაც დაახლოებით 150 კგ-ით მეტია M12-ის წონაზე. თუმცა, ამის მიუხედავად, შესამჩნევად გაუმჯობესდა მისი ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლები. კერძოდ, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად M15-ს 3.3 წამი ჰყოფნის (ფერარი 430-ს ამისათვის 4.0 წამი სჭირდება), 160 კმ/სთ-მდე კი - 8.0 წამი. შედარებით "ზომიერია" მისი მაქსიმალური სიჩქარე - 297 კმ/სთ. სამაგიეროდ, "ნოუბლის" სუპერკარი თავისი კლასისთვის შეუფერებელი სიიაფით გამოირჩევა - საბაზო აღჭურვილობით ის "მხოლოდ" 74 950 გირვანქა სტერლინგი ღირს.

# "პორშე" ყველაზე სწრაფ ავტომობილს მოამზადებს

გერმანული კომპანია "პორშე" არ მალავს, რომ მალე დაიწყებს მუშაობას სრულიად ახალი სუპერავტომობილის შესაქმნელად, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს მსოფლიოში ყველაზე სწრაფსა და ძვირადღირებულ სერიულ ავტომობილ "ბუგატი ვეირონს". ახალმა ავტომობილმა "პორშეს" სამოდელო რიგში უნდა დაიკავოს ის ვაკანტური ადგილი, რომელიც მოდელ "კარერა GT-ს" წარმოების შეწყვეტის შემდეგ წარმოიქმნა.

ბრიტანულ ჟურნალ "აუტოქარის" მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ახალი ავტომობილი შეიქმნება იმ სარბოლი ბოლიდის ბაზაზე, რომელსაც "პორშე" ლე მანის სერიის სარბოლ სერიაში მონაწილეობისთვის ამზადებს. სხვათა შორის, ამ ბოლიდისთვის კონსტრუქტორები იმავე "კარერა GT-ს" მონოკოკს გამოიყენებენ, რომელიც ნახშირბადოვანი ქსოვილის კომპოზიტისგანაა დამზადებული და გრეხისისადმი დიდი წინააღმდეგობით გამოირჩევა.

აღნიშნულ მონოკოკს გარკვეული მოდიფიკაცია ჩაუტარდება. კერძოდ, შეიცვლება მისი წინა და უკანა ნაწილების კონსტრუქცია. წინა ნაწილის ცვლილებას მოითხოვს დაკიდების სისტემის შეცვლილი გეომეტრია, უკანა ნაწილი კი იმისათვის შეიცვლება, რომ იქ სხვა გაბარიტების საწვავის ავზი და ძრავი უნდა განთავსდეს. ამასთან, იცვლება ავტომობილის ბორბლებს შორის ბაზაც.

ჯერ შერჩეული არაა ძრავი. კონსტრუქტორები არჩევანს ორ აგრეგატს შორის გააკეთებენ. ერთია V10, რომელიც "კარერა GT-ზე" გამოიყენებოდა. მეორეა V8, რომლითაც უგზოობის "კაიენია" აღჭურვილი. ორივე ეს აგრეგატი მნიშვნელოვან მოდერნიზაციას გაივლის, მათგან მეორეს ფორსირებისთვის ტურბოკომპრესორით აღჭურვავენ. წინასწარი მონაცემებით, ძრავის სიმძლავრე არ უნდა იყოს 950 ცხენის ძალაზე ნაკლები.

რაც მთავარია, ახალ ავტომობილს, რომელსაც ამ ეტაპზე "კარერა GT1-ს" უწოდებენ, უნდა იყოს "ბუგატი ვეირონზე" სწრაფი. წინასწარი გათვლებით, მისი სიჩქარე 408.8 კმ/სთ იქნება, რაც 1001-ძალიანი "ვეირონის" მაქსიმალურ სიჩქარეზე 3.2 კმ/სთ-ით მეტით მეტია.

"პორშე" თავისი ახალი სუპერავტომობილის შესახებ სხვა დეტალებს ჯერ არ აზუსტებს. ჯერჯერობით არ ქვეყნდება "კარერა GT1-ის" ესკიზები და კომპიუტერზე დამუშავებული გამოსახულებაც. თუმცა, ამ ნაკლის გამოსწორება "აუტოქარის" სპეციალისტებმა იკისრეს, რომლებმაც "პორშეს" დიზაინცენრტში ნანახი ესკიზების მიხედვით, "ვეირონის" მომავალი კონკურენტის გარეგნობის მათეული ვარიანტი წარმოგვიდგინეს.

დაბოლოს, ლე მანის სერიის რბოლებში მონაწილეობისთვის განკუთვნილი ბოლიდის დებიუტი 2008 წლისთვის იგეგმება, მის საგზაო ვარიანტზე მუშაობა კი ალბათ 2009 წელს დასრულდება.



*ახალი კარერა GT-ს კომპიუტერული ესკიზი.*

# არაყი თეთრი აჩრდილი

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13

მალხაზ ხარბედია

## რუსული "ღვთაებრივი კომედია"

მსოფლიო ლიტერატურაც არყით სულდგმულობს. ყველაზე მეტი, რა თქმა უნდა, რუსულ პროზაში ისმება და მათზე ჩვენ შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ, მაგრამ რუსებს არც აღმოსავლეთევროპელები და სკანდინავები ჩამოუვარდებიან. არაყს სვამენ გერმანელები, ლათინოამერიკელები, იაპონელები და ინგლისელებიც. ამ სასმელს ურტყამენ გიუნტერ გრასის "თუნუქის დოლში", ჰაიმიტო ფონ დოდერერის რომანებში, რობერტ მუზილთან. აურაცხელი არაყი ისმება ხულიო კორტასარის "კლასობანაში", იმდენად ბევრი, რომ ეპიზოდების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. და საერთოდაც, ამ რომანში არყის წრუპვისა და ჯაზის სმენის გარდა, ცოტა რამისთვის რჩებათ დრო.

არაყი ჩანს სელმა ლაგერლოფთან, კნუტ ჰამსუნთან, მარეკ ჰლასკოსთან, მილან კუნდერასთან და სხვებთან (პავიჩთანაც კი). კენძაბურო ოესა და კობო აბეს გმირები კი საკეს არაყს ამჯობინებენ (მურაკამიზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

მარეკ ჰლასკოს, რომანში "ლამაზები, ოცი წლისანი" ერთი ძალიან სასაცილო ისტორია აქვს მოთხრობილი, თუ როგორ შოულობდა არყის ფულს ლიოლიკ პარტიზანი. იგი თურმე ძალაყინს (ლომს რომ ვეძახით) იღებდა და ნაცნობ მეგაზეთესთან მიდიოდა 250 გრამისთვის ფულის სათხოვნელად. მეგაზეთე, რა თქმა უნდა უარს ამბობდა, ლიოლიკი კი აყირავებდა საგაზეთო ჯიხურს თავის მეგაზეთიანა და მანამ არ წამოაყენებდა ჯიხურს, სანამ მეგაზეთე ფულს არ გაიმეტებდა. ამჯერად იგი უკვე ნახევარი ლიტრისას იხდიდა, რადგან ჯიხურის აწევა იმ ქალაქში მხოლოდ სამ კაცს შეეძლო და იძულებული იყო დათანხმებოდა. ბოლოს კი ყველასთვის გაუგებარი რჩებოდა, 250 გრამზე რატომ არ თანხმდებოდა მეგაზეთე, ნებისმიერ შემთხვევაში ხომ ორჯერ ძვირი უჯდებოდა ეს აურზაური? აქ მარეკ ჰლასკო ნამდვილ ლოთურ ერუდიციას ავლენს, როცა ამბობს: "ანტიკური ტრაგედიის გმირსავით, როგორც ჩანს ჯერ ტანჯვა უნდა გაეარა, შემდეგ კი კათარსისიო".

ახლა კი დროა რუსულ ლიტერატურასაც მივხედოთ, სადაც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან სვამდნენ პერსონაჟები, თუმცა კი პუშკინთან გარკვეულ სიმწყობრეს იღებს ეს საქმიანობა და პუშკინთანვე ვხვდებით ასეთ ფრაზებს: "стихотворцам нужен слушатель, как Ивану Кузмичу графинчик водки перед обедом", ანდა "Это у него было заведено, как рюмка водки." ანუ 19-ის დასაწყისის რუსულ ლიტერატურაში არყის რუმკა უკვე მყარი ტრადიციაა, ზეპური საზოგადოებების შეკრებებზეც, ყველაზე მეტი ხალხი ხიზილალასთან და არაყთან იყრიდა თავს, იამშიკისა და მისი ცხენების სისწრაფე კი პირველ რიგში არყის შეპირებულ რაოდენობაზე იყო დამოკიდებული (უკვე დოსტოევსკისთან, მიტია კარამაზოვისა და რაგოჟინისნაირი ტიპები 50 მანეთსაც კი ჩუქნიან იამშიკებს "არაყზე").

ახალი საფეხურია არყის სმაში გოგოლის "მკვდარი სულები" და მისი მოთხრობები. "მკვდარ სულებში" ძირითადად ანისულის არაყს სვამენ. მაგალითად, საბაკევიჩთან, სუფრაზე სანამ დასხდებიან, თითოს ჩაარტყამენ, მჟავეულობას ჩააყოლებენ და ფართო ნაბიჯით გაემართებიან გაწყობილი სუფრისკენ. ჩუმ-ჩუმად სვამენ ჩიჩიკოვის იამშიკი და მსახური, პეტრუშკა და სელიფანი. ისინი საქმიანად შედიან ტრაქტირის კარში და ერთ საათში იქედან ერთმანეთზე გადაჭდობილები გამოდიან. ამავე რომანში ვიგებთ საინტერესო რამეებს რუსეთში წარმოებულ მადერაზეც: ამ სასმელს რუსი ვაჭრები თურმე არყით აზავებდნენ, თავიანთი მუშტრის გემოვნებიდან გამომდინარე.

პიოტრ პეტროვიჩ პეტუხი, კარგი მუშაობისთვის თითო სირჩას (чапоруха водки) ასმევდა თავის მუშებს, გოგოლის მოთხრობებში კი ქალებიც ძალიან ბევრს სვამენ, ზაფრანის არაყსა და ე.წ. ვარენუხას.

დოსტოევსკის ადრეულ რომანებში ხშირად ხილვასავით ჩნდება ხოლმე თეთრით გადაფარებული მაგიდა, რომელიც ხიზილალით, ყველით, პაშტეტით, ძეხვეულით, თევზითა და ლორითაა გაწყობილი და სადაც სხვადასხვა სახეობის არაყი სხვადასხვა ფერის გრაფინში ასხია.

"დანაშაული და სასჯელის" მთავარ გმირზე, რასკოლნიკოვზე ერთხელ ერთადერთმა სირჩა არაყმა ისე იმოქმედა, რომ სახლამდე ვერც მიაღწია, ბუჩქებში, პირდაპირ ბალახზე წაუძინა, "ეშმაკნი"-ში კი, როგორც კი სტეპან ტროფიმოვიჩი არაყს შეუკვეთს, მაშინათვე თავად ავტორი ერთვება საქმეში:

"საკმარისია რომელიმე მდაბიოს არაყზე გაქცევა სთხოვო, რომ ჩვეულებრივი, მშვიდი გულითადობა მარდ, ხალისიან მსახურებაში გადაიზრდება... არაყზე გაგზავნილი - მიუხედავად იმისა, რომ თავად წვეთს ვერ დალევს - მთელი თავისი სხეულით გრძნობს თქვენს მომავალ კმაყოფილებას".

ბევრს სვამენ დოსტოევსკის სხვა რომანებშიც, "მოზარდიდან" დაწყებული - "ძმები კარამაზოვებით" დამთავრებული.

აუარება არაყია ბულგაკოვის "თეთრ გვარდიაში", არაყი და ნისლი, ნისლი და არაყი, აი მთავარი წყვილები რომანში. აქ პორუჩიკი მიშლაევსკი ერთი ჭიქითაც ითიშება, ხოლო სხვები იფიცებენ, რომ აღარასდროს აურევენ არაყსა და ღვინოს. ხანდახან კი, ორი ჭიქის შემდეგ აცხადებენ, რომ ახლიდან იშვნენ და რომ უკვე ლიმნიან ჩაისაც დალევდნენ.

არყისა და ღვინის (უფრო სწორად, პორტვეინის) არევის პრობლემაა დასმული "ოსტატ და მარგარიტაშიც". გახსოვთ ალბათ, სტეპან ბოგდანოვიჩ ლიხოდეევს ახლადგაღვიძებულზე ვოლანდი რომ ტუქსავს. არადა რა პურმარილი გაუშალა უცნაურმა სტუმარმა? თხლად დაჭრილი თეთრი პური, დაწურული (паюсная) ხიზილალა, თეთრი სოკო მარინადში, ცხელი საჭმელი პატარა ქვაბში და არაყი სიცივით გაოფლილ (!!!) მოზრდილ გრაფინში.

აქ უზარმაზარი შავი კატა თვითონაც ურტყამს და მარგარიტასაც უვსებს, შემდეგ კი ქალბატონის კითხვაზე პასუხობს: "Помилуйте, королева, разве я позволил бы себе налить даме водки? Это чистый спирт!" კოროვიოვი და ბეგემოტი კი კარგ, ორმაგი გაფილტვრის "მოსკოვსკაიას" სვამენ.

"ძაღლის გული" განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, სადაც პროფესორი პრეობრაჟენსკი და დოქტორი ბორმენტალი არაყს გამოყვანილ ორაგულს, გველთევზას, ხიზილალასა და "ცრემლიან ყველს" აყოლებენ. პროფესორი ინგლისურთან შედარებით რუსულ არაყს ანიჭებს უპირატესობას და ახალგაზრდა ასისტენტსაც სულ იმას უჩიჩინებს, არაყს ცივ "ზაკუსკებსა" და სუპს მხოლოდ უგემოვნო "პომეშჩიკები" აყოლებენ, თავმოყვარე ადამიანი კი ცხელი საუზმით ოპერირებს, განსაკუთრებით კი ცხელი მოსკოვური კერძებით.

რუსულ ლიტერატურაში არაყი თითქმის ყველა ავტორთან გვხდება, ამიტომ ზოგიერთი შესაძლოა უბრალო ჩამონათვალშიც კი ვერ მოხვდეს. კლასიცისტებიდან და უფრო ძველი დროიდანაც მოყოლებული, ანდრეი ბიტოვითა და ვლადიმირ სოროკინით დამთავრებული, ყველგან გაისმის არყის ლიკლიკი. სხვადასხვანაირ ჭიქებში სხვადასხვანაირ არაყს ასხამენ, სხვადასხვა რამეს აყოლებენ და თრობითაც განსხვავებულად თვრებიან. ყველას ვერ მიმოიხილავ, ამიტომ ბოლოსთვის ერთი გემრიელი ლუკმა შემოვინახე, ვენედიქტ (ვენიჩკა) ეროფეევის "მოსკოვი - პეტუშკი", რუსული "ღვთაებრივი კომედია", სადაც ეროფეევ-დანტეს ვერგილიუსივით მიუძღვება არაყი. ეს წინამძღოლი მას ლოთური ყოფიერების ყველა ძიბრს მოატარებს და ჯოჯოხეთისა და განსაწმენდელის მოხილვის შემდეგ ლიტერატურულ სამოთხეში შევყავართ მკითხველი.

"მოსკოვი - პეტუშკი" ნამდვილი შედევრია, ესაა პოემა სმის, გამოსვლის, ისევ სმისა და ისევ გამოსვლის შესახებ. ნიცშესეული მარადიული მობრუნების მითი ეროფეევმა თავისებურად წაიკითხა და შექმნა ყველა დროის საუკეთესო წიგნი ლოთობაზე. ზოგიერთი ტვინნაღრძობი ამ წიგნში ზღვარგადასულ ეკზისტენციალიზმს ხედავს, ზოგი კი პოსტმოდერნს, ზოგმა ანტიალკოჰოლურ ნაშრომად ჩათვალა იგი (სხვათა შორის, პირველად "მოსკოვი - პეტუშკი" ჟურნალ "Трезвость и культура"-ში დაიბეჭდა), ზოგმა კი ბოდვად. მე კი მას პუშკინის, გოგოლისა და დოსტოევსკის საუკეთესო ნაწარმოებებს უფრო შევადრიდი, თავისი მოქნილობით, შხამინი, გროტესკული მეტაფორებითა და ისტერიულობით.



ვენედიქტ (ვენიჩკა) ეროფეევის "მოსკოვი - პეტუშკი", რუსული "ღვთაებრივი კომედია", სადაც ეროფეევ-დანტეს ვერგილიუსივით მიუძღვება არაყი. ესაა პოემა სმის, გამოსვლის, ისევ სმისა და ისევ გამოსვლის შესახებ.

წიგნში მოქმედება დილაუთენია იწყება, საზარელ "პახმელიაზე" ეღვიძება მთავარ გმირს მოსკოვის რომელიღაც სადარბაზოში და აქედან იწყება გამოსვლისა თუ შესვლის ის უსასრულო ოდისეა, რომელიც ბოლოს ლამის საღვთისმეტყველო მწვერვალებს აღწევს. გმირმა არ იცის რა ქნას, რით უშველოს თავს, ჯერ ადრეა, მაღაზიები დაკეტილია, არადა ცუდადაა, თანაც ანგელოზები დაჰფარფატებენ თავზე... სწორედ ამ დროს აღმოხდება ისტორიული სიტყვები (რომელიც აუცილებლად რუსულად უნდა დავიმოწმო): "О, тщета! О, эфемерность! О, самое бессильное и позорное время в жизни моего народа - время от рассвета до открытия магазинов! Сколько лишних седин оно вплело во всех нас, в бездомных и тоскующих шатенов. Иди, Веничка, иди." და ისიც წავა, გაუყვება გზას, ჯერ რესტორანში შეივლის, შემდეგ მაღაზიაში, მერე "ელექტრიჩკასაც" გაჰყვება, სასმელიც მომარაგებული აქვს, ოღონდ სხვისთვის, იმ ზეციური ქმნილებისთვის, ვინაც პეტუშკიში ელოდება... ვენიჩკა ყოველი ზაპოის მერე ასე იქცევა, პეტუშკიში გარბის ხოლმე და თან ერთი ჩანთა ნაირნაირი სასმელიც მიაქვს. შემდეგ რაც ხდება, ნამდვილი ჯოისია, რუსული "ულისე" თავისი კალიფსოთი და ლოტოფაგებით და რაც მთავარია, სცილა და ქარიბდათი (იმ დროს თარგმნილი არც იყო რუსულად "ულისე" და მეეჭვება ინგლისურად წაეკითხოს ვენიჩკა ეროფეევს ეს წიგნი)...

ერთი სიტყვით, ზერელედ წერა "მოსკოვი - პეტუშკი"-ს არ უხდება, მის ყოველ აბზაცს სამოთხ გვერდიანი კომენტარი შეიძლება დაურთოს კაცმა, სადაც ლოთურ ამბებსაც განმარტავდა და ინტელექტუალურ ქვეტექსტებსაც, ამიტომ სასაცილოდ მეჩვენება ახლა მისი შინაარსის გადმოცემა და სხვა, სალაღობო ციტატების მოყვანაც შორს წაგვიყვანდა. ეს კი მაფიქრებინებს, რომ დროზე დავასრულო არყის ისტორია, დავასრულო მაღალ ნოტაზე, ეროფეევის ექსტატიური ხილვებითა და თეოლოგიური სიღრმეებით და დავიწყო ახალი, სულ სხვა ამბავი, სადაც გემები ოკეანეებს გადასერავენ, მეკობრეები კი რომს ჩაარტყამენ და საშინელი ხმით ჩაალილიალებენ უცნაურ სიმღერებს.

## კლუბები/რესტორნები/ბარები

**ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 22:00** დიჯეი ფართი და დისკოთეკა. **მიმტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV; ყოველ ხუთშაბათს:**

**Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

**22:30** ლათინოფართი **მაესტრო მორისთან** ერთად. **იხსნება: 16:00. ცოცხალი მუსიკა: 24:00-დან დილამდე. ყოველ შაბათს: ბიზნეს-ლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე.**



მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლება. შესაძლებელია წინასწარი შეკვეთები კერძო წვეულებებისათვის. დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე.

**ახვლედიანის 13.**
**ტ.: 92 00 45**

**იხსნება: 10:00; ცოცხალი მუსიკა: 19:00;** სახელმა არ მოგატყუოთ და სამოგზაუროდ არ გაემართოთ. **ეს "ლევილი" თბილისშია!** - მყუდრო გარემო, გამორჩეული ქართული და ევროპული სამზარეულო, **მომსახურების უმაღლესი დონე,**

ბარი სუკეთესო სასმელების მრავალფეროვანი არჩევანით. **350** ადგილიანი საბანკეტო დარბაზი, **22** და **10** ადგილიანი **კუპეები,** ერთი სიტყვით, - **იდიალური ადგილი** ნებისმიერი **წვეულების მოსაწყობად.** შესაძლებელია **დარბაზის** ან **მაგიდების** წინასწარ **დაჯავშნა.** მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

**ალექსანდრე ყაზბეგის 12ა; ტ.: 37 14 19;**
**mob.: 899 223424/899 502414/899 537648.**

**იხსნება: 12:00; დისკოთეკა: 23:00, პარესკევი/შაბათი;** მშვიდი მუსიკა და მაღალი დონის მომსახურება, **უგემრიელესი კერძები** და სასმელების ფართო არჩევანი, **საუკეთესო ადგილი ბიზნეს ლანჩებისთვის** და **საქმიანი შეხვედრებისთვის.** უბრალოდ, - **თქვენი საყვარელი ბარი.**

ის, რასაც ირჩევთ დასვენებისა და მყუდრო გარემოში დროის გასატარებლად. საუნდ **ბარი "მიო" მზადაა** ორგანიზება გაუწიოს თქვენს წვეულებებს, მოგემსახუროთ ოფისებში (სადილი ადგილზე მიტანით), სამუშაო დღის შემდეგ კი **მოგიწყოთ საუკეთესო გარემო** დაღლილობის მოსახსნელად და განსატვირთად (სავარძელი-მასაჟორი). თუ ფეხბურთი გიყვართ, - **ნახეთ** სასურველი მატჩები ბარის დიდ მონიტორზე, თუ ეგზოტიკა გხიბლავთ, - **მოხერხებულად მოკალათდით** და მოწიეთ ჩილიმი.
**ბარი მუშაობს** ბოლო სტუმრის გაცილებამდე;

**ალექსანდრე ყაზბეგის 12ა;**
**ტ.: (+ 995 32) 38 89 09.**

## მაღაზიები

### პარფიუმერია და კოსმეტიკა

მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ: **Dior, Guerlain, Givenchy, Kenzo, Boss Hugo Boss, Laura Biagiotti, Giorgio Beverly Hills, Lacoste, Yohji Yamamoto, Jean Patou, Valentino, Max Factor, Lancome, Biotherm, Cacharel, Armani, Ralph Lauren, Guy Laroche, Paloma Picasso, Lanvin, GF Ferre, Adidas, Pierre Cardin, Celine Dion, Isabella Rossellini and Rimmel**-ის და **ახლა** უკვე **Collistar**-ისა და **Leocrema**-ს პარფიუმერულ ნაწარმსა და კოსმეტიკურ საშუალებებს. **აგრეთვე,** მის სადისტრიბუციო ქსელში იყიდება: **Chanel, Jean-Paul Gaultier, Escada, Carolina Herrera, Dolce & Gabbana, Gucci, Fendi. სიახლე:** სუნამო ქალბატონებისათვის - **"ARMANI CODE";** სამუდამოდ **დაივიწყეთ** "დავინჩის კოდი," მასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა და ავტორის შელახული რეპუტაცია.

ჩვენ **გთავაზობთ** ახალ, **ჯადოსნურ კოდს არმანისაგან**, რათა გაჩვენოთ, როგორია ჭეშმარიტი ხელოვნება. როგორ უნდა შეძლო მოანდომო ისე, რომ არ აჩვენო, აღძრა ვნება ისე, რომ არ შეეხო, ისე დაიმალო, რომ მაინც ყურადღების ცენტრში დარჩე. **ეს** მომაჯადოვებელი, **მაცდური ქალბატონების იდუმალი კოდია,** მათი, ვისაც უკვე 18 წელი შეუსრულდა ან ჯერ მხოლოდ 35 წლისაა. **უყიდეთ** საყვარელ ქალბატონებს ოდნავ მძიმე, ციტრუსისა და ყვავილების სურნელით შეკრული **"ARMANI CODE"**-ი და **ერთად გახსენით მისი საიდუმლო. ღიაა: 10:00-დან 21:00-მდე;**



**თბილისში:** მარჯანიშვილის 19, რუსთაველის 46, ჭავჭავაძის 42, გამსახურდიას 27, წერეთლის 117, ვაჟა-ფშაველას 35, მელიქიშვილის 18; **მალე** ლესელიძის 51/1; **ბათუმში:** გრიბოედოვის 8, გამსახურდიას 23.
**ტ.: + 995 32 25 10 40;**
**ფაქსი: + 995 32 25 34 36.**

## აკადემიური რჩევანი

ფირმა "ჰიდროთერმის" კომერციულ დირექტორთან ავთანდილ ყანჩაველთან ერთად

**საკუთარი აუზი ეზოში უკვე დიდი ხანია ერთეულთა "მარიაჟის" საგანს აღარ წარმოადგენს, თუმცა, ის, ჯერჯერობით კვლავ ძვირ სიამოვნებათა რიგს მიეკუთვნება და უმეტესობისთვის საოცნებო საგანად რჩება, განსაკუთრებით კი ზაფხულის ცხელ დღეებში. მომრავლებულ გასაბერ და ასაწყობ აუზებისაგან განსხვავებით, სტატიკური აუზი ორი ტიპისაა: 1. ე. წ. სკიმერიანი, ანუ როდესაც წყალი ბოლომდე არ არის შევსებული და მას ზედა ნიშნულიდან 15სმ-მდე ავსებენ და 2. გადაღვრით, როცა წყალი პირთამდეა აუზში. პირველ შემთხვევაში, ზედა 15 სანტიმეტრიან ნიშნულთან დგება სკიმერები, რომელშიც წყალი, დონის მატების შემთხვევაში, იღვრება და უფრო მეტ სიმაღლეზე ველარ ადის. ამასთან, სკიმერის სისტემაშივე ხვდება აუზის ჭუჭყიც და მის სპეციალურ ხუფიან ბადეში ილექება, რომელიც ისევე ადვილად ამოდის და იწმინდება, როგორც მტვერსასრუტის შესაბამისი ტომრები. მეორე ტიპის აუზის შემთხვევაში კი, აუზის გარშემო ცხაური კეთდება, სადაც გადმოსული წყალი იღვრება და შესაბამისად, ჭუჭყიც თან მიჰყვება, სისტემაშივე ილექება და საჭიროებისამებრ იწმინდება. სავსე აუზი, რა თქმა უნდა, უფრო ლამაზია, მაგრამ მოსავლელად სკიმერიანი გაცილებით ადვილია. რაც შეეხება აუზის მოვლას, მიუხედავად იმისა, ვის რისი საშუალება აქვს ან რა მოსაზრება ამ საკითხზე, ერთი რამ უდაოა - აუზს, როგორიც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად ესაჭიროება ფილტრაცია არა მხოლოდ სისუფთავისთვის, არამედ იმიტომ, რომ გუბედ არ იქცეს და ფოტო სინტეზის შედეგად მწვანე მასა არ მოეკიდოს. თუმცა, ამის საშიშროება ფილტრიან აუზებსაც აქვთ, ოღონდ გაცილებით ნაკლები, რადგან მათში წყალი მოძრაობს. ასევე აუცილებელია წყლის დაქლორვა და მასში ალგიციდის(გამწმენდი ხსნარი, რომელიც ხელს უშლის მწვანე მასის წარმოქმნას) ჩასხმა, აუზის ზომისა და შესაბამისად, მასში წყლის მოცულობის გათვალისწინებით. ყველა ასეთ ან უფრო თანამედროვე, მაგრამ ძვირ გამწმენდ საშუალებათა (ულტრა იისფერი სხივები, ოზონი, სპეციალური მარილი) მოხმარებისას აუცილებლად ყურადღება მიაქციეთ ეტიკეტზე მითითებულ დოზებსა და სხვა მოთხოვნებს და ისინი ინსტრუქციის სრული დაცვით გამოიყენეთ. გახსოვდეთ, ნუ ჩაყრით აუზში გამწმენდ საშუალებას ისე, თუ წინასწარ წყლის სინჯი არ გაქვთ აღებული და მასში ჩასაყრელი ნივთიერების დოზა შემოწმებული. ამისთვის სპეციალური ხელსაწყოები არსებობს და შესასრულებლად ძალიან ადვილია. აუზის სწორად მოვლის შემთხვევაში, წყლის გამოცვლა წელიწადში ერთხელ და ისიც, მხოლოდ 20-30%-ით მოგიწევთ. ხოლო იმისთვის, რომ მასში წყალი ყოველთვის გამჭვირვალე იყოს, მზეზე ბრჭყვიალებდეს და ფირუზისფრად ლივლივებდეს, სურვილისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური ქიმიკატები, რომლებიც ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა და სამაგიეროდ, თქვენს აუზს განსაკუთრებულად ლამაზს გახდის. აუზის სილამაზეს ასევე მოსაპირკეთებელი მასალაც განაპირობებს. დღეისათვის მათი არჩევანი ძირითადად ასეთია: რბილი მასალები, კაფელი და მოზაიკა. ამ უკანასკნელის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა, აუზს გაუკეთდეს ჰიდროიზოლაცია შიგნიდან და გარედან და შემდეგ, სპეციალური ყინვაგამძლე წებოს გამოყენებით მოპირკეთდეს. მათ ვისაც აუზში წყლის გათბობა სურთ, შეუძლიათ ელექტროენერგიაზე მომუშავე სპეციალური დანადგარი გამოიყენონ, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება, ან უკვე არსებულ გათბობის სისტემაზე მიაერთონ. გახსოვდეთ, ნორმის მიხედვით, წყლის ტემპერატურა აუზში 27-28 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს.**



## დელუქსი
## DELUXE

გთავაზობთ **ქალის ტანსაცმლის** ფართო არჩევანს: თეთრეული, კაბები, ქვედაბოლოები, პიჯაკები, შარვლები, ბლუზკები, მაისურები, პერანგები, სარაფნები და ფეხსაცმელი; **აგრეთვე,** - ჩანთები ბიჟუტერია და სხვა აქსესუარები. **DELUXE**-ის **ზომიერი ფასები** და **მაღალი ხარისხის** პროდუქცია **ყველა ასაკის** ყველაზე **პრეტენზიულ** ქალბატონებსაც კი დააკმაყოფილებს. თუ სიახლეს ეძებთ, გვესტუმრეთ, **ახალი** საზაფხულო კოლექცია და **სპეციალური ფასდაკლება** მუდმივი კლიენტებისთვის სწორედ ისაა, რასაც თქვენ ეძებთ. ჩვენ ყველასთან მოვძებნით საერთო ენას. **მობრძანდით და თქვენც ჩვენი მუდმივი კლიენტი გახდებით.**
**მუშაობს ყოველდღე: 11:00-დან 20:00-მდე;**

**საბურთალოს 26;**
**ტ.: 38 08 44.**

## სერვისი

დიზაინის სტუდია "მოდერნის" **გამოცდილ დიზაინერთა ჯგუფი** თანამედროვე დიზაინის **ვებ გვერდის** დამზადებას სთავაზობს კლუბების, ბარების, სასტუმროების, მაღაზიების მფლობელებს, ნებისმიერი სხვა საქმიანობით დაკავებულ ბიზნესმენებს, ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ მომხმარებლებს. ჩვენ ასევე **გაგიწევთ ნებისმიერი სირთულის სერვისს,** როგორიცაა: ონლაინ დაჯავშნა, შეკვეთა, ანგარიშსწორება და სხვა. სტუდია **უზრუნველყოფს** როგორც საიტის შექმნას, ასევე, ყველანაირ ტექნიკურ სამუშაოს, - ვებ გვერდის ინტერნეტში განთავსებას, რეკლამირებას, ვიზიტორთა აღრიცხვას და ა.შ. ჩვენი საშუალებით შექმნილი ვებ-გვერდი, აუცილებლად გახდება **თქვენი ორგანიზაციის პრესტიჟული სახე.**

სტუდია **აგრეთვე გთავაზობთ** გამორჩეული, თანამედროვე სტილის გრაფიკული დიზაინით შესრულებული ლოგოების, სარეკლამო აფიშების, ბუკლეტების, პრეზენტაციების, მოსაწვევების, ბილბორდების, სავიზიტო ბარათებისა და სხვა გრაფიკული ერთეულის დამზადებას და **თქვენთვის სასურველი საფირმო სტილის შექმნას.**

**მუშაობს: 10:00-დან 17:00-მდე (შაბათ-კვირის გარდა);**

**ლესელიძის 15; Tel: +995(32) 987218**
**Mob: +995(93) 991007 Web:**
**www.modern.ge E-mail: info@modern.ge**

**თუ უცხოელ სტუმარს ელით,** მაგრამ შესაბამისი დრო არ გაქვთ და თანაც ენის ბარიერი ექსკურსიაზე მის წაყვანაში პრობლემებს გიქმნით, ტურისტულ **სააგენტოს "ვიზით ჯორჯია" მიანდეთ მასპინძლობა.** ჩვენი გულისხმიერი, რამდენიმე **უცხო ენაზე**(რუსული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, გერმანული, იაპონური) **მოლაპარაკე** კვალიფიციური თანამშრომლები და გიდები დაგეხმარებიან, სურვილის, ინტერესისა და შესაძლებლობისამებრ **შეურჩიოთ თქვენს სტუმარს მარშრუტი** ისე, რომ მოკლე დროშიც კი ბევრი საინტერესო რამის ნახვა მოასწროს. **ჩვენი შეთავაზება** იმდენად მრავალფეროვანია, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი, ყველაზე პრეტენზიული სტუმრის მოთხოვნასაც კი დააკმაყოფილებს: ექსკურსია თბილისსა და შემოგარენში, კულტურული, სამთო, ღვინის, გურმანთა ტურები; ჯიპ ტური მეტი ეგზოტიკისა და მაღალმთიანი ზონის მონახულების მსურველთათვის, კრუიზი შავ ზღვაზე, სასომხეთისა და აზერბაიჯანის მონახულება და სხვა. **აგრეთვე:** სააგენტო დაგიჯავშნით ნებისმიერ სასტუმროსა და ბილეთებს, სპეციალურად თქვენთვის და თქვენი სტუმრებისთვის გაშლის სანაქებო ქართულ სუფრას და ცეცხლოვანი ქართული ცეკვების მთელ სილამაზეს გაგრძნობინებთ. ესტუმრეთ "ვიზით ჯორჯიას" და ანდეთ მას თქვნი სტუმარი თუ გსურთ, რომ ყველა მიხვდეს - **საქართველო უფრო მეტია, ვიდერე მორიგი დანიშნულების პუნქტი. მუშაობს:** 09:00-დან 18:00-მდე **(შაბათ-კვირის გარდა);**

**ნიშნიანიძის 14 (კოლმეურნეობის მოედანთან); ტ.: (995 32) 92 13 88,**
**ფაქსი: (995 32) 99 68 29;**
**E-mail: visitgeorgia@gep.net.ge**
**www.visitgeorgia.ge**

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**

ინფორმაციისა და რეკლამის განსათავსებლად დარეკეთ:
☎ 899 95 57 67